

ვატიკანში ბენედიქტე XVI-ს მმართველობა ოფიციალურად დაიწყო

A5



იტალიის ახალი მთავრობა ძველი სახეებით

A5



როკ ენ როლის ეპოქის ზღაპრები

B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 25 აპრილი, 2005 წელი. №93 (953)

ფასი 50 თეთრი

## სამართალი

### აფხაზეთის ბიუჯეტის მძარცველები

**ფული წინა მთავრობამ გაფლანგა, - აცხადებენ სოხუმში**

აფხაზეთის მთავრობამ გაახმაურა ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების დატაცებასთან დაკავშირებით.

A2

## სამართალი

### საპატრულო პოლიციის ქვედანაყოფები რუსთავშიც გამოჩნდნენ



რუსთავის ქუჩებში გუშინ საპატრულო პოლიციის მანქანები გამოჩნდა. ქალაქში საპატრულო პოლიციის პრეზენტაციას გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი დაესწრო.

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი „24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7

## ამინდი

| | 25/4 | 26/4 | 27/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 21 | 16 | 17 |
| ქუთაისი | 12 | 18 | 19 |
| ბათუმი | 3 | 12 | 18 |
| სოხუმი | 12 | 19 | 19 |
| ფოთი | 6 | 17 | 19 |
| თელავი | 19 | 13 | 17 |
| ზუგდიდი | 11 | 19 | 20 |
| გორი | 14 | 13 | 15 |
| ახმეტა | 20 | 14 | 17 |
| ჭიათურა | 11 | 14 | 16 |
| გაგრა | 17 | 18 | 19 |
| სამტრედია | 9 | 17 | 19 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3878 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4931 |
| რუბლი | 0.0659 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | კვირა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# მხოლოდ გაყვანის რეჟიმში

**რუსული ბაზების გაყვანა 2008 წლის დასაწყისისთვის უნდა დასრულდეს**

*"რუსული მხარე იმედოვნებს, რომ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას, ორივე მხარის ინტერესების დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებები გამოიძებნება," - განაცხადა რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ. მანამდე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოწვევით, თბილისში მყოფმა რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოს - თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა განაცხადა, რომ რუსეთს საკუთარი სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანა 2009 წლის 1 იანვრამდე შეუძლია.*

ნინო გომართელი

**"ჩვენ ვისურვებდით საკუთარი სამხედროებისა და ტექნიკის გაყვანას ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებიდან 2008 წლის 1 იანვრამდე. ბათუმიდან მძიმე ტექნიკის გაყვანით, 2009 წლის 1 იანვარს რუსეთი საბოლოოდ დახურავს საკუთარ ბაზებს საქართველოს ტერიტორიაზე,"** - განაცხადა მირონოვმა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ.

თუმცა, მირონოვის მიერ თბილისში გახმოვანებულ მოსკოვის პოზიციას თბილისი კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

**"აღნიშნულ ვადაზე შეთანხმება გამორიცხულია. ჩვენ ვთქვით, რომ 2008 წლის დასაწყისი არის მაქსიმალური, რაც შეგვიძლია დავთმოთ, ისიც იმ პირობით, რომ ახალქალაქის ბაზა, როგორც მინიმუმ, 1 წლით ადრე დაიხურება.**

**ამიტომაც, მირონოვის პოზიციაა ეს თუ ვლადიმირ პუტინის, არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა გივი თარგამაძემ.

მეტიც, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ არ მოხდება შეთანხმება და ხელი არ მოეწერება დოკუმენტს, სადაც დაფიქსირებული იქნება რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადები, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება ავტომატურ რეჟიმში ამუშავდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "სახალხო ფორუმი" საგარეო პოლიტიკაში "გადავარდა"

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციურ გაერთიანება "სახალხო ფორუმში" შემავალი პოლიტიკოსები გუშინ სასტუმრო "თორში" შეიკრიბნენ და ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

გაერთიანების ერთ-ერთი დამფუძნებელი აკაკი ასათიანი აცხადებს, რომ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში მომხდარი რევოლუციების შედეგად, რუსეთის გარშემო დემოკრატიული სარტყელი შეიქმნა.

**"რუსეთმა ეს დაიმსახურა, რადგან იმპერიულ წარსულსა და ამბიციებს ვერ შეელია,"** - აცხადებს ასათიანი, რომელიც მიიჩნევს, რომ დემოკრატიული სარტყელის იდეის ავტორები პოლონური წარმოშობის ამერიკელები არიან, რომლებიც, როგორც ჩანს, რეჩ პოსპოლიტას ისტორიული მაგალითით ხელმძღვანელობდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



სახალხო ფორუმის ლიდერები პრესკონფერენციაზე.

# ყველანი კოლექტივში!

**წიგნის დღეს მადრიდში სერვანტესი წაიკითხეს**

23 აპრილი წერა-კითხვის მცოდნეთა და მოყვარულთათვის განსაკუთრებული დღეა. 1564 წლის 23 აპრილს უილიამ შექსპირი დაიბადა, ხოლო ზუსტად 400 წლის წინ პირველად გამოიცა სერვანტესის "დონ კიხოტი". ამიტომ ამ დღეს მსოფლიო წიგნისა და საავტორო უფლებების დღესასწაულს აღნიშნავს.

ესპანეთში 23 აპრილისთვის ყოველწლიურად განსაკუთრებით ემზადებიან. 22 აპრილს დღესასწაულის ტრადიციული ნაწილი დაიწყო. მადრიდის ნატიფი ხელოვნების კლუბში სერვანტესის უკვდავი ნაწარმოების ორდღიანი ჯგუფური კითხვა გაიმართა, რომელიშიც, როგორც წესი, ათასობით მოხალისე მონაწილეობს. სხვათა შორის, ამ ტრადიციის ათვისების მცდელობა შარშან თბილისის წიგნის ფესტივალზეც ჰქონდათ - უამრავმა ადამიანმა რამდენიმე საათის განმავლობაში "ვეფხისტყაოსანი" წაიკითხა.

ვინაიდან წლევანდელ წიგნის დღეს "დონ კიხოტის" გამოცემის საიუბილეო თარიღი დაემთხვა, კოლექტიურ კითხვაში რეკორდული რაოდენობის მსურველი მონაწილეობდა.

როგორც წესი, ჯგუფურ კითხვას სერვანტესის პრემიის მფლობელი იწყებს (ეს პრემია ესპანურენოვან მწერლებს გადაეცემათ და მათთვის მეტად პრესტიჟულია). წელს ეს პატივი ცნობილ ესპანელ პროზაიკოსსა და ესეისტს რაფაელ სანჩესს უნდა რგებოდა, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო მონაწილეობა ვერ მოახერხა.

სამაგიეროდ, გაცილებით გაუმართლა სხვა, არაესპანელ მწერალს. წლევანდელი წიგნის დღე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი სტიქიისგან გარდაცვლილებსაც მიეძღვნა, ამიტომ "დონ კიხოტის" კითხვა შრილანკელმა მწერალმა შოთა იბრაჰიმმა დაიწყო.

სერვანტესის ნაწარმოებს ორი დღის განმავლობაში პაუზის გარეშე კითხულობდნენ. მოხალისეთა შორის იყვნენ ხელოვანები, მეცნიერები, პოლიტიკოსები და სკოლის მოსწავლეები. მარათონში აგრეთვე ჩაერთვნენ სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის, ტელეფონითა და ვიდეოგზავნილების სახითაც.

წელს "დონ კიხოტი" ჯგუფურად პირველად წაიკითხეს მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში.

კატალონიური ტრადიციის მიხედვით 23 აპრილს ერთმანეთს წიგნს და ვარდს ჩუქნიან. ეს დღესასწაული უკვე "იუნესკოს" ეგიდით ტარდება და იაპონიასა და აზიის სხვა ქვეყნებშიც პოპულარულია.



# მშვიდობა მოჩვენებითი აღმოჩნდა

**დაპირისპირება გურჯაანელ "ნაციონალებში"**

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*პროგნოზი იმის შესახებ, რომ გურჯაანელ "ნაციონალებს" მოჩვენებითი ზავი მალე დაირღვეოდა, გამართლდა. რაიონული კონფერენციიდან ორი კვირის თავზე გურჯაანელი "ნაციონალები" პარტიის აღმასრულებელი მდივნის როინ ქოჩორაშვილის თანამდებობიდან გადადგომას მოითხოვენ.*

ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც როინ ქოჩორაშვილი რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს აკაკი სიხარულიძეს, კადრების არასწორად დაკომპლექტების გამო, ღიად დაუპირისპირდა. როინ ქოჩორაშვილი ამტკიცებდა, რომ გამგეობაში თანამდებობებზე "ნაციონალური მოძრაობის" იდეოლოგიისთვის შეუფერებელი ადამიანები ინიშნებოდნენ. მაგალითად კი, სოცდახმარების განყოფილების გამგეს ასახელებდა. სულ მალე ამ ფაქტს რამდენიმე დღის წინ, გურჯაანიდან ფარულად გატანილი ცემენტის ფილებიც დაემატა, რომელიც, როგორც პარტიის საბჭოს წევრები ამბობდნენ, სახელმწიფოს კუთვნილება იყო და ამ სიბინძურეში, სხვა ჩინოსნებთან ერთად, ხელი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელსაც ერია.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ომბუდსმენის გამოსვლამ მეწარმეები აალაპარაკა

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

*გორში ხელისუფლება ბიზნესმენებს, წელიწადზე მეტია, "აყაჩაღებს". ამ საკითხს ყურადღება გუშინწინ საქართველოს სახალხო დამცველმაც მიაქცია და შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის და გორის რაიონის გამგებლის ნუკრი პაპუნაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვა. დაზარალებული მეწარმეებიც ღიად მხოლოდ ამის შემდეგ ალაპარაკდნენ.*

ადგილობრივი ხელისუფლება წელიწადზე მეტია, ირწმუნება, რომ ქვემო ხვითში მცხოვრებ მოიჯარე ნოდარ მაისურაძეს დარღვევები ჰქონდა და ფართობები იმიტომ ჩამოართვეს. თუმცა, ვერავინ ამბობს, რატომ წაიღეს მის მიერ საიჯარო ფართობებზე მოწეული 73 ტონა ხორბალი, რომელიც სახელმწიფო შპს "სალთვისი 2"-ში დააბინავეს. რაიონის გამგებლიდან მოყოლებული, შპს "სალთვისი-2"-ის ყოფილი და ამჟამინდელი დირექტორებით დამთავრებული, ყველა ადასტურებს, რომ ხორბალი მაისურაძეს ეკუთვნის, მაგრამ უკან დაბრუნებას მაინც არ აპირებენ. მასვე ედავებიან საიჯარო ფართობებს, რომლის ხელშეკრულების ვადა ჯერ არ გასულა. მოიჯარე ნოდარ მაისურაძის საქმით ფინანსური პოლიცია დაინტერესდა.

ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი "კომერსანტი 95"-ში (გორის ბაზრობა). მისი დირექტორი თემურ ბლუაშვილი დააკავეს და ბაზრობის ხელისუფლებისთვის გადაცემა აიძულეს. აღნიშნული შპს გორის რაიონის გამგებლის ნუკრი პაპუნაშვილის სახელზე გაფორმდა.

გორის აგრარული ბაზრის დირექტორის ჯემალ წიკლაურის დაპატიმრება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საკმაოდ შემოსავლიანი ობიექტის ხელში ჩაგდებით დასრულდა. წიკლაურის მიმართ ბრალდება ბაზრის იაფად შეძენა და გამყიდველების მიერ მყიდველების წონაში მოტყუებაა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფხაზეთის ბიუჯეტის მძარცველები

## ფული წინა მთავრობამ გაფლანგა, - აცხადებენ სოხუმში

*აფხაზეთის მთავრობამ გაახმაურა ინფორმაცია საბიუჯეტო სახსრების დატაცებასთან დაკავშირებით.*

ზურაბ აფხაზავა

*სოხუმიდან*

ვიცე-პრემიერებმა ლეონიდ ლაკერბაიამ და ბესლან კუბრავამ, სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებული რიგი ფაქტები გაახმოვანეს. აღნიშნულ დარღვევებს ადგილი ჰქონდა ახალი ხელისუფლების მოსვლამდე რამდენიმე თვით ადრე, მაშინ, როცა მთავრობის ხელმძღვანელი ნოდარ ხაშბა იყო.

მთავრობის წევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალმა ხელისუფლებამ მუშაობა აბსოლუტურად ცარიელი ბიუჯეტის პირობებში დაიწყო. საკვირველია, რომ ამგვარი სიტუაცია საბიუჯეტო წლის დასაწყისში იყო შექმნილი. 14 თებერვალს, როდესაც ახალი ხელისუფლება საკუთარი მოვალეობების შესრულებას შეუდგა, აფხაზეთის საბიუჯეტო ანგარიში 50 ათას დოლარზე ოდნავ მეტს შეადგენდა. რა თანხები მოიხსნა ბიუჯეტიდან, დღემდე უცნობია. საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოწმება დღესაც მიმდინარეობს. არ არის დასრულებული სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და ფონდებში დაწყებული რევიზიები. რეგიონული ბიუჯეტებიც შესამოწმებელია. როგორც სპეციალისტები ამბობენ, უკეთესი მდგომარეობა არც რეგიონებში იქნება.

წინა ხელისუფლებას საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის წესისამებრ წარმოება არც კი უცდია. მაგალითად, ორი მილიონი დოლარის გახარჯვის შესახებ ანგარიშში ერთი სიტყვაც არ წერია იმაზე, თუ რაში დაიხარჯა ეს ფული. ასევე უცნობია, სად წავიდა 120 ათასი დოლარი, რომელიც ნოდარ ხაშბას თანაშემწეზე გაიცა. პრემიერ ხაშბასადმი წერილობით მიმართვაში ხაშბას თანაშემწე, უბრალოდ, ითხოვს, რომ აუნაზღაურდეს "მივლინენების, ორგტექნიკის შესასყიდი და სხვადასხვა ხარჯები."

სახელმწიფო ფონდების უმრავლესობას ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია საერთოდ არ გააჩნია. აფხაზური ენის განვითარების ფონდში ფინანსთა სამინისტრომ დღემდე ვერ მოახერხა რევიზიის დასრულება, რადგან ამ ფონდის ბუღალტერიაში პირველადი დოკუმენტაციაც კი ვერ აღმოაჩინეს.

რა თანხები მოძრაობდა პრივატიზაციის ფონდსა და პრეზიდენტის ფონდში, საერთოდ გაურკვეველია. იქ ან საერთოდ არ აწარმოებდნენ ბუღალტერიას, ან დოკუმენტები გაანადგურეს.

ხელისუფლების განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია სახელმწიფოს მიერ კერძო პირებისთვის აღმოჩენილმა მატერიალურმა დახმარებებმა. ერთ პირზე გაცემული იყო თანხა, რომელიც, აფხაზეთის პირობაზე, საკმაოდ სოლიდური გახლდათ. ორმა ათეულმა ადამიანმა დახმარების სახით ერთიდან ხუთი ათასამდე აშშ დოლარი მიიღო. რა მიზნით გაიცა აღნიშნული თანხები, არსად წერია.

ძველი მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნის უკანასკნელ თვეებში საბიუჯეტო სახსრები აქტიურად ხმარდებოდა ტექნიკის, ძვირადღირებული ავტომანქანების შესყიდვას. იმ პერიოდში ჩინოვნიკების მიერ ნაყიდი ავტომანქანების ფასი, საშუალოდ, 30-დან 50 ათას დოლარამდე მერყეობს, არის ისეთებიც, რომელთა ფასი 100 ათასი დოლარია. ამ ავტომანქანების ადგილსამყოფელი დღეს უცნობია.

გამჟღავნებულია მთელი რიგი სხვა ფინანსური დარღვევები. მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია საპრეზიდენტო ფონდიდან ახალი ტროლეიბუსების შესყიდვის შესახებ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ახალი ტროლეიბუსები რუსეთის ჰუმანიტარული საჩუქარი იყო, ფული კი აფხაზეთის პრეზიდენტის ფონდიდან ამ საქმისთვის მაინც გაიტანეს.

ახალი მთავრობა პირობას დებს, რომ საბიუჯეტო დარღვევებით პროკურატურა დაინტერესდება. თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები აქვე დასძენენ, რომ მოპარული ფულის ბიუჯეტში დაბრუნება ძნელი საქმე იქნება.

# მშვიდობა მოჩვენებითი აღმოჩნდა

პირველი გვერდიდან

სიხარულიძე სწრაფად გამოეხმაურა ამ ბარალდებებს და აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის უკან გარკვეული ძალები დგანან.

ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს, გიორგი არველაძეს, როინ ქოჩორაშვილის "შავი დოსიე" წარუდგინეს. წერილში თანაპარტიელები ქოჩორაშვილს კრიმინალად და ნარკომანად მოიხსენიებენ და აღმასრულებელი მდივანს იმასაც ვერ პატიობენ, რომ იგი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს, უმრავლესობის აზრს კი არ იზიარებს.

**"მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავიდან მხარს ვუჭერდით როინ ქოჩორაშვილს, მან მოვალეობას თავი ვერ გაართვა, პარტიის ერთსულოვნება ვერ შეინარჩუნა, რისი შედეგიც არის ის, რომ ჩვენ აქ მივიღეთ უკვე "ნაციონალური ოპოზიცია". არ გეგონოთ, რომ ეს ყველაფერი სკამების გულისთვის ხდება. 33-ლარიან სამსახურებზე სირცხვილია ასეთი სკანდალების მოწყობა... აქ საუბარია იმაზე, რომ არ შეიცვალოს გზა, კურსი, რომელიც პარტიას დაფუძნების დღიდან აქვს და არ წავიდეს უკუღმა, როგორც იყო ეს ზვიად გამსახურდიას დროს, როცა ის იდეური და ქვეყნის მოსიყვარულე ხალხი გვერდზე გაწიეს. შედეგად რა მივიღეთ? - მხედრიონობა, უბედურება და ქვეყნის დაშლა,"** - ამბობს "ნაციონალი" ვასიკო სეფიაშვილი.

წერილი, რომელიც როინ ქოჩორაშვილის წარსულს ეხებოდა და პარტიის სათავო ოფისში ჩაიტანეს, საბჭოს წევრთა სხდომაზე წაიკითხეს. მისმა შინაარსმა იმდენად შეაცბუნა საბჭოს წევრები, რომ ბევრმა წერილს ხელი არ მოაწერა. **"ეს წერილი ერთობლივად დაიწერა და ჩატანილ იქნა პარტიის სათავე ოფისში, რათა პარტიის ხელმძღვანელობა გარკვეულიყო, სინამდვილეში რა ხდებოდა გურჯაანის ნაცმოძრობაში. როინ ქოჩორაშვილი უმრავლესობის ინტერესებს არ ითვალისწინებს და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს იღებს. ამის შედეგია ის, რომ, ფიაქტობრივად, ნაცმოძრაობის ოფისი გურჯაანში არც კი არსებობს,"** - აღნიშნავს "ნაციონალი" ლაურა ჩითინაშვილი.



*ასეთ ტონალობაში მიმდინარეობდა გურჯაანელი ნაციონალების მთავარი საბჭოს სხდომა.*

სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საბჭოში გაწევრიანებულები არიან ის ადამიანები, რომელთაც ვარდების რევოლუციაში წვლილი არ მიუძღვით.

**"მე ისეთ ადამიანს რა ვუთხრა, როგორიც იზა თერგიაშვილია** (სოცგანყოფილების ხელმძღვანელი)**. მისი პასუხიუსმგებლობის საკითხი პროკურატურისთვისაა გადაცემული. ასეთი ადამიანები როგორ შევიყვანო პარტიის საბჭოს შემადგენლობაში?"** - კითხულობდა როინ ქოჩორაშვილი. ამგვარ შეფასებებს კი გამგეობის სოცგანყოფილების ხელმძღვანელის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. მან ის დრო გაიხსენა, როდესაც როინ ქოჩორაშვილი გურჯაანის გამგებლის მოადგილე იყო. **"ახლა ცუდი ქალი ვარ, არა? სანამ "ნაციონალებს" შეეკედელბოდა, იგი ყოველდღე მოდიოდა ოჯახის წევრებთან ერთად და მთხოვდა, რომ პარტიის სხვა წევრები გადმომებირებინა და მის ამ თანამდებობაზე დანიშვნისთვის ხელი შემეწყო. ამას გარდა, სოცგანყოფილების გამგედ რომ დამნიშნეს, ნაცნობ-მეგობრებს მიგზავნიდა, რომ დახმარება პირველად მათზე მიმეცა. ეს კი არა და, მისი სიმამრი ლამის ყოველდღე კაბინეტში მეჯდა და მბრძანებლობდა, ვისზე უნდა გამეცა დახმარებები. ახლა ვარ თანამდებობისთვის შეუფერებელი, არა?"** - აცახდებდა სოცგანყოფილების გამგე იზა თერგიაშვილია.

დღემდე ქოჩორაშვილთან დაპირისპირებული "ნაციონალები" შექმნილ ქაოსში პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს იოსებ კარდენახიშვილს ადანაშაულებდნენ. ამჯერად კი კარდენახიშვილის გამოსვლებს მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ. იოსებ კარდენახიშვილის მიმართ პრეტენზიებს კი მხოლოდ "ნაცმოძრაობის" ის ყოფილი წევრები გამოთქვამდნენ, რომლებიც "კონსერვატორებში" გადაბარგდნენ. **"ახლა რომ ამბობთ, როინ ქოჩორაშვილი პარტიის ლიდერად არ გვინდაო, თავის დროზე ვინც ხემძღვანელად დაგინიშნათ, იმას რატომ არ სთხოვთ პასუხს?"** -განაცხადა გია სოლომნიშვილმა და სოსო კარდენახიშვილზე მიუთითა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რეგიონული კოორდინატორი რამაზ ქერეჭაშვილი მომხდარს გარკვეული ძალებისგან მოწყობილს უწოდებს. **"აქ სულ რამოდენიმე დღის წინ გაიმართა პარტიის დამფუძნებელი კონფერენცია, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლო, თავისი აზრი გამოეთქვა. თუმცა მე ამ რაიონში რამდენჯერმე ვიყავი ჩამოსული და ყველას სათითაოდ ვეკითხებოდი, ხომ არ იყო რაიმე პრობლემა, მაგრამ ყველა მპასუხობდა, რომ ასეთი არ იყო. ეს შექმნილი სიტუაცია კი უფრო იმას ჰგავს, რომ მოწყობილი და დადგმული სცენარია,"** - აცახდებს რამაზ ქერეჭაშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ გურჯაანში პარტიის აღმასრულებელი მდივანი როინ ქოჩორაშვილი დაკავებული თანამდებობიდან არ გათავისუფლდება, როგორც "ნაციონალები" ამბობენ, სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზრდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიცია" საარჩევნო კოდექსში პარლამენტის მიერ 22 აპრილს შეტანილ ცვლილებებს აპროტესტებს. ცვლილებების მიხედვით, ცსკო-ს შვიდივე წევრს პრეზიდენტი წარადგენს. "მემარჯვენეები" აცხადებენ, რომ ცვლილებების მიღება ძალადობით და კანონის გვერდის ავლით მოხდა, რაც ერთ დღეში მეორე და მესამე მოსმენით კენჭისყრაში გამოიხატა. ამასთან, უმრავლესობის ძალისხმევით პარლამენტმა არ განიხილა ხუთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის მიერ შემუშავებული ალტერნატიული პროექტი. "მემარჯვენეები" მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ცვლილებებით ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბების მისთვის სასურველი მექანიზმი შეიმუშავა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეროვნული გვარდიის მმართველობის შტაბში დღეს, აშშ-ს ჯორჯიის შტატის გვარდიის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგება. ვიზიტის მიზანია საშტატო ერთეულებთან მუშაობა და სხვა სახის დახმარების პროცესების სრულყოფა. ოთხდღიანი სწავლების პერიოდში, ეროვნული გვარდიის მმართველობის ოფიცრები და უკვე გაწვრთნილი რეზერვისტთა ბატალიონების შტაბის უფროსები თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გაივლიან. სწავლებას ეროვნული გვარდიის ოცი ოფიცერი და რეზერვისტთა ბატალიონების შტაბის უფროსები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ მეღვრეკისის მოსახლეობას, მეორე დღეა, გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალი შერეული სამშვიდობო ძალების საგუშაგოსთან აქვს გადაკეტილი. მომიტინგეები სოფლიდან შვიდი დღის წინ გაუჩინარებული, 42 წლის დავით ბერუაშვილის საქმის გამოძიებას ითხოვენ. გუშინ მათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი შეხვდა, თუმცა რეალური დახმარების პირობა ვერ მისცა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "კონსერვატორები" საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და მის პარტიას იმ კრიმინალური ჯგუფის მფარველობაში ადანაშაულებენ, რომელმაც "სიმდიდრე მოსახლეობის მიერ სალაროებში შეტანილი დანაზოგების ხარჯზე დააგროვა."

აღნიშნული განცხადება "კონსერვატორებმა" მას შემდეგ გაავრცელეს, რაც საქართველოს პარლამენტმა ანაბრების გაუფასურების მიზეზების შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის შექმნაზე უარი თქვა. "კონსერვატორების" განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობის მსგავსი გადაწყვეტილება, თავისთავად, უარის თქმაა "ნაციონალური მოძრაობის" იმ წინასაარჩევნო დაპირების შესრულებაზე, რომლითაც პრეზიდენტი სააკაშვილი მოსახლეობას გაუფასურებული ანაბრების დაბრუნებას ჰპირდებოდა. **ინტერ-პრესი**

# მერია ახალ მანქანებს გაჭირვების გამო ყიდულობს

*იმისათვის, რომ ქალაქის ბიუჯეტს, დაახლოებით, 250 ათასი ლარით ნაკლები დაეხარჯოს, და კორუფციული ელემენტებიც აღმოიფხვრას, თბილისის მერიამ ავტოპარკი განაახლა. ამიერიდან, მერიისა და საკრებულოს 29 მაღალჩინოსანი ფრანგული "რენოს" და გერმანული "აუდის" მარკის მანქანით იმგზავრებს. ქალაქის ბიუჯეტიდან მანქანების შესაძენად 800 ათას ლარამდე დაიხარჯა.*

თამარ დვალი

არსებობს სამი ძირითადი მიზეზი, რისთვისაც მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნებს ძველი ავტოპარკი აუცილებლად უნდა განეახლებინათ.

პირველი და უმთავრესი არგუმენტი კორუფციის აღმოფხვრას უკავშირდება. მერიას გააჩნდა ავტოფარეხი, სადაც მანქანის, დახლოებით, 10-მდე ხელოსანი მუშაობდა. როგორც თბილისის მთავრობისა და საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გივი ორდენიძემ განაცხადა, მისი ინფორმაციით, ავტოფარეხებში, მთავრობის კუთვნილი ავტომობილების პარალელურად, უცხო პირთა ავტომობილების შეკეთებაც ხდებოდა, თანხები კი გარაჟის ხელმძღვანელობასთან მიდიოდა. ამასთან ერთად, მერიის კუთვნილ ავტოფარეხს სხვა მანქანების ავტოსადგომადაც იყენებდნენ და ეს თანხებიც ვიღაცების ჯიბეებში მიდიოდა.

მეორე მიზეზად სახელდება სხვადასხვა პროფილაქტიკების მომსახურება, რაც ხარჯების ხელოვნურ ზრდას იწვევდა. საქმე ის არის, რომ საკრებულოსა თუ მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი მანქანის შეკეთებისას, მაგალითად, ერთ ნაწილში, 10 ლარის ნაცვლად, ქვითარში 50 ლარს აწერინებდა. აპარატის უფროსი კი ვალდებული იყო, ეს ხარჯები ბიუჯეტიდან დაეფარა.

მესამე არგუმენტი საწვავის ხარჯებს უკავშირდება. ვინაიდან ძველი მანქანები პრესტიჟული და, ამავე დროს, მაღალი კუბატურის იყო, ბევრ საწვავს მოიხმარდა. თითოეულ მათგანს 100 კილომეტრზე, დაახლოებით, 15-დან 25 ლიტრამდე ბენზინი სჭირდებოდა. ამას ემატებოდა, მათი სიძველის გამო, ხშირი შეკეთების ხარჯებიც.

აღნიშნული პრობლემები ქალაქის მთავრობამ შემდეგნაირად გადაწყვიტა: მუნიციპალიტეტის ავტოპარკი "აუდის" მარკის 4 ავტომობილით და "რენოს" მარკის 25 მანქანით განაახლა. "აუდი" ქალაქის მერს, პრემიერს, საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს მდივანს მოემსახურება. "რენოებით" კი აპარატის უფროსი, ქალაქის ვიცე-პრემიერები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ხელმძღვანელები ივლიან.

ახალმა ავტოპარკმა, წინა წლებთან შედარებით, ქალაქს 250 ათასი ლარის ეკონომია უნდა მოუტანოს. რადგანაც ახალი მანქანები დაბალი კუბატურისაა და, შესაბამისად, ეკონომიურია. ისინი 100 კილომეტრზე, დაახლოებით, რვა ლიტრ საწვავს მოიხმარენ. გივი ორდენიძის გაანგარიშებით, ახალი მანქანებით შესაძლებელი იქნება როგორც საწვავის ხარჯების შემცირება, ასევე მათი ექსპლუატაციისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების დაზოგვა. ახლად შეძენილ მანქანებზე საჭირო სარემონტო სამუშაოები მათსავე სერვის-ცენტრებში ჩატარდება, სადაც თანხების გადახდა გადარიცხვის წესით მოხდება.

თბილისის მთავრობისა და საკრებულოს აპარატში მუშავდება მანქანების მოხმარების რეგლამენტი, სადაც მკაცრად იქნება გაწერილი, ვინ რაზე იქნება პასუხისმგებელი. რეგლამენტს დასამტკიცებლად საკრებულოს მალე წარუდგენენ. ავტოპარკის ძველი მანქანები აუქციონზე გაიყიდება.

# ომბუდსმენის გამოსვლამ მეწარმეები აალაპარაკა

პირველი გვერდიდან

გორის რაიონის გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი სოზარ სუბარის ბრალდებებს დიდად არ შეუწუხებია და იმ მოტივით, რომ მეგობრის დაბადების დღეზე თამადა იყო, კომენტარის გაკეთება არ ისურვა. **"მე საერთოდ არ მაინტერესებს ეგ საკითხი, და არ ვიცი, რაზე მესაუბრებით,"** - ასეთი იყო პაპუნაშვილის რეაქცია.

პრეზიდენტის რწმუნებული შიდა ქართლში მიხეილ ქარელი მაისურაძისათვის მიწის ჩამორთმევას კანონიერად მიიჩნევს. **"ყოფილი რწმუინებულების, ხატიძისა და ქობლიანიძის დახმარებით, ერთმა ოჯახმა 500 ჰექტარზე მეტი ფართობის მიწა ჩაიგდო ხელში. ხალხს კი არ ჰქონდა საშუალება ქვეიჯარით მაინც ესარგებლა. ეს იმ დროს, როდესაც მოსახლეობის 98 პროცენტი მძიმე სიციალურ პირობებში იმყოფებოდა. ხელისუფლება ამ საკითხით დაინტერესდა. აღმოჩნდა, რომ იჯარა მას უკანონოდ ჰქონდა გაფორმებული. იჯარა გაუქმდა და 20 დღის შემდეგ, კანონის სრული დაცვით, მიწა იჯარით 127 კაცზე განაწილდა"**

■ ■ ■

"კომერსანტი 95"-ის დირექტორი თემურ ბლუაშვილი იმედოვნებს, რომ საქმე ახლა მაინც წარიმართება კანონიერად. **"გორის რაიონული სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებები შეცვლილია, ახლა საქმე საოლქო სასამართლოში განიხილება. მე ხელი ხელშეკრულებაზე შანტაჟის შემდეგ მომაწერინეს. შპს-ს 14 მოწილე ჰყავს, მათი აზრი არავინ გაითვალისწინა. მე პირდაპირ ვადებ ხელს მიხეილ ქარელს და ირაკლი ოქრუაშვილს. ბაზრობის ხელში ჩაგდებით ისინი იყვნენ დაინტერესებულნი,"** - აცხადებს თემურ ბლუაშვილი.

■ ■ ■

მოიჯარე ნოდარ მაისურაძეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გარდა იმისა, რომ 73 ტონა ხორბალი წაართვეს, საიჯარო ხელშკრულებაც გაუუქმეს. მართალია, მაისურაძემ გორის რაიონის გამგეობის დადგენილება გაასაჩივრა, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსმა სამსონ ქებაძემ აღნიშნული ფართობები სხვა მოიჯარეებზე გაანაწილა.

**"ქვემო ხვითში მცხოვრებ პირებს, რომლებმაც ვერ მიიღეს ტენდერში მონაწილეობა (მიწის ნაკვეთის იჯარით მიღება), ცნობა უნდა აიღონ შინდისის საკრებულოში. ორშაბათამდე (18 აპრილამდე) ცნობა უნდა წარადგინოთ (პასპორტთან ერთად) გორის გამგეობაში. შუღლიასთან (იგულისხმება სამსონ ქებაძე - ავტ.). დააჩქარეთ."** (სტილი დაცულია). ამ განცხადების საფუძველზე მიიღო განცხადებები ახალი მოიჯარეების შესარჩევად სამსონ ქებაძემ. **"განცხადებებს იმიტომ ვიღებთ, რომ გავიგოთ, ვინ არის მთხოვნელი. მერე ჩვენ მოვუვლით, თქვენ რა, წინასწარ გინდათ მათქმევინოთ, კაცო!"** - ცხარობს შეკითხვებით შეწუხებული ქებაძე.

იმ მოტივით, რომ მაისურაძე სახელმწიფოს გადასახადებს უმალავდა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დაამტკიცა, რომ მაისურაძე სახელმწიფოს გადასახადებს არ უმალავდა. თუმცა, მასზე სისხლის სამართლის საქმე ჯერ არ შეწყვეტილა.

არავის მოუთხოვია პასუხი შპს "სალთვისი-2"-ის ამჟამინდელი დირექტორის ზურაბ ზანგალაძისთვის, რომელიც მაისურაძისთვის ჩამორთმეულ ხორბალს ყიდდა. ეს ფაქტი ჟურნალისტებმა თბილისობის წინა დღეს დააფიქსირეს.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ქართლოს სულაბერიძემ, რომლის დისციპლინარული გადაცდომის საკითხის განხილვა აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებისთვის იუსტიციის საბჭოში უახლოეს სხდომაზე იგეგმება, როგორც იქნა, განუმარტა რაიონის გამგეობის წევრებს, რომ 2004 წლის 25 აგვისტოს გამოტანილი განჩინების თანახმად, ხორბალი რეალურ მეპატრონეს - ნოდარ მაისურაძეს ეკუთვნის, რაზეც 21 აპრილს სააღსრულებო ფურცელიც შეადგინა.

**"სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი სამსონ ქებაძე, გორის რაიონის ყოფილი გამგებელი სოსო მუმლაძე და გორის რაიონის ამჟამინდელი გამგებელი ნუკრი პაპუნაშვილი ჩემთან საუბრის დროს ყოველთვის აცხადებდნენ, რომ მხარის გუბერნატორის მიხეილ ქარელის დავალებებს ასრულებდნენ. მიხეილ ქარელის სახელით დამემუქრა შპს "სალთვისი-2"-ის ყოფილი დირექტორი გოგი კერესელიძე. მან მითხრა, რომ თუ ჩემ მიერ მოყვანილ მოსავალს გავეკარებოდი, დამიჭერდნენ. მე ვცადე ქარელთან შეხვედრა, თუმცა მან ჩემთან საუბარი არ ისურვა. მას შემდეგ, რაც მოსავალი მაინც ავიღე, ჩემ მიმართ სრულიად უსაფუძვლოდ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე,"** - ამბობს ნოდარ მაისურაძე.

■ ■ ■

ბაზრის ყოფილი დირექტორი ჯემალ წიკლაური მიიჩნევს, რომ თუ ბაზარს სახელმწიფოს არ გადასცემდა, ციხიდან არ გამოუშვებდნენ. **"თავდაპირველად შემომითვალა ქარელმა, რომ ბაზარი მისთვის გადამეცა, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ამის შემდეგ საგადასახადო ინსპექცია შემომიგზავნეს და შეადგინეს ტყუილი აქტი, რომლის თანახმადაც, მე ვითომ სახელმწიფოს 287 ათასი ლარი დავუმალე. საგადასახადო ინსპექციამ მომცა ათდღიანი ვადა, რომ გადამეხადა ეს თანხა, თუმცა მესამე დღეს დამიჭირეს. ამ დროისთვის უკვე მქონდა 2 ათასი ლარი გადახდილი. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მე ჩემი ქონებით შემეძლო პასუხი მეგო სახელმწიფოს წინაშე, და პატიმრობა შემიფარდეს. ციხეში 4 თვე გავატარე. იქ მოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები ნოტარიუსთან ერთად, და მომაწერინეს ხელი აქტზე, სადაც ეწერა, რომ თურმე, მე თანახმა ვიყავი, ბაზარი სახელმწიფოსთვის გადამეცა. იმის გამო, რომ აზრი აღარ ჰქონდა ამხელა დავალიანების მქონე ობიექტის მესაკუთრეობას, დავთანხმდი. აქტზე ხელი მოვაწერე თუ არა, მაშინვე გამათავისუფლეს,"** - ამბობს" 24 საათთან" საუბარში ჯემალ წიკლაური.




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "სახალხო ფორუმი" საგარეო პოლიტიკაში "გადავარდა"

პირველი გვერდიდან

"ტრადიციონალისტების" ლიდერი დემოკრატიული რევოლუციების ტენდენციას არც დადებითად აფასებს, არც უარყოფითად და როგორც ფაქტს, ისე ღებულობს. მისივე თქმით, არანაირი სურვილი არა აქვს, ზემოთ ნახსენებ სარტყელში საქართველო რაღაც რგოლის ან ბალთის როლს ასრულებდეს.

გუშინდელ შეკრებაზე აკაკი ასათიანმა რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებაც ისაუბრა. ქართველი პოლიტიკოსი ამ ბაზების გაყვანას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევს, მაგრამ იმასაც შენიშნავს, რომ დღეისათვის მაინც ბუნდოვანი სიტუაციაა.

**"რუსები მოითხოვენ, რომ საქართველოდან ჩვენი გასვლის შემდეგ, სხვები არ შემოვიდნენო. ამაზე საქართველოს ხელისუფლება გარკვევით არაფერს პასუხობს,"** - აღნიშნავს ასათიანი და ქვეყნის მმართველი გუნდისგან მოითხოვს, რომ გონივრული გათვლების საფუძველზე, მიიღოს გადაწყვეტილება, მიზანშეწონილია თუ არა დასავლური სამხედრო ძალების საქართველოში შემოყვანა.

აკაკი ასათიანის მტკიცებით, ნატო-ს ხელმძღვანელობა საქართველოს ხელისუფლებას ჰპირდება, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშეც მიიღებს.

**"ზოგიერთი ამით აღტაცებულიც კი დარჩა. ისინი სულელები არიან, რადგან ვარაუდობენ, თითქოს, დაკარგულ ტერიტორიებს, ნატო-ში შესვლის შემდეგ, სამხედრო ძალით დავიბრუნებთ,"** - აცხადებს "სახალხო ფორუმის" წარმომადგენელი. აკაკი ასათიანი იმაშიც ღრმად არის დარწმუნებული, რომ თუ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზები გავა, მაგრამ სამშვიდობო ძალები დარჩება, ამით არაფერი შეიცვლება.

**"ეს საქართველოსთვის უარესი იქნება,"** - დასძენს ასათიანი.

# შარშანწინდელი დაპირება გასულ კვირას შესრულდა

ნანა ქადაგიშვილი

*მიწისძვრის შედეგად ათასობით დაზარალებულთა შორის ყველაზე მეტად 246 ოჯახს გაუმართლა. მათ შარშანწინ, დროებით თავშესაფრებად მიცემული ბინები საკუთრებაში გადაეცათ და კუთვნილი დანგრეული ბინებიც შერჩათ. თუმცა, ამ 246 ოჯახს ეს ყველაფერი ხანგრძლივი ლოდინისა და ბრძოლის ფასად დაუჯდა.*

დაზარალებულთა 246 ოჯახსა და თბილისის მთავრობას შორის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მათ დროებითი თავშესაფრები საკუთრებაში გადაეცათ, ახლახან გაფორმდა. არადა, მიწისძვრით დაზარალებულთათვის დროებითი თავშესაფრების გადაცემის წესის თანახმად (რომელიც ზოდელავას მერობის დროს დამტკიცდა), მათ ეს თავშესაფრები ჯერ კიდევ შარშანწინ უნდა გადასცემოდათ. როგორც აღნიშნული დოკუმენტი მოითხოვდა, თუკი დაზარალებულების კუთვნილი დაზიანებული ბინები სამ თვეში არ აღდგებოდა, მთავრობას მათთვის თავშესაფრებიც უნდა გადაეცა და კუთვნილი ბინებიც მფლობელობაში დაეტოვებინა. თბილისის ყოფილი მერი ამ ადამიანებს თავშესაფრების დაკანონებას მხოლოდ სიტყვიერად შეჰპირდა, მაგრამ ბინები იურიდიულად არ გაუფორმებია.

ძველი ხელისუფლებისგან მოტყუებულმა დაზარალებულებმა პასუხი ახალ ხელისუფლებას მოსთხოვეს. თუმცა, ეს უკანასკნელიც კარგა ხანს ითრევდა ფეხს. ქალაქის მთავრობა ამ ხალხისათვის პასუხის გაცემას საკრებულოს სთხოვდა. საკრებულოს უმრავლესობა კი თავს იმით იმართლებდა, დაზარალებულთა ყოფილი ფონდის ხელმძღვანელი გონგლაძე ავად არის და საჭირო საბუთების შეკრება ვერ შევძელითო. ოპოზიციამ მდგომარეობა გამოიყენა და უმრავლესობის უკმაყოფილო მოქალაქეებს გვერდში ამოუდგა, მაგრამ დაზარალებულებს არც ამითი ეშველათ რამე. საბოლოოდ, საკითხი პრეზიდენტმა გადაწყვიტა. მან დაზარალებულებისთვის თავშესაფრების საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა და საკრებულომაც, 17 მარტს გამართულ სხდომაზე, ეს საკითხი ერთხმად მიიღო და იურიდიული მხარის მოგვარება მთავრობას დაავალა.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გამოაგზავნეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.



### კინოტრადიციების სასამართლო პროცესი

ადვოკატი: გიორგი ოვაშვილი (არაპოლიტკორექტული კინემატოგრაფიის ინტერესების დამცველი): მე კიდევ ერთხელ ვფიქრობ ერთ ფაქტს-კინემატოგრაფი არის ფორმისა და შინაარსის ჯამი. ზუსტად მხოლოდ ფორმის დახვეწით ახდენს პოლიტიკური თავის მიზნების მიღწევას და შინაარსი გადადის მეორე, მესამე, მეოთხე პლანზე. კინო არ არის მხოლოდ ბიზნესი ან მისი ნაწილი. კინო ბოლოსდაბოლოს ხელოვნებაა.

ადვოკატი: თამარ სულხანიძე (პოლიტკორექტულის ინტერესების დამცველი): მსოფლიოში არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ის კინოპროდუქცია რომელიც იქმნება ჰოლივუდში არის მდარე ხარისხის. ეს არ არის მართალი. კინოში როგორც მუსიკაში, მწერლობაში ფორმა და შინაარსი უნდა იყოს ჰარმონიაში ერთმანეთთან, რასაც ალბათ მაღალპროფესიონალურად ახერხებენ ჰოლივუდელი კინემწარმოებლები. ფილმი იქმნება იმიტომ რომ იგი გაიყიდოს, ასე რომ ნებისმიერი ევროპული ფილმიც კომერციული გამოდის.



ვერდიქტი: შვიდი ხმით ხუთის წინააღმდეგ გაიმარჯვა პოზიციამ „არაპოლიტკორექტულმა ტრადიციებმა"
კითხვა: „რომელი კინოტრადიცია მიაჩნიათ მართებულად პოლიტკორექტული თუ არაპოლიტკორექტული"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.გიორგი | (არაპოლიტკორექტული) | 7.ვანო მოიძე | (პოლიტკორექტული) |
| 2.ლელა | (არაპოლიტკორექტული) | 8.ანდრია აბაშიძე | (პოლიტკორექტული) |
| 3.ლევანი | (არაპოლიტკორექტული) | 9.ლერი | (პოლიტკორექტული) |
| 4.კახა | (პოლიტკორექტული) | 10.სოფიო | (არაპოლიტკორექტული) |
| 5.გიორგი გაბიძე | (პოლიტკორექტული) | 11.გიორგი ბერიძე | (არაპოლიტკორექტული) |
| 6.ლევანი II | (არაპოლიტკორექტული) | 12.ნათია მაჭარაძე | (არაპოლიტკორექტული) |

შენიშვნა: დამარცხებული მხარის ადვოკატმა გაასაჩივრა ვერდიქტი და რადიო „მწვანე ტალღის" დილის სასამართლოში შეიტანა განცხადება საქმის ხელმეორედ მოსმენის შესახებ.

# მხოლოდ გაყვანის რეჟიმში

პირველი გვერდიდან

**"დადგენილება, რომელიც პარლამენტმა რუსულ სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით მიიღო, არ ყოფილა თამაში. ჩვენი მხრიდან არის მეტად სერიოზული განწყობა, არის მთავრობის მზადყოფნაც და შემუშავებულია რუსული სამხედრო ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობის სპეციალური რეჟიმი, რომელსაც ჩვენ დავიცავთ და აუცილებლად განვახორციელებთ,"** - აღნიშნა თარგამაძემ.

რეჟიმი, რომელიც იმ შემთხვევაში ამუშავდება, თუ მხარეები ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით შეთანხმებას 15 მაისამდე ვერ მოახერხებენ, ორ ეტაპად განხორციელდება - 2006 წლის პირველ იანვრამდე და აღნიშნული თარიღის შემდეგ.

პირველ ეტაპზე, რუსეთს ბაზების გასაყვანად ვადა 2006 წლის 1 იანვრამდე ეძლევა და სპეციალური გადაადგილების რეჟიმი მოქმედებს, როგორც სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობისთვის, ასევე - ტექნიკისა და ტვირთებისთვის. **"ეს რეჟიმი უზრუნველყოფს ბაზების ფუნქციონირებას მხოლოდ გაყვანის რეჟიმში,"** - ხაზს უსვამს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

რაც შეეხება გადაადგილების შესაძლებლობებს, განსაზღვრულია კონკრეტული მიმართულებები და საბაჟო პუნქტები, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება მოძრაობა. ამასთან, ყველა მოძრაობა და გადაადგილება, მხოლოდ და მხოლოდ ბაზების გაყვანას უნდა ემსახურებოდეს. ამავე დროს, სამხედრო მოსამსახურეებზე ვიზების გაცემა შეწყდება. **"ანუ როტაცია, ან პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის გაზრდა გამორიცხული იქნება,"** - ამბობს თარგამაძე.

სამხედრო მოსამსახურეებს ეკრძალებათ ყოველგვარი აქტივობის გამოჩენა, მათ შორის, იმ მოქმედებების თვითნებურად განხორციელება, რაც ბაზების გაყვანას არ ემსახურება და **"ეს გაკონტროლდება ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების მიერ."**

რაც შეეხება მეორე ეტაპს, ის იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა 2006 წლის იანვრამდე მაინც არ მოხდება.

**"ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, რეჟიმი დამძიმდება და გაიზრდება დიპლომატიური სანქციები. გარდა ამისა, შესაძლებელია ბაზების პირდაპირი ბლოკირება და ყოველგვარი გადაადგილების შეზღუდვა,"** - აცხადებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის - ფედერაციის საბჭოს - თავმჯდომარის სერგეი მირონოვის თბილისში მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საკითხი სწორედ საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა იყო.

თბილისში ჩამოსვლისთანავე, სერგეი მირონოვი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში არსებული ნებისმიერი პრობლემის განსახილველად მზად არის. მირონოვმა იმედი გამოთქვა, რომ მხარეები მოლაპარაკებების შედეგად კომპრომისული გადაწყვეტილების გამონახვას შეძლებენ.

**"რუსეთის მხარემ ბაზების საკითხთან დაკავშირებით თავისი წინადადებები თებერვლის ბოლოს, დამატებითი წინადადებები კი - მარტის მიწურულისთვის წარმოადგინა. თუმცა, ჯერ არ მიგვიღია ისეთი პასუხი, რომელიც ყველას დაგვაკმაყოფილებდა. ჩემი აზრით, მოლაპარაკებებზე საჭიროა კომპრომისული ვარიანტის მოძებნა, რომელიც ყველასათვის მისაღები აღმოჩნდება,"** - თქვა მან ჟურნალისტებთან საუბრისას.

ამასთან, სერგეი მირონოვმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინის მიწვევას მიიღებს და გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 9 მაისს მოსკოვს ეწვევა.

**"საქართველოს პრეზიდენტი მოსკოვში 9 მაისისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად არის მიწვეული. ქართული მხარისგან საბოლოო პასუხი ჯერ არ გვაქვს, მაგრამ, არ დავმალავ, დიდი იმედი მაქვს, რომ ის რუსეთის დედაქალაქს ეწვევა,** - განაცხადა მან, - **ჩვენი საერთო გამარჯვების ხსოვნისათვის პატივის მიგების გარდა, მოლაპარაკებებისათვის დრო ყოველთვის გამოიძებნება."**




# ბათუმი მაჟორიტარის გარეშე შემოდგომამდე იქნება

*აჭარაში მაჟორიტარული არჩევნები ივნისში არ შედგება. პასუხიმგებლობას ოპოზიცია ცსკო-სა და ხელისუფლებას აკისრებს, ცსკო - პარლამენტს, უმრავლესობა - არავის. ბათუმელებს კი დაავიწყდათ, რომ პარლამენტში წარმომადგენელი უნდა ჰყავდეთ.*

ნატა ცივაძე
*ბათუმიდან*

თემურ ზაქარაძე 10 წელია ბათუმში გამსახურდიას ქუჩას ასუფთავებს. გამოცდილ მეეზოვეს უკვე აღარ უწევს კედლებიდან ჩამოხეული საარჩევნო პლაკატების გადაყრა და არც ის იცის, ჰყავს თუ არა ბათუმს თავისი წარმომადგენელი პარლამენტში. ის ამბობს, რომ ბათუმის მაჟორიტარს "გული უნდა ჰქონდეს კარგი".

ქუჩაში გამოკითხული ბათუმელების უმრავლესობა ვერ ასახელებს, ვინ არის ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში. მათ, უბრალოდ, არ ახსოვთ. თუმცა ფიქრობენ, რომ პარლამენტში "აუცილებლად უნდა იყოს ბათუმის წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს ქალაქზე იზრუნებს და ცენტრში სწორ ინფორმაციას ჩაიტანს."

ეს მხოლოდ ჩვენ მიერ გამოკითხულ ადამიანთა აზრია. ზოგადად, ამომრჩევლის განწყობის (როგორც ბათუმში, ასევე ქობულეთსა და შუახევში) ინდიკატორი კი თავად არჩევნები იქნება. არჩევნების ჩატარების თარიღი პარლამენტში ოპოზიციასა და პოზიციას შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსით, აჭარის გამოტოვებულ საარჩევნო ოლქებში არჩევნები 26 აპრილამდე უნდა დაინიშნოს, ანუ არჩევნებამდე 2 თვით ადრე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ნონიკაშვილი ამბობს, რომ არჩევნების დანიშვნას აზრი არ აქვს, რადგან რამდენიმე დღეში პარლამენტი მეორე და მესამე მოსმენით მიიღებს კანონპროექტს ახალი ცსკო-ს ჩამოყალიბების შესახებ. თვისობრივად ახალი, შვიდკაციანი ცენტრალური საარჩევნო კომისია თვენახევარში უნდა შეიქმნას. **"კი, ბატონო, დაინიშნოს არჩევნები, მაგრამ პროცედურის მიხედვით, ივნისის შუა რიცხვებში ახალი ცსკო უნდა შეიკრიბოს. აბსოლუტურად ახალი ხალხი ერთ კვირაში ჩაატარებს არჩევნებს? ოლქებიც კი არ იქნება ჩამოყალიბებული. მოცემულ ოლქებში არჩევნები რომ დავნიშნო, ხომ უნდა მქონდეს კანდიდატების უფლებამოსილების თაობაზე დოკუმენტი? საკანონმდებლო ვაკუუმი იქმნება. შუახევში დავითაძე იყო და გარდაიცვალა, მაგრამ დანარჩენ სამ რაიონში პარლამენტს არ უცვნია არჩეული მაჟორიტარების უფლებამოსილება. მე კიდევ ვითხოვ, რომ მომცენ მათი უფლებამოსილების შეწყვეტის დოკუმენტი,"** - ამბობს ზურაბ ნონიკაშვილი.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული მაჟორიტარების - ჯემალ გოგიტიძისა და როსტომ ჯაფარიძის უფლებამოსილება პარლამენტმა იმ უბრალო მიზეზის გამო არ ცნო, რომ ისინი არ გამოცხადდნენ პარლამენტში და არ გაიარეს ნარკოლოგიური შემოწმება. შემოდგომაზე ცსკო-მ შუალედური არჩევნები აჭარის გარდა ტყიბულსა და თბილისის ერთ ოლქშიც არ დანიშნა.

კონსერვატული პარტიის ლიდერი - კობა დავითაშვილი ამბობს, რომ ეს არის კონსტიტუციის, საარჩევნო კოდექსის უხეში დარღვევა და ამაზე პასუხი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა აგოს.

უფრო რადიკალურია "რესპუბლიკური პარტიის" თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას აჭარის არჩევნებში დამარცხების ეშინია: **"სხვა ახსნას ვერ ვპოულობ. შარშან, შემოდგომაზე, როცა დაინიშნა შუალედური არჩევნები თბილისის ორ ოლქში, ზესტაფონსა და გორში, საკანონმდებლო ხარვეზი მოიმიზეზეს და აჭარასა და ტყიბულში არჩევნები არ დანიშნეს. შემდეგ ეს საკანონმდებლო ხარვეზი თითქოს გაასწორეს და თქვეს, რომ არავითარი პრობლემა აღარ არის. უკვე ვიცით, რომ ჯემალ გოგიტიძე და როსტომ ჯაფარიძე დეპუტატები არ არიან და გაზაფხულისთვის არჩევნები დაინიშნება. ახლა იმიზეზებენ იმას, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია რეორგანიზაციის სტადიაშია, მაგრამ ეს არავითარ კავშირში არ არის არჩევნების თარიღთან. დღევანდელი საარჩევნო კომისია მანამ აგრძელებს ფუნქციონირებას, სანამ არ დაინიშნება ახალი ადმინისტრაცია და კანონი არ შევა ძალაში. ამიტომ პრაქტიკულად არ არსებობს გამართული არგუმენტი იმისა, თუ მაის-ივნისში რატომ არ ტარდება მაჟორიტარული არჩევნები ბათუმსა და სხვა ოლქებში. ცენტრალური საარჩევნო კომისია ითხოვს, პარლამენტმა გააკეთოს მიმართვა, რომ გოგიტიძე, ჯაფარიძე და სხვები ნამდვილად არ არიან დეპუტატები. რაკი პარლამენტი მას არ მიმართავს (პარლამენტი არ მიმართავს, იმიტომ რომ მას ეს არ უნდა), ცსკო არჩევნებს ვერ ნიშნავს".**

დავით ბერძენიშვილის თქმით, ბათუმის არჩევნები იქნება ხელისუფლების რეიტინგის ინდიკატორი მთელ საქართველოში: **"პრეზიდენტია ის პირი, ვისაც არჩევნების დანიშვნა არ უნდა. მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება სააკაშვილს. მან კარგად იცის, რა ზომა-წონის კანდიდატი შეიძლება წარმოადგინოს. მას არ სურს აჭარის რევოლუციის წლისთავზე მთელი ქვეყნისთვის მთავარი პოლიტიკური მოვლენა ბათუმში მაჟორიტარული არჩევნები იყოს. მას არ სურს იმის დაფიქსირება, რომ "ნაციონალებსა" "რესპუბლიკურ პარტიას" შორის იქნება სერიოზული დავა".**

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია პირველ რიგში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბრალდებას - დეპუტატების უფლებამოსილების არცნობასთან დაკავშირებით - უარყოფს: **"ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. პარლამენტს ყველაფერი კონსტიტუციის მიხედვით აქვს გაკეთებული. ცესკო-ს შეეძლო, აქამდე დაენიშნა არჩევნები. პრობლემა სხვაა - ამ კვირაში მიიღება კანონპროექტი მეორე და მესამე მოსმენით, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციის დაკომპლექტების ახალ წესს. დაკომპლექტებას დასჭირდება თვე, თვენახევარი. აქედან გამომდინარე, არარეალურია, რომ ახალმა ადმინისტრაციამ ჩაატაროს ეს არჩევნები. რა თქმა უნდა, სასურველი იყო არჩევნები ივნისში ჩატარებულიყო, თუმცა დემოკრატიის, პოლიტიკური ოპოზიციისთვის, ხელისუფლების რეიტინგის თუ სხვა თვალსაზრისით, არსებითად არაფერი იცვლება. მოდის ოქტომბერი და გამოჩნდება, სად, ვის, რა რეიტინგი აქვს".**

გიგა ბოკერია ამბობს, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია **"არჩევნები ჩატარდეს უფრო უკეთესად, ვიდრე წინა არჩევნები. როცა ვლაპარაკობთ ამომრჩევლის უფლებების დარღვევაზე, რა თქმა უნდა, არავის დაეკისრება სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლებრივი - მით უმეტეს. ახლა მიდის ინსტიტუციონალური მშენებლობა, როცა დაეწყობა ყველაფერი, ასეთი ფორსმაჟორული სიტუაციები აღარ იქნება".**

გიგა ბოკერია გარკვეულ პროგნოზსაც აკეთებს და აცხადებს, რომ ხელისუფლებას არჩევნების არ ეშინია: **"ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის საარჩევნო შესაძლებლობას სერიოზულად არ ვუყურებ, თუმცა გამორიცხული არაფერია. მთელ მსოფლიოში, გამოტოვებულ არჩევნებში დაბალი აქტივობაა, ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩეველი მოდის ძალიან აქტიურად - ეს დემოკრატიის წესია. შესაბამისად, ოპოზიციის შანსები იზრდება, თუმცა ცოტა ხნის წინ ჩატარდა გამოტოვებული არჩევნები თბილისში და იქ ოპოზიციის დიდი შედეგები ვერ ვნახეთ".**

არჩევნების თარიღის დანიშვნამდე პარტიები კანდიდატებზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევენ, თუმცა ყველა აღნიშნავს, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა ერთმანეთს ხმები არ უნდა წაართვან. ყველა ცალკ-ცალკე საუბრობს ერთიან ოპოზიციურ კანდიდატზე, თუმცა კონსულტაციებს არჩევნების დანიშვნის შემდეგ გეგმავენ. ბათუმში, სავარაუდოდ, ეს "რესპუბლიკელების" კანდიდატი იქნება.

კანდიდატურები ჯერ სერიოზულად არ განხილულა სახელისუფლებო ბლოკშიც. გიგა ბოკერია უარყოფს გიორგი ბარამიძის შესაძლო მონაწილეობას ბათუმის არჩევნებში.

არჩევნები, ალბათ, შემოდგომაზე ჩატარდება. მანამდე კი, ერთი შეხედვით, ბათუმელები დიდად არ ისაკლისებენ, რომ პარლამენტში საკუთარი წარმომადგენელი არ ჰყავთ. როგორც 23 წლის ბათუმელი ირაკლი ჭეიშვილი ამბობს, **"როცა ჩვენ მიერ არჩეული სახე იქნება პარლამენტში, მერე მივხვდებით, გვაკლია თუ არა."**

# საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2004 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭო, თავის საქმიანობაში, ეფუძნება ქვეყნის პრეზიდენტის, ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფციას, ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს სოციალურ სფეროში და მოქმედებს დამტკიცებული დებულებისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის რეგლამენტის ფარგლებში.

სამეთვალყურეო საბჭომ, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სისტემის გამჭვირვალობის, ფონდის მუშაობის საჯაროობის უზრუნველყოფისა და დემოკრატიული პრინციპებით მართვის მიზნით, 2004 წლის ივნისიდან, განახლებული შემადგენლობით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, თავის სხდომებზე განიხილა ფონდის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის, სამედიცინო და სოციალური სახელმწიფო პროგრამების შესრულების მდგომარეობა, ასევე ორგანიზაციულ და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხები.

2004 წლის საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საერთო შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული განწერის შესაბამისად, განისაზღვრა 448 127 000 ლარით, მათ შორის: პენსიებისათვის - 306 550 500 ლარი; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებისათვის - 96, 569 მლნ ლარი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამებისათვის - 4,229 მლნ ლარი; უმუშევრობის სოციალური დაცვის და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებისათვის - 2,1 მლნ ლარი; უმწეოთა სოციალური (საოჯახო) დახმარებისათვის - 18 მლნ ლარი. სოციალური დაზღვევის გადასახადის ოდენობა განისაზღვრა 388 000 000 ლარით, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი დაიგეგმა 49 977 000 ლარით. სოციალური დაზღვევის გადასახადების სახით 2004 წელს ფონდის სახაზინო ანგარიშზე მიღებულ იქნა 393 946 100 ლარი.

სამეთვალყურეო საბჭო ფონდის საქმიანობის კონტროლს ახორციელებდა არა მხოლოდ საბჭოს სხდომებზე გამოტანილი საკითხებით, არამედ, ფონდის ყოველდღიურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით, ფონდის ხელმძღვანელობასთან, სტრუქტურული ერთეულების უფროსებთან თანამშრომლობით, რამაც საშუალება მოგვცა მიმდინარე საკითხები სამუშაო მდგომარეობაში გადაწყვეტილიყო. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების პრეზენტაციებში, მოქალაქეთა მიღების პროცესში, მასმედიასთან ურთიერთობაში, უცხოელ დონორებთან სფეროს რეფორმირების პროექტების განხილვაში.

სამეთვალყურეო საბჭომ 2004 წლის სამუშაო გეგმაში, პირველ ყოვლისა, გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ უახლოესი პერიოდისათვის სოციალურ სფეროში გამოკვეთილი პრიორიტეტების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, კერძოდ: ყველა სახის საპენსიო დავალიანებათა შემჭიდროებულ ვადებში გასტუმრების, პენსიების ოდენობის ეტაპობრივი და დიფერენცირებული გაზრდის, სოციალური დახმარებებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ფენებზე მაქსიმალური კონცენტრირების საკითხები.

სოციალურ სფეროში დასახული ამოცანების სრულფასოვანი რეალიზაციის მიზნით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, სამეთვალყურეო საბჭოს უშუალო და აქტიური მონაწილეობით, 2004 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა და საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ სფეროში განსაზღვრული თანხების განკარგვისა და მართვის კონკრეტული ღონისძიებები.

საბჭოს უშუალო მონაწილეობით, მომზადდა სოციალური სფეროს სისტემური და სტრუქტურული რეფორმის პროექტი. დაიწყო ფონდის ცენტრალური აპარატის, რეგიონული და რაიონული ფილიალების სტრუქტურის რეორგანიზაცია და საკადრო პერსონალის ოპტიმიზაცია; შემუშავდა და დამტკიცდა ფონდის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონული, რაიონული, საქალაქო ფილიალების თვისობრივად სრულიად ახალი დებულებები, განისაზღვრა მუშაკთა ახალი ფუნქციები, უფლება-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ფონდის აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონულ, საქალაქო და რაიონულ ფილიალებში (თბილისის ჩათვლით) საკადრო ოპტიმიზაციის შედეგად, პირველ ეტაპზე 1692 საშტატო ერთეული შემცირდა 1206-მდე (ე.ი. შტატები 29%-ით შემცირდა). ამჟამად, ფონდის ცენტრალურ აპარატში საკადრო ოპტიმიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, სისტემაში ეტაპობრივად მიღწეული იქნება სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაცია და მმართველობით გადაწყვეტილებათა განხორციელების ოპერატიულობის ამაღლება.

სისტემაში მიმდინარე რეფორმის უზრუნველსაყოფად განხორციელდა: საპენსიო მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საფინანსო მექანიზმების სრულყოფა; პროგრამებით მოსარგებლე კონტინგენტის დაკონკრეტება, სახელმწიფო პროგრამების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ინფორმაციული ქსელების განვითარებისა და პრესასთან ურთიერთობის გააქტიურების საშუალებით; სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სამსახურის ახლებური მოწყობა; არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ტენდერების ჩატარება.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანია საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზაციული, საკადრო, საფინანსო მომსახურების მექანიზმების სრულყოფა, ამ სფეროში კორუფციული გარემოს აღმოფხვრა, პენსიონერებამდე ხელისუფლების გადაწყვეტილებების დაყვანა, სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და ქვეყნის მთავრობის 2004 წლის 18 აგვისტოს N96 განკარგულების საფუძველზე, საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში სისტემური და სტრუქტურული რეფორმების დაწყების მიზნით, ფონდის ხელმძღვანელობის მიერ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთობლივად შექმნილი კომისიების საშუალებით, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჩატარდა პენსიონერთა განმეორებითი რეგისტრაცია, პენსიონერთა რაოდენობის დაზუსტება, საპენსიო საქმეთა შემოწმება, საპენსიო დავალიანებათა დაზუსტება. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო საბჭოს მთელი შემადგენლობა და პენსიონერთა საკონტროლო რეგისტრაციის შედეგები საბჭოს სხდომაზე იქნა განხილული. პენსიონერთა ინფორმირების მიზნით, შეიქმნა "ცხელი ხაზის" ქსელი, რომელმაც ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებისა და გადაწყვეტილებების მიღების საშუალება მოგვცა.

პენსიონერთა განმეორებითი რეგისტრაციის პროცესში, 2005 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, რეგისტრაცია გაიარა 823 875 პენსიონერმა, რომელთაგან რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვალა 805 796 ადამიანი, 18 079 პირს არ ჰქონდა პიროვნების დამადასტურებელი საბუთი. რეგისტრაციაში არ გატარდა 18 645 პენსიონერი, რომლებსაც შეუჩერდათ პენსიის გაცემა. რეგისტრაციის პროცესში, ასევე გამოვლინდა 7024 გარდაცვლილი პენსიონერი, რომელთა მიმართ დროულად იქნა შეწყვეტილი პენსიის დარიცხვა. პენსიონერთა რეგისტრაციის პროცესი გრძელდება და მისი საბოლოო შედეგები ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება მასმედიის მეშვეობით.

საპენსიო თანხების დარიცხვისა და გაცემის არსებული სქემების გაუმჯობესების მიზნით, ფონდის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა "სახალხო ბანკმა" დაიწყო პენსიონერთა გადაყვანა ანაბრების სისტემაზე და ყველა პენსიის მიმღები (869 007) ჩაერთო ამ სქემაში; საპენსიო თანხები ირიცხება კონტრაქტორ ბანკში, პერსონალურად თითოეულ მოქალაქეზე და პენსიების გაცემა ხდება ბანკის პლასტიკური ბარათებით. აღნიშნულმა ღონისძიებამ გამჭვირვალე გახადა საბანკო ქსელში საპენსიო თანხების მოძრაობა და გაამარტივა პენსიონერების მომსახურების ადრე არსებული სისტემა. ამასთან, პენსიონერთა სურვილის შესაბამისად, "საქართველოს ფოსტა," როგორც "სახალხო ბანკის" კონტრაქტორი, ჩართულია მომსახურების სქემაში.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ქვეყნის მასშტაბით საპენსიო დავალიანებათა გასტუმრების პროცესის დაწყება, რამაც პენსიონერთა შორის ხელი შეუწყო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას. 2004 წელს საპენსიო დავალიანების დაფარვისათვის დაიხარჯა 87 989 391 ლარი, ხოლო 2005 წელს პენსიონერთა დავალიანების დაფარვა გათვალისწინებულია 47 822 230 ლარით. 2005 წლის აპრილისათვის მიმდინარე თვის პენსიასთან ერთად დაიფარება ორი თვის საპენსიო დავალიანება 13 მილიონი ლარის ოდენობით და ივნისისათვის ქვეყნის მასშტაბით ამოიწურება საპენსიო დავალიანება, შესაბამისად, აღარ იარსებებს ეგრეთ წოდებული "გაყინული პენსიის" ცნება. ამასთანავე, აპრილის თვეში ძალოვანი უწყებების პენსიონერთა ვალის დასაფარად გადაირიცხა 3 მილიონ 925 ათასი ლარი, რითაც სრულად დაიფარა ამ სისტემის პენსიონერთა დავალიანებაც. ცალკეული შემთხვევების განსახილველად და ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების მიზნით, პენსიონერებს შესაძლებლობა აქვთ, დაუკავშირდნენ ფონდის "ცხელ ხაზს."

ფონდის საპენსიო სეგმენტის საქმიანობის რეორიენტაციისა და რეფორმირების მიზნით, დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ერთობლივი თანამშრომლობით, შემუშავდა პენსიის დანიშვნა-გაცემისა და საპენსიო დოკუმენტების მოძრაობის გამარტივებული სქემა, რამაც ხელი შეუწყო ამ პროცესში დამკვიდრებული ბიუროკრატიული მექანიზმების აღმოფხვრას.

2004 წლის სექტემბრიდან სრულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე გადავიდა ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერთა პენსიების ცენტრალური დაფინანსების სქემა, რამაც სისტემის გაუმჯობესება და მობილურობა უზრუნველყო.

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარებების სისტემის რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კანონმდებლობით არსებული შეღავათების მონეტიზაციის დაწყება, რომლის ადმინისტრირება, როგორც ახალი ფუნქცია, დაევალა სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს. აღნიშნული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ფონდში შეიქმნა ელექტროენერგიის შეღავათებით კანონით მოსარგებლე მოქალაქეთა, პენსიონერთა და უმწეო ოჯახების კომპიუტერული აღრიცხვის პროგრამა. 2005 წლის მარტის მდგომარეობით, 99 281 მოქალაქეზე გაიცა 2,231 291 ათასი ლარი.

2004 წელს საოჯახო დახმარება მიიღო 59 270 ოჯახმა, რისთვისაც ფონდის მიერ გამოყოფილ იქნა 17 მლნ 738,9 ათასი ლარი.

ზემოაღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ფონდის ცენტრალურ ოფისში პენსიონერთა მომართვების, განცხადებებისა და საჩივრების ნაკადი. თუ 2003 წელს ფონდში საპენსიო პრობლემატიკაზე შემოსული იყო 41 121 კორესპონდენცია, 2004 წელს - მხოლოდ 24 516 ერთეული, ე.ი. შემცირდა 16 605 ერთეულით.

სამეთვალყურეო საბჭომ თავის სხდომაზე შეაფასა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების მიზნობრიობის უზრუნველყოფის, მოსახლეობის ფართო ფენებამდე მათი დაყვანის პროცესი, სამედიცინო პროგრამების კონტრაქტორ დაწესებულებებზე განაწილებისა და შესრულების მდგომარეობა. სამეთვალყურეო საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღო აჭარაში, იმერეთში, გურიაში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში 2005 წლის საპრეზიდენტო პროგრამის (სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა - "03") და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების საინსტალაციო შეხვედრებში.

მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის რეალიზაციის მიზნით, 2004 წელს, ფონდის ინიციატივით, შეიქმნა არასამთავრობო სექტორის, ასევე საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული "სამედიცინო დახმარების ღირებულების ანაზღაურების განმსაზღვრელი საზოგადოებრივი კომისია", რომლის საქმიანობამ ხელი შეუწყო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე თანხის მიზნობრიობისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, პერსონალური გადაწყვეტილებების მიღებაში ჩინოვნიკური და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას. 2004 წელს სულ დაკმაყოფილდა 7 680 ინდივიდუალური მოთხოვნა (მათ შორის, 3204 უმუშევარის) და გადარიცხულია 7,71 მლნ ლარი. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღნიშნული ტიპის დახმარება გათვალისწინებული არ არის. იგი გაიცემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ.

2004 წელს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად, დაიწყო სამედიცინო პროგრამების კონტრაქტორი დაწესებულებების წინა წლების დავალიანების გასტუმრება პროპორციული დაფინანსების პრინციპით, რამაც უზრუნველყო სისტემაში დამკვიდრებული ასიმეტრიული დაფინანსების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრა. 2004 წლის განმავლობაში დავალიანებების დაფარვისათვის 16,2 მლნ ლარი დაიხარჯა, ხოლო 2005 წლის იანვარ-აპრილში 5 მილიონ ლარამდეა გადარიცხული.

სამეთვალყურეო საბჭო, სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური დახმარებების, დასაქმებისა და უმუშევართა ხელშეწყობის, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროგრამების ზედამხედველობის მიზნით, უშუალო მონაწილეობას იღებდა სატენდერო პირობების შემუშავებისა და ტენდერების ჩატარების პროცესში.

უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის 2004 წლის პროგრამებზე სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 2,1 მლნ ლარი, რომელიც მოხმარდა პროგრამის კომპონენტების რეალიზაციას. ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში რეაბილიტირებულ იქნა 58 საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე ობიექტი; დროებით დასაქმდა 1125 ადგილობრივი უმუშევარი; 200 უმუშევარმა გაიარა პროფესიული გადამზადების პროგრამა; 101 რეგისტრირებულმა უმუშევარმა და 35 მოქმედმა მეწარმემ ისარგებლა საბანკო კრედიტით; მეწარმეებთან მუდმივად დასაქმდა 300 უმუშევარი.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მომზადება-გადამზადების პროგრამის პრეზენტაციაში, უშუალოდ შეხვდნენ პროექტის მონაწილე ბენეფიციარებს, პირადად გაეცნენ კონკრეტულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულ უსინათლო პენსიონერებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 4 მილიონ 229 ათასი ლარი. Pპროგრამების ფაქტობრივმა დაფინანსებამ 98% შეადგინა.

სახელმწიფო პროგრამების ფინანსური სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების, ტენდერებისა და კონკურსების ობიექტურად და სამართლიანად ჩატარების, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალედ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენლები სისტემატურად მონაწილეობენ სატენდერო კომისიის მუშაობაში. 2004 წელს დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების მართვის მიზნით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ფონდში 22 პროგრამაზე ჩატარდა ტენდერი და 78 ორგანიზაციასთან გაფორმდა ხელშეკრულება.

სახაზინო მომსახურების წესებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ფონდში მნიშვნელოვნად შეიცვალა საფინანსო საქმიანობისა და ანგარიშგების პრინციპები. შემუშავდა სახელმწიფო პროგრამების შესრულებისა და ბუღალტრული ანგარიშგების კომპიუტერული პროგრამა, რამაც გაამარტივა და გამჭვირვალე გახადა კონტრაქტორ დაწესებულებებთან ფონდის ფინანსური ანგარიშგების სქემა.

სახელმწიფო ხარჯების მიზნობრივ ხარჯვაზე ზედამხედველობის გაძლიერებისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭომ მხარი დაუჭირა დირექციის გადაწყვეტილებას და ფონდის სისტემაში შეიქმნა კონტროლისა და ზედამხედველობის მობილური და ეფექტური სამსახური, რომლის მიერ 2004 წლის განმავლობაში ჩატარდა 15 დოკუმენტური და 18 თემატური შემოწმება.

2004 წელს, ფონდის საქალაქო და რაიონული ფილიალების საქმიანობის, ასევე სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის შემოწმებების შედეგად გამოვლინდა 1 589 425 ლარის ზედმეტად და უკანონოდ გაცემის ფაქტები; მათ შორის: ფილიალების მუშაკებისა და პენსიონერთა (მუშაობის ფაქტის დაფარვა) მიზეზით - 1 288 318 ლარი; "საქართველოს ფოსტის" ფილიალების მიერ საპენსიო თანხების გაცემაზე ფონდში წარმოდგენილი საბუთების გაყალბების გზით, დატაცებულ იქნა 77739 ლარი; დამზღვევი ორგანიზაციების მიზეზით, საქართველოს ბიუჯეტის კანონის დარღვევით (სახელმწიფო დახმარებები დროებით შრომისუუნარობასთან და ორსულობა-მშობიარობასთან დაკავშირებით) არასწორადაა გაცემული 136,5 ათასი ლარი; რაიონული სასამართლოების გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ფონდიდან ჩარიცხული თანხების მიზნობრივად გაცემის რეალობის შემოწმებით სიებში აღმოჩენილი უზუსტობის გამო, ზედმეტად ჩაირიცხა 56 375 ლარი. "შ.შ.მ.პ. სოციალური ინტეგრაციის კომპონენტის" და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებით გამოვლინდა "მიმწოდებლის" მიერ ფონდიდან 611 946 ლარის ზედმეტად და უკანონოდ მოთხოვნის ფაქტები. ყველა გამოვლენილ ფაქტზე სამეთვალყურეო საბჭომ უმკაცრესი რეაგირება მოახდინა და შესაბამისი მასალები გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოებში შემდგომი რეაგირებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭომ საქართველოს კონტროლის პალატის ჯგუფთან, რომელიც ფონდში კომპლექსურ შემოწმებას აწარმოებდა, ერთობლივად განიხილა შემოწმების მასალები.

სამეთვალყურეო საბჭო სოციალური სფეროს აქტუალურ საკითხებთან, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პრობლემებთან დაკავშირებით, აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის პრეზიდენტის აპარატთან, საქართველოს პარლამენტთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და არასამთავრობო სექტორთან.

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2005 წლიდან შეიცვალა მისი სამუშაო ფორმატი. სოციალურ სფეროში არსებული პრობლემების ადგილებზე გაცნობის მიზნით, დაიგეგმა გამსვლელი სხდომების ჩატარება რეგიონებში, ასევე, გათვალისწინებულია ადგილობრივ მმართველობით ორგანოებთან და საკრებულოებთან საქმიანობის კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბება.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოში გათვალისწინებული იქნება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, სამაჩაბლოს რეგიონის და თბილისის საკრებულოს წარმომადგენლობა.

***საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭო***

*თვალსაზრისი*

# პასუხად ჩემს, ცოტა არ იყოს, დაბნეულ მეგობარს

ირაკლი კაკაბაძე

დღეს ბევრი ჩვენთაგანი საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელთა გადალახვაც ჩვენი საზოგადოებისათვის აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, ყველას გული სტკივა, რადგანაც საქმე ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მომავალს ეხება. ჩვენ ყველანი ამომრჩევლები ვართ, რომელნიც გადასახადებს ვიხდით და სახელმწიფოს ამით გვერდში ვუდგავართ. და არა მარტო ამით, იმითაც, რომ ჩვენს აზრს პირდაპირ და შეულამაზებლად ვეუბნებით. ესეც გვერდში დგომის ფორმაა. მაგრამ ჩვენს მეგობრებს შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ყველაფერი მოსწონთ, რაც დღეს ხდება ჩვენი მთავრობის მხრიდან. მე მათი ენთუზიაზმისა მესმის, თუმცა, სამწუხაროდ, იძულებული ვარ, ბევრ რამეში რადიკალურად არ დავეთანხმო. სამწუხაროა, რომ ამ აზრზე მარტო მე არ ვარ და ბევრი ადამიანი დროებით მაინც გაწბილებულია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მდგომარეობა აუცილებლად დაიძაბება და ყველაფერი ცუდად იქნება. არა, ყოველ ჩვენთაგანს იმედი აქვს, რომ ჩვენს (მე ვგულისხმობ საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელიც კანონდამჯერია, გადასასახადებს იხდის და ხმასაც აძლევს არჩევნებზე) მიერ დაქირავებული მთავრობა ამომრჩევლის უმრავლესობის დაკვეთას მაინც შეასრულებს. დაკვეთა კი მარტივია - ხალხმა უკეთესად იგრძნოს თავი, ვიდრე წინა ხელისუფლების პირობებში - უფრო თავისუფლად და უფრო დაცულად. სწორედ ასე რომ არ გრძნობს თავს ბევრი ჩვენგანი, ამიტომაცაა, ასეთი შენიშვნები რომ გვაქვს.

გასულ კვირას სატელევიზიო დებატებში მთავრობის გარკვეული მომხრეების მხრიდან გაიჟღერა ფრაზამ, რომ "მწერლები უფრო პოპულისტები არიან, ვიდრე პოლიტიკოსები". ეს აბსოლუტურად აბსურდული ფრაზაა, რომელზედაც ლაპარაკი უხერხულია. მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, მუშები, გლეხები თუ ბიზნესმენები პოპულისტები, ამ სიტყვის პოლიტიკური გაგებით, ვერ იქნებიან, რადგანაც ისინი თვით არიან "პოპულუსი" ანუ ხალხი. პოპულისტი პოლიტიკოსი ხალხს იყენებს იმისათვის, რომ ხმები მიიღოს და მერე საკუთარი ძალაუფლება თავისთვის გამოიყენოს. ის, ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს, როგორც კანდიდატი, არის სწორედ ის ხალხი, რომელსაც იყენებენ და არა ის, ვინც იყენებს. დათო მაღრაძეს პოლიტიკოსობა რომ სდომებოდა, 4 წლის წინ პარლამენტს თავისი ნებით არ დატოვებდა და კარგად გამოიყენებდა იმ პრივილიგიებს, რომელიც, სამწუხაროდ, საკანონმდებლო ორგანოს წევრებს აქვთ. ეს არც სხვა ნამდვილ მწერლებს მოსვლიათ. თუკი რომელიმე მათგანი გადაწყვეტს, რომ პოლიტიკაში შევიდეს, მხოლოდ მაშინ შეიძლება მათს პოპულიზმზე ლაპარაკი.

აგრეთვე ითქვა, რომ ყველა მწერალი მემარცხენეა. ესეც აბსოლუტური აბსურდია. ბევრი მწერალი არ არის მემარცხენე. თუმცა, მემარცხენე მწერლებზე აუგად ლაპარაკიც არ არის მაინცადამაინც დიდი კულტურის მომასწავებელი. საერთოდ, მემარცხენე-მემარჯვენეს საკითხების გარკვევას, ყველას გვირჩევნია, საკუთარი ყოფა-ცხოვრება გავიუმჯობესოთ და ეს ქვეყანა ერთად ფეხზე დავაყენოთ. ფრანგი მსახიობის ივ მონტანის გარდა ბრიჟიტ ბარდოც ვერ იტანს მემარცხენეებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მსახიობებს მძიმეწონოსნის რეპუტაცია აქვთ ინტელექტუალურ სამყაროში. ალბერ კამიუ ან ჟან პოლ სარტრი, ან თუნდაც მიშელ ფუკო და ჟან ბოდრიარი რომ ეხსენებინა ჩვენს საყვარელ მეგობარს, ეგ ბევრად უფრო უპრიანი იქნებოდა.

საზოგადოებას, რომელსაც პაციფისტები არ ჰყავს, სერიოზული ნაკლი აქვს. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩვენს საზოგადოებას ჰყავს "არა კაც კლას" პრინციპის რამოდენიმე მიმდევარი მაინც. ეს პრინციპი ჯერ კიდევ მოსეს სჯულში დაფიქსირდა და მაცხოვარმა იგი კიდევ უფრო გააძლიერა. მე არავის მოკვლას არ ვაპირებ და ამის სულაც არ მრცხვენია. არც იმათი მეშინია, ვინც აპირებს. განდიმ ძალიან კარგად უთხრა კბილებამდე შეიარაღებულ დამპყრობლებს: "თქვენ შეგიძლიათ გქონდეთ ჩემი მკვდარი სხეული, მაგრამ თქვენ არასდროს გექნებათ ჩემი მორჩილება." ეს არის და ეს. ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა სწორედ ძალადობაზე უარის თქმა იყო, თორემ ძალადობით მოხდენილმა რევოლუციამ რაც მოგვიტანა, ეს ყველამ კარგად ვიცით.

აგრეთვე, საზოგადოებისათვის არ არის მიზანშეწონილი 14 წლის იარების ხელახლა გაღვივება, თანაც ისეთი ადამიანების მიერ, რომელთაც ზვიად გამსახურდიას დაცვაში არ მიუღიათ მონაწილეობა. იარები სიყვარულით უნდა მოვიშუშოთ და არა აგრესიით. ძველბიჭური ტიპის კარიერიზმი ვერ უშველის სიტუაციას. ეს ახალი კირკიტაძე-კეზერაშვილის ტიპის კარიერიზმი ლავრენტი ბერიას ტრადიციებიდან მოდის, რამდენი ადამიანიც ამას გააკეთებს, მთლიან პასუხისმგებლობას დააკისრებს პრეზიდენტს. "სიკვდილის ბრიგადების" აღორძინება საქართველოში საბოლოოდ ბოლოს მოუღებს ჩვენს დემოკრატიისაკენ სვლას. ეს ხალხი ჩვენ ვერ შეგვაშინებს, ერთადერთი გამოსავალია, რომ დაგვხოცონ. ჩვენი დახოცვით ძალიან ეჭვი მეპარება, რომ იხეირონ ან ქვეყანა ახეირონ. ამიტომაც, პრეზიდენტს ურჩევნია, რომ მოუსმინოს საკუთარი თანამოქალაქეებისა და ამომრჩევლების აზრს. ამით თვითონაც მოიგებს და მთელი საზოგადოებაც. ჯერ კიდევ არის შანსი, იყოს დიალოგი, რომელიც მიგვიყვანს პროგრესამდე.

მე ამერიკის შეერთებული შტატებში 10 წელი მაქვს გატარებული და ამ ქვეყნის მეტად მადლობელი ვარ. ეს მართლაც უნიკალური ქვეყანაა ადამიანის სამოქალაქო უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მეტად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ჯორჯ ბუში საქართველოში ჩამოდის. ეს ჩვენი ქვეყნისათვის ბევრის მომასწავებელია. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს რომ საკუთარი ბედი პირველ რიგში ჩვენს ხელშია. ამერიკელებიც, ევროპელებიც მხოლოდ მაშინ დაგვიდგებიან გვერდში, როდესაც ჩვენ ჩვენს თავს მივხედავთ. ამიტომაც საჭიროა მშვიდობიანი დიალოგის გაღრმავება კონფლიქტურ რეგიონებში, კერძო ბიზნესის მხარდაჭერა იმისათვის, რათა მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას (ეს სულაც არ არის მემარცხენე აზრი), და ამავე დროს უბრალო ადამიანების სოციალური უფლებების დაცვა და გათვალისწინება. ეს ყველაფერი შესაძლებელია, თუკი იქნება მონდომება და პოლიტიკური ნება. ხელისუფლება პირველ რიგში საკუთარ მოქალაქეებთან ურთიერთობაში უნდა იყოს კონსტრუქციული. მოსმენის კულტურა მართვის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. თორემ ყველა დანარჩენის შერაცხვა ხალხის მტრად არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნაცადი მეთოდია, რომელმაც ტრაგიკული შედეგები გამოიღო. ჩვენ ახლა საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ მარტო სტალინის და ბერიჭაშვილის სამშობლო კი არ ვართ, არამედ ილია ჭავჭავაძის და ვაჟა ფშაველასი.

ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ერთად. მერწმუნეთ, არც ერთი ჩვენთაგანი თანამდებობაზე მოხვედრაზე არ ფიქრობს. ჩვენთვის კერძო და არასამთავრობო სექტორი სავსებით საკმარისია. ქვეყანას კი უსასყიდლოდ ვეხმარებით და არც არავის დავაყვედრით ამას. მთავრობის ძველბიჭურ-კარიერისტული ფრთის წარმომადგენლებმა კი ის უნდა იცოდნენ კარგად, რომ ხალხის შეშინებაზე ფიქრს ხალხთან საუბარი სჯობია. აგრესიას არასდროს კარგი შედეგი არ მოუტანია და არც მოიტანს. ადამიანის ფიზიკური განადგურება ადვილი საქმეა, მაგრამ მასთან სულიერი კავშირის დამყარება ბევრად უფრო რთული.

მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერალი მეგობარი, რომელიც საოცრად პატივსაცემი ოჯახის შვილია და სიძეა, კირკიტაძე-კეზერაშვილის დამცველად მუშაობას ისევ თავისი ხალხის რიგით მოქალაქეობას ამჯობინებს. ვფიქრობ, პრეზიდენტსაც შეუძლია ამის გაკეთება. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ აღარ იყოს მეტი უწესრიგობები და საქართველო გაერთიანდეს და გაბრწყინდეს მისი თამადობით, ყოველგვარი ომებისა და ჰიტლერ-იუგენდების გარეშე. დავეხმაროთ ჩვენს პრეზიდენტს, თავი დააღწიოს კომკავშირულ-მოქკავშირული მაფიის ბატონობას. რაც მთავარია, ჩვენი ერთობლივი მცდელობით, შეგვიძლია შევაფერხოთ რუსული იმპერიის ბოლო და ყველაზე სერიოზული შემოტევა ქართულს დამოუკიდებლობაზე ეკონომიკურ და სამხედრო ფრონტებზეც. ქვეყანაში "კაგებეს" გავლენის შემცირება ჩვენი საერთო ამოცანაა.

ეს შესაძლებელია, დიახაც შესაძლებელია. და თუ ვცდები, ძალიან ცუდი...

# ვატიკანში ბენედიქტე XVI-ს მმართველობა ოფიციალურად დაიწყო

*ვატიკანში კვირას რომის ახალი პაპის ბენედიქტე XVI-ს (იოზეფ რაცინგერი) ინტრონიზაციის ცერემონია გაიმართა, რომელსაც 140 ოფიციალური დელეგაცია ესწრებოდა, მათ შორის 36 - სხვადასხვა სახელმწიფოს უმაღლესი და მაღალი რანგის მოღვაწეებით წარმოდგენილი. ღონისძიებაზე დასასწრებად რომში სპეციალურად ჩავიდა გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი და ბუნდეს-პრეზიდენტი ჰოლსტ კიოლერი. თითქმის ათასი წლის შემდეგ კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლის ადგილი გერმანელმა პაპმა დაიკავა.*



*ბენედიქტე XVI ძველი ტრადიციების აღდგენით იწყებს მმართველობას.*

რომში წმინდა პეტრეს მოედანი მთლიანად მორწმუნეებით გაივსო - უშუალოდ, მოედანსა და მის მოსაზღვრე ქუჩებზე, დაახლოებით, 350 ათასი ადამიანი შეიკრიბა. გავრცელებული ინფორმაციით, რომში გუშინ ნახევარ მილიონამდე მორწმუნე იყო ჩასული, მათ შორის 100 ათასი - გერმანიიდან. იოზეფ რაცინგერი პირველი გერმანელია, რომელიც წმინდა ტახტზე ბოლო 950 წლის შემდეგ აირჩიეს.

ცერემონიას უამრავი ქვეყნის სამთავრობო და სასულიერო დელეგაციები დაესწრო, მათ შორის, სახელმწიფოთა პირველი პირებით წარმოდგენილი - აქ იყვნენ პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები და მეფეები. ცერემონიისთვის უსაფრთხოების უმაღლესი ზომები იყო მიღებული. რომის საჰაერო სივრცეს ვერტმფრენები, ავიაგამანადგურებლები და ამერიკული ელექტრონული დაზვერვის თვითმფრინავი აკონტროლებდნენ. 23-25 აპრილს რომის თავზე საჰაერო სივრცე მთლიანად დაიხურა. ქალაქში რადარები და საზენიტო დანადგარები იყო დამონტაჟებული, ქუჩებში კი ათასობით პოლიციელი და საიდუმლო აგენტი იცავდა წესრიგს.

საზეიმო მესა ბენედიქტე XVI-მ წმინდა პეტრეს საფლავის მონახულებით დაიწყო. სხვათა შორის, ესეც ტრადიციის აღდგენის მცდელობაა. თითქმის, ათასი წელია, არც ერთი ახალი პაპის ტახტზე ასვლის ცერემონიალი არ დაწყებულა მეთევზე-მოციქულის საფლავიდან მსვლელობით.

მესის დროს ახალ პაპს ძალაუფლების სიმბოლო, ე.წ. მეთევზის ბეჭედი გადასცეს და სპეციალური ექვსჯვრიანი თეთრი ოლარით შემოსეს. ამის შემდეგ კარდინალებმა "სამშვიდობო ამბორით" გამოხატეს პატივისცემა ახალი წინამძღოლისადმი.

საზეიმო მესა რომის პაპის მიმართვით - Urbi et Orbi - დასრულდა. "ნუ შეგეშინდებათ მაცხოვრის! ის არაფერს გვართმევს - მხოლოდ გვასაჩუქრებს. ის, ვინც მას მიუძღვნის თავს, სანაცვლოდ, ასმაგს მიიღებს. დიახ, გახსენით, ბოლომდე გაუღეთ ქრისტეს კარი - და ნამდვილ ცხოვრებას შეიგრძნობთ," - ამ სიტყვებით დაასრულა ბენედიქტე XVI-მ მიმართვა.

გამოსვლის დროს პაპის ხმა 38-ჯერ ჩაახშო აპლოდისმენტებმა. სააგენტო ბიბისი-ს ცნობით, მიმართვის შემდეგ წმინდა პეტრეს მოედანზე ხუთ ენაზე წაიკითხეს ლოცვები.

საინტერესოა, რომ ახალი პაპის ინტრონიზაცია ძველი ტრადიციების აღდგენის მცდელობად შეფასდა პრესაში. მართლაც, საზეიმო მესის დროს ბენედიქტე XVI-მ ბევრი დავიწყებული წესი აღადგინა. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი რიტუალი - გამოსვლის შემდეგ ახალ პაპს ვატიკანი ხის ჯვრით უნდა შემოატარონ (ეს ჩვეულება იოანე-პავლე პირველმა გააუქმა) - გუშინ არ გახსენებიათ. იოზეფ რაცინგერი, ისევე, როგორც მისი წინამორბედი, "პაპამობილით" დადიოდა ვატიკანში.

# იტალიის ახალი მთავრობა ძველი სახეებით



*ბერლუსკონი ახალ, ქვეყნის რიგით მესამოცე მთავრობას უხელმძღვანელებს*

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ქვეყნის პრეზიდენტს კარლო ჩამპის შაბათს მთავრობის ახალი შემადგენლობა წარუდგინა. კაბინეტში, რომელიც სააგენტო "როიტერსის" ცნობით, იტალიის პრეზიდენტმა მოიწონა, მართალია, რამდენიმე ახალი მინისტრი გამოჩნდა, მაგრამ მთლიანობაში, ძირითადად, ძველი სახეებით არის დაკომპლექტებული.

როგორც ჩანს, სილვიო ბერლუსკონიმ კიდევ ერთხელ შეძლო კრიზისის დაძლევა. შეგახსენებთ, იტალიის ამჟამინდელი სამთავრობო კრიზისის მიზეზი მმართველ კოალიციაში ორი კვირის წინ გამართული რეგიონული არჩევნების შემდეგ წარმოქმნილი უთანხმოება იყო. ბერლუსკონის პარტნიორებმა მიყოლებით დატოვეს მინისტრთა კაბინეტი და, რადიკალური ცვლილებების იმედით, პრემიერ-მინისტრს გადადგომა აიძულეს.

თუმცა, ეს გადადგომა რომ დროებითი მოვლენა იყო, თავიდანვე აშკარად ჩანდა. საეჭვოა, ქრისტიან-დემოკრატებს ან ნაციონალური ალიანსის წარმომადგენლებს (ეს პარტიები პირველები გამოვიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან) რიგგარეშე არჩევნების ჩატარება ჰქონოდათ მიზნად. თითქმის უდავო იყო, რომ ამ არჩევნებში მათაც, ისევე, როგორც თავად ბერლუსკონის გამარჯვება არ ეწერათ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ კოალიციის "განდგომილი" წევრების განცხადებებს, რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით, ყოველთვის ახლდა პირობა, რომ ბერლუსკონის ნებისმიერ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს პარლამენტში.

ასეა თუ ისე, კრიზისი დაძლეულია. ახალი მთავრობა, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. ერთი რამ ცხადია - ახალი კაბინეტის 24-კაციან შემადგენლობაში მხოლოდ ხუთი "ახალი" სახეა, კიდევ ორს თანამდებობები შეუცვალეს. "ახალი" სახეებიდან აღსანიშნავია - ჯულიო ტრემონტი (ერთი ვიცე-პრემიერი) და როკო ბუტილიონე; პირველი ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებში დადანაშაულების შემდეგ, გასულ წელს გადადგა, ხოლო როკო ბუტილიონე ეროვნულ მთავრობაში ევროკომისიაში წარუმატებელი დამტკიცების შემდეგ ბრუნდება.

ნიშანდობლივია, რომ უმნიშვნელოვანეს სფეროებს (თავდაცვა, საგარეო ურთიერთობები, მართლწესრიგი) კვლავ ძველი მინისტრები გაუძღვებიან; ასევე, ყოფილი მინისტრები უხელმძღვანელებენ ფინანსურ ბლოკს.

ექსპერტთა აზრით, სავარაუდოდ, იტალიის აღმასრულებელი ხელისუფლების კურსი არ შეიცვლება. როგორც ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი პიერო ფასინო აღნიშნავდა, "ეს მხოლოდ თავგანწირული მცდელობაა" და სერიოზულ ცვლილებებს არ გამოიწვევს. ოპოზიციონერთა თქმით, ბერლუსკონის მთავრობა მომავალ წელს დაგეგმილ არჩევნებამდე ცდილობს "მიღწევას".

# სირიის ჯარები ლიბანს ტოვებენ

*გუშინ, საღამოს, დადგენილ ვადაზე ექვსი დღით ადრე სირიის შეიარაღებულმა ძალებმა ლიბანის ტერიტორია დატოვეს. თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ სირიამ საერთაშორისო ზეწოლის შედეგად უკან დაიხია და მეზობელი ქვეყნიდან ჯარები გაიყვანა.*



*მთავრდება, თითქმის, 30-წლიანი ოკუპაციის ისტორია.*

ლიბანში ყოფნის უკანასკნელ საათებში სირიელებმა დოკუმენტები გაანადგურეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიძრნენ საზღვრისკენ. მართალია, სირიელ სამხედროთა მცირერიცხოვანი რაზმი ოფიციალური გამოსამშვიდობებელი ცერემონიალისთვის სამშაბათამდე დარჩება ლიბანის ტერიტორიაზე, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ 29-წლიანი ოკუპაცია დასრულდა.

სირიის ჯარებმა ბექაას ხეობაში შაბათს, სულ მცირე, ათი პოზიცია დატოვეს. თვითმხილველთა თქმით, სირიის საზღვარი გადაკვეთა ჯარისკაცებით სავსე ათეულობით სატვირთო მანქანამ, დაახლოებით, 150-მა ჯავშანმანქანამ, აგრეთვე - საარტილერიო და სარაკეტო დანადგარებმა.

სამშაბათს სირიის საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე ლიბანის სამხედრო ბაზაზე, რაიაკში გაიმართება ოფიციალური გამოსამშვიდობებელი ცერემონიალი. ოფიციალური განცხადებით, ცერემონიალზე პატივს მიაგებენ ლიბანის სამოქალაქო ომის დასრულებაში სირიელ სამხედროთა ღვაწლს, რის შემდეგაც უკანასკნელი სირიელი ჯარისკაცი დატოვებს ლიბანის ტერიტორიას.

დამასკომ სამხედრო ძალები ლიბანში 1976 წელს შეიყვანა. თავდაპირველად - სამოქალაქო ომის პერიოდში მათ მხოლოდ სამშვიდობო ფუნქციების შესრულება ევალებოდათ. 1990 წელს სამოქალაქო ომი დასრულდა. თუმცა, სირიის 40-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი ლიბანში დარჩა, რაც დამასკოსთვის მძლავრი ბერკეტი გახლდათ მეზობელი ქვეყნის ხელისუფლებაზე გავლენის მოსახდენად - მეტიც, წლების განმავლობაში სწორედ პროსირიულ ფრთას ეკავა ქვეყანაში წამყვანი პოზიციები.

სიტუაციის რადიკალურად შეცვლა თებერვალში დაიწყო - ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობას მძლავრი ანტისირიული მოძრაობა მოჰყვა, რამაც ზოგიერთ დამკვირვებელსა და პოლიტიკოსს (მათ შორის, თავად ჯორჯ ბუშს) იმის საფუძველიც კი მისცა, რომ ახლო აღმოსავლეთის დემოკრატიზაციის ახალ ტალღაზე ესაუბრათ. შეგახსენებთ, თებერვალში ასობით ათასი ლიბანელი ქუჩაში გავიდა, მთავრობის გადადგომისა და სირიის ჯარების ლიბანის ტერიტორიიდან გაყვანის მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ სირიიდან ლიბანის განდევნის მცდელობები მანამდეც იყო. გასული წლის სექტემბერში, როცა ლიბანში ჯერ კიდევ სირიის 14-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი იმყოფებოდა, გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია სირიის ჯარების ლიბანიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ლიბანის დეოკუპაციისთვის სამართლებრივი საფუძველი სწორედ მაშინ შეიქმნა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბოლო დრომდე სირია უკან არ იხევდა.

დასავლეთში (პირველ რიგში, თეთრ სახლში) იმედოვნებენ, რომ სირიელი სამხედროების წასვლის შემდეგ მაისის თვეში დაგეგმილი საყოველთაო არჩევნები ექსცესებისა და "დაინტერესებული სახელმწიფოების" ჩარევის გარეშე წარიმართება.

***24 საათი***

# დაძაბული ურთიერთობების შენელება

**ტოკიო-პეკინი საერთო ენის გამონახვას ახერხებენ**

ხათუნა გაბიევი

იაპონიის პრემიერ-მინისტრის ძიუნიშირო კოიძუმის მოლოდინი გამართლდა - ჩინური მხარე სამიტის ბოლოს, დიპლომატიური ჩიხიდან თავის დაღწევის მიზნით, მოლაპარაკების კიდევ ერთ რაუნდს დასთანხმდა.

მრავალჯერადი მცდელობის შემდეგ ჩინეთმა და იაპონიამ უკანასკნელ კვირებში მკვეთრად გაუარესებულ ურთიერთობებში კორექტივების შეტანა შეძლეს. დაძაბული დიპლომატიური ურთიერთობების შენელება გასული კვირის ბოლოს ჯაკარტაში გამართულ აზია-აფრიკის სამიტზე გახდა შესაძლებელი. 55-წუთიანი კულუარული დიალოგის შემდეგ ორი ქვეყნის ლიდერებმა უთანხმოებების აღმოფხვრასა და სამომავლო გეგმებზე გაამახვილეს ყურადღება. შეხვედრის შედეგებით ფრიად კმაყოფილი ჩანდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი. რაც შეეხება ჩინეთის პრეზიდენტს, გაუმჯობესებული ურთიერთობების შეფასებისას იგი, გარკვეულწილად, მოზომილი იყო. ჰუ ძინტაომ ურჩია იაპონიას, ურთიერთობების ნორმალიზების მიუხედავად, მომავალშიც არ დაევიწყებინა საკუთარი მილიტარისტული წარსული. მან გამოთქვა სურვილი, რეგიონის წამყვანმა სახელმწიფოებმა სადავო საკითხები მომავალშიც დიალოგის გზით გადაწყვიტონ. იქვე ისიც დაამატა, რომ კონსტრუქციულ დიალოგს რეალური შედეგები მხოლოდ თითოეული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში ექნება. ეს, უპირველეს ყოვლისა, იაპონიის დაპირებას ეხებოდა - არ დაეჭირა მხარი ტაივანის დამოუკიდებლობისათვის.

აზია-აფრიკის სამიტის ფარგლებში არაოფიციალური შეხვედრის შედეგები დადებითად შეაფასეს იაპონიაშიც. იაპონიის ტელეარხზე გამოსვლისას ძიუნიშირო კოიძუმისა და ჰუ ძინტაოს შეხვედრის შესახებ იაპონიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ნობუტაკა მატიმურამ აღნიშნა, რომ **"ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, სადაც ორივე ქვეყნის ლიდერმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების მნიშვნელობა არა მარტო ამ ქვეყნებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის"**. თუმცა, მან, თითქმის, არაფერი თქვა ტოკიოს იასუკუნის ტაძართან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხზე. ურთიერთობების გაუმჯობესებამდე ოფიციალურმა პეკინმა იასუკუნის ტაძარში იაპონელ პარლამენტართა ვიზიტი გააპროტესტა. აღნიშნულ ტაძარში პატივს მიაგებენ შეიარაღებულ კონფლიქტში "სამშობლოსა და იმპერატორისთვის" დაღუპულ იაპონელთა ხსოვნას. იქვე ინახება იმ სამხედრო დამნაშავეთა ფერფლი, რომლებიც 1948 წლის ტოკიოს ტრიბუნალის განაჩენით იქნენ დასჯილი. **"იმ ვითარებაში, როდესაც ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობები გამწვავებულია, ჩვენ უკმაყოფილონი ვართ ზოგიერთი იაპონელი პოლიტიკოსის მოქმედებით. მათი ამგვარი ქცევა მნიშვნელოვანი ინტერესების იგნორირებას ნიშნავს,"** - ნათქვამი იყო ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში. ნობუტაკა მატიმურას თქმით, **"იაპონიის პრემიერ-მინისტრმა არაერთხელ განაცხადა, რომ გაითვალისწინებს ყველა ფაქტორს. ამდენად, მე შემიძლია მხოლოდ ის გაცნობოთ, რომ იგი საჭირო გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს"**. სატელევიზიო გამოსვლის დასასრულს მატიმურამ მოუწოდა ჩინეთის ხელისუფლებას, აღარ დაეშვა ანტიიაპონური მასშტაბური დემონსტრაციები, რაც, ჩინური ვებგვერდების თანახმად, 1 მაისისთვის იგეგმება.

ნებისმიერ შემთხვევაში, დემონსტრაციების დროს ვანდალური ქმედებებით დამფრთხალი იაპონლები, რომლებიც ჩინეთის მსხვილ ქალაქებში ცხოვრობენ, 1 მაისს ქუჩაში გამოსვლისგან მაინც თავს შეიკავებენ.

# აშშ-ში რეზერვისტთა პოპულარობა შემცირდა

გაზეთ "ვაშინგტონ პოსტ"-ის თანახმად, რომელიც აშშ-ში სამხედრო მომზადების სფეროში არსებულ მონაცემებს ეყრდნობა, ამერიკულ უნივერსიტეტებში რეზერვისტთა მომზადების კათედრების პოპულარობამ მკვეთრად იკლო. სამხედრო ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კათედრების პოპულარობის კლება პირდაპირ კავშირშია აშშ-ს სამხედრო ძალებში სამსახურისადმი ინტერესის შემცირებასთან. მის ობიექტურ მიზეზად კი ავღანეთსა და ერაყში აშშ-ს ქმედებები სახელდება.

აშშ-ს სამხედრო უწყების მონაცემებით, დღეს უნივერსიტეტებში სამხედრო კათედრაზე 26 000-ზე მეტი სტუდენტი ირიცხება, რაც, გასულ წელთან შედარებით, 3 000-ით ნაკლებია. 2002-2003 სასწავლო წლის განმავლობაში ოფიცერთა მომზადების კათედრებზე სწავლება 31 000-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა.

თადარიგის ოფიცერთა კათედრებზე მომზადება ნებაყოფლობითია. მომზადებას მაღალჩინოსანი სამხედრო პირებიც გადიან; მაგალითისთვის, ზემოაღნიშნული კათედრის კურსდამთავრებულია აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც.

## ორი სიტყვით

**სირია.** საინფორმაციო სააგენტო "რიანოვოსტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სირია ტერორისტულ ორგანიზაციათა ფინანსირების წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო პროგრამას შეუერთდა. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ მიმდინარე კონფერენციაზე. ამგვარად, სირია გახდა 136-ე სახელმწიფო, რომელიც "ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კავშირს" შეუერთდა. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ავღანეთი.** ავღანეთში გასულ წელს, აშშ-ს ხელშეწყობით, საერთაშორისო სტანდარტებთან ოდნავ მიახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისა და დემოკრატიული ფასეულობების დანერგვის მცდელობის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა ჩვეულებებზე უარის თქმას მაინც არ აპირებს. ჩვეულების სიმტკიცეზე ბრბოს მიერ ქალის ჩაქოლვის ფაქტიც მეტყველებს. ჩაქოლვის პრაქტიკა ჩვეულებრივი მოვლენა იყო თალიბთა რეჟიმის დროს.

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის შესაბამისად, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ბადახშანის პროვინციაში, ურგუს რაიონში ავღანელი ქალი, სახელად ამინა, გაავებულმა ბრბომ ჩაქოლა. ქალს ბრალი ედებოდა ღალატში. ქმრის ირანიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც იგი 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ქალმა განქორწინება მოითხოვა, რის გამოც, ქმარმა მას ღალატში დასდო ბრალი. განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ შემთხვევის ადგილზე პოლიციელები გამოჩნდნენ, რომლებმაც ინციდენტის ირგვლივ მოკვლევა დაიწყეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, განაჩენი ადგილობრივ რელიგიურ ლიდერს გამოუტანია.

შარიათის კანონების თანახმად, ღალატის შემთხვევაში, ქალი სხვადასხვა ფორმით შეიძლება დაისაჯოს - დაწყებული სხეულზე ფიზიკური ზემოქმედებიდან, ქვებით ჩაქოლვით დამთავრებული. **24 საათი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ბუშერში მშენებარე ატომური ელექტროსადგური სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. კუვეიტის მტკიცებით, აღნიშნული სადგური რეალურ საფრთხეს წარმოადგენს გარემოსთვის.

"ეს საკითხი, პირველ რიგში, ჩვენ გვაღელვებს, რადგან რაიმე საფრთხის შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენ დავზარალდებით. ბუშერის ატომურ ელექტროსადგურზე მომუშავე რუსი სპეციალისტები შეშფოთების მიზეზს ვერ ხედავენ. მათ პოზიციას ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლებიც იზიარებენ, - განაცხადა ირანის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ჰამიდ რეზა ასეფიმ. **იტარ-ტასი**

ფოსტა

# დიდი ლიახვის ხეობის მოსახლეობის ღია წერილი

### საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს
### საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ ზურაბ ნოღაიდელს
### საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ბ-ნ ნიკა გილაურს

**ბატონო მიხეილ, ბატონო ზურაბ, ბატონო ნიკა!**

პირველ რიგში, გვინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რაც ამ ბოლო დროს ჩვენი ხეობისთვის გაკეთდა. ჩვენ გვესმის, რომ დღეს თქვენთვის მთავარი პრიორიტეტი ქართულ-ოსური ურთიერთობის მშვიდობიანი დარეგულირებაა, მაგრამ ამ ღია წერილით თქვენამდე დიდი ლაიხვის მოსახლეობის კიდევ ერთი კონკრეტული პრობლემის მოტანაც გვინდა.

უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც ხეობაში არ ფუნქციონირებს ერთმეგავატიანი, კეხვის ჰიდროელექტროსადგური "კეხვიჰესი", რომელსაც ხეობის ელექტრომომარაგების პრობლემების, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მოხსნა მაინც შეუძლია. ეს მაშინ, როდესაც დიდი ლიახვის ხეობის მთლიან ელექტრომომარაგებას ნახევარი მეგავატიც არ სჭირდება.

სადგურს, მისი ამოქმედების შემთხვევაში, იქეთ შეუძლია ოსური მხარის ელექტრომომარაგება. ახლა კი ხეობას დღესდღეობით დენს რუსეთი აწვდის და ამას ოსური მხარე პოლიტიკური სპეკულაციისთვისაც იყენებს.

ამ ზამთარს მთელ რეგიონში განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა, როცა მთაში ზვავი ჩამოწვა და ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა. ხეობის მთელი მოსახლეობა, როგორც ქართული, ისე ოსური სოფლები და ცხინვალი, სრული ერთი თვის მანძილზე, საერთოდ, ელექტრომომარაგების გარეშე იყო დარჩენილი. არადა, "კეხვიჰესი" ამ დროს მწყობრში რომ ყოფილიყო, იმის საშუალებაც კი იქნებოდა, რომ ოსური მოსახლეობა ქართული დენით მომარაგებულიყო.

ბატონო ნიკა, შარშან თქვენ ამბობდით, რომ "კეხვიჰესის "აღდგენა შესაძლებელია, მიუხედავად ამისა, სადგური დღესაც გაჩერებულია და რჩება შთაბეჭდილება, რომ ახლა ეს საკითხი არავის ახსოვს. იქნებ, "კეხვიჰესის" უყურადღებოდ დატოვება და ხეობის რუსეთიდან მომარაგება ვიღაცას აწყობს და საქმე ადგილიდან ამიტომ არ იძვრის? რასთან გვაქვს საქმე - კორუფციასთან, პოლიტიკურ შანტაჟთან თუ უყურადღებობასთან?

მოგმართავთ თხოვნით, ამ ელექტროსადგურის პრობლემასაც დაუთმოთ ყურადღება და თუ საშუალება იქნება, შეისწავლოთ "კეხვიჰესის" ამუშავების საკითხიც.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, როგორც ყოველთვის, ახლაც თქვენი და თქვენი გუნდის ყურადღებისა და მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

*15 აპრილი, 2005 წ.*

***ხეობის მოსახლეობის სახელით წერილს ხელს აწერს 102 ადამიანი***

# ანთელიძე ბიზნესმენებს ხელშეწყობას დაჰპირდა

*საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში მეწარმეების საბაჟო უწყების ხელმძღვანელთან შეხვედრები ამიერიდან პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. როგორც გასული კვირის მოწურულს ფედერაციაში გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, საბაჟო დეპარტამენტი, მებაჟეთა და ბიზნესმენთა ურთიერთობის გამარტივების მიზნით, უახლოეს მომავალში სპეციალური ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს.*




*მალე საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე საბანკო მომსახურების ცენტრები გაიხსნება.*

"საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის" ორგანიზებით, შაბათს, ბიზნესმენებმა საბაჟო სექტორში არსებული პრობლემები უშუალოდ ამ უწყების ხელმძღვანელთან, ზურაბ ანთელიძესთან ერთად განიხილეს. შეხვედრაზე საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა განხილულ საკითხებს შორის იმპორტ-ექსპორტთან დაკავშირებით საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს.

ამასთან დაკავშირებით, ანთელიძე ბიზმესმენებს დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში ყველა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე საბანკო მომსახურების ცენტრები გაიხსნება, რაც მისი აზრით, მომსახურებას მნიშვნელოვნად გაამარტივებს.

ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის თქმით, ზურაბ ანთელიძესთან ბიზნესმენების შეხვედრა იმის საფუძველს იძლევა, რომ კონსულტაციები პერმანენტულად გაგრძელდება და საბაჟო უწყების ხელმძღვანელი პირადად მოისმენს იმ პრობლემებს, რაც თითოეულ იმპორტიორს და ექსპორტიორს მებაჟესთან ურთიერთობისას ექმნება.

როგორც შეხვედრის ბოლოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, იგი მიესალმება "ბიზნესმენთა ფედერაციის" ინიციატივას, პრობლემის გადასაჭრელად მეწარმებთან დიალოგის გამართვის შესახებ. **"ეს კარგი წამოწყებაა, რადგან ბიზნესმენებსა და საბაჟო უწყების ხელმძღვანელებს ერთმანეთთან შეხვედრისა და შენიშვნების უშუალოდ მოსმენის საშუალება გვეძლევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ბიზნესის თვალით დანახული პრობლემები,"** - განაცხადა ანთელიძემ.

*24 საათი*

# მთავრობა და ბიზნესმენები ისევ ვერ თანხმდებიან

*საქართველოს პრემიერ-მინისტრი სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში", დახურულ კარს მიღმა, შაბათს ბიზნესმენთა ერთ ნაწილს გვიან საღამომდე ესაუბრებოდა. ამ შეხვედრის ერთ-ერთი და, სავარაუდოდ, მთავარი თემა არბიტრაჟის გაუქმება იყო.*

შეხვედრის წინ პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ არბიტრაჟზე საუბარი გაცილებით წყნარ და მშვიდ გარემოში შედგება, ვიდრე ეს გასულ კვირას იყო. ნოღაიდელი ბიზნესმენების დარწმუნებას ცდილობდა, რომ კერძო არბიტრაჟი საქართველოში გარკვეული ფორმით კვლავ შენარჩუნებული იქნება, თუმცა საგადასახადო დავების განხილვა მისი პრეროგატივა აღარ იქნება. პრემიერ-მინისტრის თქმით, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის საგადასახადო დავებს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტს, რაც შეხვედრის მონაწილე ბიზნესმენთა უმრავლესობისთვის მიუღებელია.

კერძო არბიტრაჟის გარდა, ბიზნესმენების პრემიერთან შეხვედრის თემა ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს ლიცენზირების კანონპროექტი, საბაჟო კოდექსში შესატანი ცვლილებები და საქართველოში დღეს არსებული ბიზნესგარემო იყო. ბიზნესმენებმა საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზეც ისაუბრეს.

შეხედრის ბოლოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მან ბიზნესმენების მოსაზრებები მოისმინა, საბოლოო დასკვნებს კი ამ მოსაზრებების წერილობითი ფორმით გაცნობის შემდეგ გააკეთებს

პრემიერ-მინისტრმა შეხვედრის ბოლოს განაცხადა, რომ მომავალ კვირას ის კიდევ ერთხელ შეხვდება ბიზნესმენებს და მათსა და სახელმწიფოს შორის არსებულ პრობლემებზე კიდევ ერთხელ ისაუბრებენ. ამ შეხვედრას ასევე დაესწრებიან სხვა ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლები და ექსპერტები.

ასევე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ პრობლემურ თემებზე ბიზნესმენთა საბჭოსა და მთავრობის სპეციალურ ჯგუფს შორის კონსულტაციები გაგრძელდება.

როგორც ამ შეხვედრაზე გახდა ცნობილი, ასეთი ტიპის შეხვედრები პრემიერ-მინისტრსა და ბიზნესმენებს შორის პერმანენტულად მოეწყობა. თუმცა, რა პერიოდულობით, ჯერჯერობით, უცნობია. როგორც ნოღაიდელმა განაცხადა, ეს შეხვედრები, სავარაუდოდ, თვეში ერთხელ ან ორჯერ მოხდება.

*24 საათი*

# სტივენ მანი ბაქოში ენერგეტიკულ საკითხებს განიხილავს

### ბაქოში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან ყაზახეთის მიერთების საკითხზე მსჯელობენ

თამარ ივანიძე

შაბათს ბაქოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი კონსულტანტი ევრაზიის საკითხებში სტივენ მანი ეწვია.

როგორც სააგენტო "ტრენდი" იუწყება, აზერბაიჯანში მისი ვიზიტის მიზანია ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

როგორც მანმა ჟურნალისტებს განუცხადა, მას ბაქოში მთიანი ყარაბაღის პრობლემაზეც სურდა საუბარი, თუმცა ამ ვიზიტისას მხოლოდ ენერგეტიკული საკითხების განხილვით შემოიფარგლება.

მისი თქმით, ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი პირველი ნავთობით 25 მაისს უნდა შეივსოს, რაც აზერბაიჯანის ენერგეტიკისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

**"ამ მოვლენამდე ჩვენ განვიხილავთ მნიშვნელოვან ენერგეტიკულ საკითხებს, რომელთა შორის ყაზახეთის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთების საკითხიც არის,"** - განაცხადა მანმა.

მოლაპარაკებები ყაზახური ნავთობის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ტრანზიტის და ყაზახეთის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთების თაობაზე 2002 წელს დაიწყო და ამ მიმართულებით რამდენიმე შეხვედრა შედგა, რომლებზეც სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების პროექტის კონტურები დაზუსტდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის დასრულება 2005 წლის პირველი ნახევრისთვისაა ნავარაუდევი, ხოლო მეორე ნახევარში მილსადენით ნავთობის პირველი პარტია გაიშვება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ღირებულება, რომლის სიგრძეა 1762 კმ, 2,95 მლრდ დოლარია. მისი გამტარუნარიანობა 50 მლნ ტონას შეადგენს წელიწადში, ანუ ერთ მლნ ბარელს დღე-ღამეში.

როგორც "24 საათი" უკვე იუწყებოდა, სტივენ მანის ვიზიტს წინ უძღოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსოფლიოში სიდიდით მეორე კომპანია, ამერიკული "შევრონ ტექსო" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტში მონაწილეობის უფლებას იღებს, რადგან კომპანია "იუნოკალი" შეიძინა. "იუნოკალი" აზერი-ჩირაგ-გიუნშელის ნავთობსაბადოებზე (სადაც 700 მლნ ტონა ნავთობია) 10.28 პროცენტს ფლობს. "იუნოკალი" მონაწილეობს, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობაში, სადაც 8.9 პროცენტის წილის მფლობელია.

"შევრონ-ტექსო" ყაზახეთში გიგანტური თენგიზის ნავთობსაბადოების 50 პროცენტის მფლობელია და კასპიის ნავთობსადენის კონსორციუმის წევრი-კომპანიაა.

# მსოფლიოს ავიაციის ექსპერტები თბილისში

გუშინ თბილისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ავიაციის ექსპერტთა 35-კაციანი დელეგაცია ეწვია. დღეს ისინი, ქართველ კოლეგებთან ერთად, სასტუმრო "მერიოტში", ავიაციის სფეროში რეგიონული თანამშრომლობისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაუმჯობესების გზებზე ისაუბრებენ. ფაქტობრივად, ეს იქნება შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების ავიაციის ექსპერტთა პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საქართველოში. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთ თემად განიხილავენ სამოქალაქო ავიაციაში ლიბერალიზაციის კონცეფციას.

ევროკავშირის საქართველოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, შეხვედრაში, რომელიც ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის მიერ არის დაფინანსებული, მონაწილეობას მიიღებენ ევროკომისიის და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ექსპერტები და მათი კოლეგები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, თურქმენეთიდან, ირანიდან, მოლდოვადან, რუმინეთიდან, რუსეთიდან, საქართველოდან, ტაჯიკეთიდან, უკრაინიდან, უზბეკეთიდან, ყაზახეთიდან და ყირგიზეთიდან. დღევანდელ შეხვედრას გახსნის საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე კახა სეხნიაშვილი. ცოტა მოგვიანებით, სპეციალურ მოხსენებას გააკეთებს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე გიორგი მჟავანაძე.

*24 საათი*

# ინდურ და ქართულ ფარმაცევტულ კომპანიებს შორის ხელშეკრულება გაფორმდა

ინდური ფარმაცევტული კომპანიის "MULTITECH INDUSTRIES LTD"-ის კომერციულმა დირექტორმა ამიტ აგარვალმა და "თბილქიმფარმის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ სულუხიამ კვირას ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმეს. როგორც "პრაიმ-ნიუსს" თამაზ სულუხიამ განუცხადა, ხელშეკრულების თანახმად, თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტულ საწარმოში მედიკამენტები ინდური კომპანიის მიერ მოწოდებული ნედლეულით დამზადდება, ამასთანავე, "თბილქიმფარმი" მზა წამლების დაფასოებას და დისტრიბუციას უზრუნველყოფს. ხელშეკრულება ინდური სამრეწველო პროდუქციის გამოფენის მსვლელობისას გაფორმდა. "შერატონ მეტეხი პალასში" საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებული ოთხდღიანი გამოფენა, რომელშიც 20 ინდური კომპანია მონაწილეობდა, კვირას საზეიმოდ დაიხურა. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის ჯემალ ინაიშვილის ინფორმაციით, გამოფენის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ინდოეთის სამრეწველო კონფედერაციის წარმომადგენლებმა ორი თვის წინ დელიში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს. ინაიშვილის ინფორმაციით, გაცვლითი ბიზნესგამოფენები პერიოდულად მოეწყობა და ადგილობრივ ბიზნესმენებს ერთობლივი კონტრაქტების გაფორმების საშუალება მიეცემათ.

*პრაიმ-ნიუსი*

# ზემო ლარსთან 600 ტონამდე დამპალი ხორცით დატვირთული მანქანებია გაჩერებული

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის ინფორმაციით, საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, საქართველოს ტერიტორიაზე, 600 ტონამდე დამპალი კონტრაბანდული ხორცია გაჩერებული.

**"ეს არის სრული ეკოლოგიური კატასტროფა. ლარსის გამშვებ პუნქტთან, 20 მეტრში, 600 ტონამდე დამპალი ხორცია გაჩერებული და ირგვლივ მძორის საშინელი სუნია,"** - განუცხადა "ინტერპრესს" მაღლაფერიძემ.

რწმუნებულის თქმით, ხორცი საქართველოში ფოთიდან შემოვიდა და ავტოტრანსპორტით, ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით, მისი გატანა რუსეთში იგეგმებოდა.

პრეზიდენტის რწმუნებულისთვის ჯერჯერობით უცნობია, ვის ეკუთვნის ტვირთი, თუმცა იგი ყველას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს. "მე საქმის კურსში ჩავაყენე პრემიერ-მინისტრი, სამხარეო პროკურატურა და, ალბათ, რაიმე გადაწყვეტილება მიღებული იქნება," - განაცხადა მაღლაფერიძემ.

მისი ინფორმაციით, ხორცი ინდოეთიდან არის შემოტანილი და, სავარაუდოდ, მისი ნაწილი საქართველოში უკვე მოხმარებულია.

*ინტერ-პრესი*

# საბაზრო ფასები შემცირდა

სამომხმარებლო ფასების ინდექსმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 99,64 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, წინა კვირასთან შედარებით, 15-დან 21 აპრილამდე ფასების საერთო დონე 0,36 პროცენტით შემცირდა, მათ შორის, სასურსათო საქონელზე - 0,66 პროცენტით, არასასურსათო საქონელზე - 0,17 პროცენტით, ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. დეპარტამენტის ინფორმაციით, წინა კვირასთან შედარებით, ფასები შემცირდა 12,5 პროცენტით პომიდორზე, 12 პროცენტით - კიტრზე, ხოლო 25 პროცენტით გაძვირდა ვაშლი. წინა კვირასთან შედარებით, 1,7 პროცენტით გაიაფდა ბენზინი "ნორმალი". სამომხმარებლო ფასების ინდექსი სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელია და 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს.

*ინტერ-პრესი*



მოკლედ

## ელგუჯა ჯამბურია პატიმრობიდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი ელგუჯა ჯამბურია თავისუფალია. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რეგიონის პოლიციის ყოფილი უფროსი სასჯელისგან ვადამდე ადრე გათავისუფლდა. საქმე ისაა, რომ ელგუჯა ჯამბურიას მართლმსაჯულებამ ცოტა ხნის წინ მიუსაჯა ერთი წლით და სამი თვით თავისუფლების აღკვეთა. ვინაიდან ბრალდებულს სასჯელის ზომის 2/3 უკვე მოხდილი აქვს, კანონის თანახმად, ნაკლებად მძიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, პირის ვადამდე ადრე გათავისუფლება შესაძლებელია. სწორედ ამ კანონის საფუძველზე მიმართეს შუამდგომლობით უზენაეს სასამართლოს ჯამბურიას ოჯახის წევრებმა. მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შეგახსენებთ, რომ ელგუჯა ჯამბურია 2004 წლის 7 ივლისს დააკავეს. მის წინააღმდეგ საქმე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით იყო აღძრული. პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხებოდა 2002 წლის აპრილში ფოთში, ბულგარეთის საკონსულოში ჩატარებულ საგამოძიებო ქმედებებს, რა დროსაც ჯამბურიამ პროცესუალური ნორმები დაარღვია.

ყოფილ ბრალდებულს არც წინასწარი გამოძიებისას და არც სასამართლოში ბრალი არ უღიარებია.

*24 საათი*

## რიწის ტბის დათვალიერების მსურველი რუსი ტურისტები დააყაჩაღეს

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორია მსოფლიო რუკაზე ეგრეთ წოდებულ ცხელ წერტილად აღიქმება და იქაური სანაპიროსა და ღირსშესანიშნაობების მონახულებისგან თავის არიდება მიზანშეწონილადაა მიჩნეული, მზეს და ზღვას დანატრებული რუსი ტურისტები ცდუნებას მაინც ვერ უძლებენ. თუმცა, მათი გამბედაობა ხშირად სავალალო შედეგებით სრულდება. ამ ტერიტორიაზე არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარება აფხაზეთში მოგზაურობას მეტად სახიფათოს ხდის. ბოროტმოქმედები აქ თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და დღის საათებშიც კი არ ერიდებიან დანაშაულის ჩადენას.

ორიოდ დღის წინაც რიწის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსი ტურისტები დააყაჩაღეს. რუსი ტურისტებით სავსე ავტობუსი რიწის ტბისკენ მიემართებოდა. ავტობუსს ხუთი შეიარაღებული ნიღბოსანი დაესხა თავს.

აფხეზეთის უშიშროების სამსახურის ცნობით, ამ ეტაპზე ისინი მომხდარის დეტალებისა და მათთვის ცნობილი სხვა ინფორმაციის გახმაურებისგან თავს იკავებენ. ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელის არმენ ტოპოლიანის ნაამბობის თანახმად კი, თავდასხმა შუადღეზე მოხდა. ავტობუსს სულ რაღაც კილომეტრნახევარი დარჩენოდა რიწის ტბამდე, როდესაც შავი ნიღბებით სახედაფარული ყაჩაღები დაესხნენ და იარაღის მუქარით მგზავრებს ყველაფერი წაართვეს. იმავე წყაროს ცნობით, ავტობუსში ორმოცდაერთი რუსეთის მოქალაქე იმყოფებოდა. ყაჩაღებმა მათ ვიდეოაპარატურა, ძვირფასეულობა, ფული და დოკუმენტები წაართვეს და მიიმალნენ.

*24 საათი*

## ასლან მასხადოვის ოჯახს სტრასბურგის სასამართლოს იმედი აქვს

რუსეთის ფედერაციის ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის შესაბამისად, ასლან მასხადოვის ცხედარი გასაიდუმლოებულ ადგილას დაკრძალეს. ეს ფაქტი რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ ნიკოლოზ შეპელმა დაადასტურა. სხვათა შორის, იჩქერიის პრეზიდენტის დაღუპვის შემდეგ სწორედ შეპელმა აცნობა ჟურნალისტებს, რომ, კანონის თანახმად, მასხადოვის ცხედარი მის ოჯახს არ გადაეცემოდა.

ცხედრის ოჯახისთვის დაბრუნების იმედს იჩქერიის პრეზიდენტის ქვრივი და შვილები მხოლოდ სტრასბურგის სასამართლოზე ამყარებენ. ამის შესახებ გაზეთ "კომერსანტს" საფრანგეთში მყოფმა იჩქერიის პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სელიმ ბუშაევმა განუცხადა. გარდა ამისა, ბეშაევის თქმით, მასხადოვის ცხედრის გადაცემის საკითხი, შესაძლოა, მომავალ ოთხშაბათს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სხდომაზე განიხილონ.

# დაკარგულის ახლობლები პასუხს სამართალდამცველებს სთხოვენ

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ მეღვრეკისის მოსახლეობამ გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალი შერეული სამშვიდობო ძალების საგუშაგოსთან გუშინ კვლავ გადაკეტა. აქციის მონაწილეებს, რომლებიც ერთი კვირის წინ გაუჩინარებული დავით ბერუაშვილის ადგილ-სამყოფელის დადგენას ითხოვენ, გუშინწინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი მარატ კულახმეტოვი შეხვდა. თუმცა, რეალური დახმარების პირობა მან მოსახლეობას ვერ მისცა.

საქმე ისაა, დაკარგულის ახლობლები და ოჯახის წევრები დარწმუნებულები არიან, რომ დავით ბერუაშვილი ოსმა სეპარატისტებმა გაიტაცეს. "ერთი კვირის წინ ჩვენთან სახლში ოსი ეროვნების ორი მამაკაცი მივიდა და ბერუაშვილს მისი კუთვნილი "კამაზის" მარკის სატვირთო ავტომანქანით, გარკვეული საფასურის საზღაურად, ცხინვალის მიმართულებით ტვირთის გადატანა სთხოვა. სახლიდან გასვლის შემდეგ, ზუსტად ორ საათში ბერუაშვილის მობილური ტელეფონი გაითიშა", - აცხადებენ გაუჩინარებულის ოჯახის წევრები.

თვითმხილველთა განმარტებებით, მათ ბერუაშვილის კუთვნილი ავტომანქანა ცხინვალის შესასვლელთან შენიშნეს. მას შემდეგ ბერუაშვილი არავის უნახავს. ერთი სიტყვით, უგზო-უკვლოდ დაკარგული ბერუაშვილის ახლობლებლები საპროტესტო აქციებითა და გორი-ცხინვალის ავტომაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან, სანამ სამართალდამცველები მის კვალს არ მიაგნებენ და ოჯახში არ დააბრუნებენ.

ჩვენი ინფორმაციით, პოლიცია მომხდარს გატაცების კვალიფიკაციას, ჯერჯერობით, არ აძლევს.

"გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება" , - აცხადებენ სამართალდამცველები.

*24 საათი*

# ათ წლამდე პატიმრობა ქრთამის აღებისთვის

მარნეულის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე რიგით მეჩვიდმეტე მოსამართლეა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში აცხადებენ, მარნეულის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ყადიმა ნაცვლიშვილი, ისევე, როგორც სხვა მოსამართლეები, საკუთარ კაბინეტში დააკავეს.

როგორც გაირკვა, სასამართლოს თავმჯდომარემ, სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ, მოქალაქეს 500 დოლარი გამოსძალა. მის ხელში წინასწარ დამუშავებული ფული მოხვდა, რაც დაკავების ადგილას ჩატარებულმა ექსპერტიზამაც დაადასტურა.

ყადიმა ნაცვლიშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე უკვე გადაეცა გენერალურ პროკურატურას. დამტკიცების შემთხვევაში, დანაშაული 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სხვათა შორის, გასულ კვირას, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე კიდევ ერთი მოსამართლე დააკავეს. სამართალდამცველთა განმარტებით, ყაზბეგის რაიონის სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გუგუნაშვილმა, ნაცვლიშვილის მსგავსად, სასჯელის ზომის შემცირების საფასურად, მოქალაქეს ქრთამი მოსთხოვა. მასაც წინასწარ სპეციალურად დამუშავებული ფული გადასცეს.

ბოლო სამი თვის მანძილზე შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე ამავე უწყების 9 მაღალჩინოსანი, რაიონული პროკურორის ორი მოადგილე, იუსტიციის სამინისტროს 5 თანამშრომელი, თავდაცვის სამინიტროს - 2, საბაჟო დეპარტამენტის - 2, კონტროლის პალატის - 1, რკინიგზის დეპარტამენტის - 1 და პარლამენტის აპარატის 1 თანამშრომელი დააკავეს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, თითოეულ მათგანს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

*24 საათი*


„ცენტრ პოინტი" ყველგან და ყველასთვის




სათაო ოფისი: თბილისი, ჭავჭავაძის 66, ტელ. 253216, 253217 232260
www.centerpoint.ge cp@centerpoint.ge


# საპატრულო პოლიციის ქვედანაყოფები რუსთავშიც გამოჩნდნენ



რუსთავის ქუჩებში გუშინ საპატრულო პოლიციის მანქანები გამოჩნდა. ქალაქში საპატრულო პოლიციის პრეზენტაციას გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი დაესწრო.

ვანო მერაბიშვილმა საპატრულო სამსახურის შენობა ოფიციალურად გახსნა. ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ შს მინისტრმა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ზურაბ მელიქიშვილმა პირადად მოახდინეს ქალაქში პატრულირება.

ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ქვემო ქართლი რიგით მეხუთე რეგიონია, სადაც საპატრულო პოლიციის სამსახური იმუშავებს. რუსთავში სულ 200-მდე საპატრულო პოლიციელი დასაქმდება. განყოფილება, ძირითადად, რუსთაველებით არის დაკომპლექტებული. ქალაქში 6 საპატრულო მანქანა იმოძრავებს, აქედან ორი "ნივის" მარკის იქნება.

დღეისთვის საპატრულო პოლიცია სრულად მხოლოდ თბილისშია დაკომპლექტებული. დედაქალაქში ავტოპატრული, მეტროპოლიტენის და საუბნო-სახაზო საპატრულო სამსახურები მუშაობს.

*24 საათი*

# აფხაზეთის სასამართლოს თავმჯდომარე ახალი ვადით დაინიშნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ კვლავ ვახტანგ თორდია დანიშნა. ვახტანგ თორდია აფხაზეთის მართლმსაჯულებას ჯერ კიდევ ძნელბედობის ჟამს ჩაუდგა სათავეში. მისი ძალისხმევით, დევნილობის პერიოდში აფხაზეთის სასამართლოებს განსაკუთრებული განსჯადობის უფლება მიენიჭათ, რაც თავის დროზე მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტად შეფასდა. რეალურად, ეს იყო აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი შტოს - სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმურობის აღიარება. ამ გარემოებამ მაშინ, თავისთავად, აამაღლა აფხაზეთის მართლმსჯაულების ქმედუნარიანობა, ის გახდა დევნილი მოსახლეობის უფლებების დაცვის ჭეშმარიტი გარანტი.

ვახტანგ თორდია, ასევე, არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების კონცეფციის შემუშავების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო კომისიის თავმჯდომარე. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს ხსენებული კონცეფციის ძირითადი მიმართულებები, ჩასატარებელი ღონისძიებების ნუსხა და მათი განხორციელების თანმიმდევრობა.

ყოველივე ამის ერთობლიობა საბოლოოდ იქნება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიის ნაწილი, ამ კონფლიქტის სამართლიანად მოწესრიგების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი.

*24 საათი*

# უცნობმა ქუჩაში ორი მსხვრევადი ხელყუმბარა დააგდო და მიიმალა

ზუგდიდის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე სამართალდამცველებმა ორი მსხვრევადი ხელყუმბარა და ავტომატური იარაღის საბრძოლო ვაზნები ამოიღეს.

ქუჩაში დაგდებული საბრძოლო მასალების შესახებ ინფორმაცია საპატრულო პოლიციას შემთხვევითმა გამვლელმა, მოხუცმა ქალბატონმა მიაწოდა. პოლიციამ თვითმხილველებსაც მიაკვლია, რომელთა მტკიცებით, ცოტა ხნით ადრე უცნობი მამაკაცი საეჭვოდ მოძრაობდა. როგორც ჩანს, იგი საპატრულო პოლიციის მანქანის გამოჩენამ დააფრთხო; საბრძოლო მასალები ქუჩაში დაყარა და მიიმალა.

ხელყუმბარები და ვაზნები ექსპერტიზაზეა გადაგზავნილი.

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**ანკეტა**

**სახელი, გვარი** ..............................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "ელექსი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდით პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტები

შეგახსენებთ, რომ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი", უკვე ექვს თვეზე მეტია, რაც ენერგოსექტორის მონიტორინგს ახორციელებს.

ექსპერტთა ჯგუფები სწავლობენ ენერგეტიკაში არსებულ ვითარებას, შექმნილ პრობლემებსა და მიმდინარე საკითხებს.

მონიტორინგის შედეგად, ამ ეტაპზე აშკარად იკვეთება დარგის მიმართ ერთიანი სახელმწიფო მიდგომის აუცილებლობა, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების, როგორც აქტიური მხარდამჭერის, როლი ენერგოსექტორის შემდგომი განვითარების საკითხებში.

შედეგად, "ეკონომიკური მონიტორინგის ცენტრის" მიერ გამოიკვეთა ის კონკრეტული პრიორიტეტები, რომელთა მიხედვითაც, პერმანენტული მონიტორინგის საჭიროება არსებობს. აქვე, გთავაზობთ ამ პრიორიტეტების ჩამონათვალს:

**1. ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები.**

- მომწოდებელთა დივერსიფიცირების შესაძლებლობები;
- მოწოდების საშუალებები;

შიდა რესურსების არსებობა/შექმნა;

- ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისთვის გატარებული ღონისძიებების გეოპოლიტიკური ასპექტების მონიტორინგი;

**2. ენერგოსექტორის რეფორმირების ეფექტურობა.**

- ენერგოსექტორის სუბიექტები;
- ენერგოსექტორის სუბიექტებს შორის ურთიერთობების დარეგულირების საკითხები;
- კორუფცია;
- სექტორში მიდინარე რეფორმების მონიტორინგი;

**3. ენერგოუსაფრთხოების შიდა პრობლემატიკა.**

- მიწოდების ტექნიკური ნორმების დაცვა;
- კორუფციული ფაქტორი;

მომხმარებელთან ორმხრივი ურთიერთობის განმტკიცების პრობლემები;

- ენერგოობიექტებისა და მომხმარებელთა ტექნიკური ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.

# სემეკ-ის თავმჯდომარეს სამართალდამცველებთან "პრობლემები აქვს"

## რას ედავებიან ფინანსურ პოლიციაში აჭარის ენერგოკომპანიის ყოფილ დირექტორს

*სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ენერგოობიექტების მუშაობის შედეგები ექსპერტებს, ხელისუფლებასა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დიდი ხანია, არ მოსწონთ. მოსახლეობიდან ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საერთო მაჩვენებელი 30 პროცენტს ვერ ასცდა. ამის მიზეზად სპეციალისტები აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობას ასახელებენ. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან" შედარებით, ყოველთვის აღინიშნებოდა ამ მიმართულებით აჭარის ენერგოკომპანიაში არსებული პროგრესი. კომპანიის ძველი გენერალური დირექტორი საქართველოს პრეზიდენტმა, კომპანიაში არსებული წარმატებების გამო, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ დანიშნა. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ "აჭარის ენერგოკომპანიის" ორი ყოფილი და ერთი მოქმედი გენერალური დირექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე ეხება იმ დარღვევებს, რომელთა შესახებაც აჭარის კონტროლის პალატამ "აჭარის ენერგოკომპანიის" 2004 წელს გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგად აღმოაჩინა. აჭარის ენერგოკომპანიის ამჟამინდელი დირექტორი რუსლან ხოროშვილი ფინანსურ პოლიციას უპირისპირდება და აცხადებს, რომ აჭარის ფინანსურმა პოლიციამ ენერგოკომპანიაში სახელმწიფო ქონების გაფლანგვის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აბსურდულ ბრალდებებზე დაყრდნობით აღძრა.*
*მისი თქმით, თანხა, რომელსაც ფინანსური პოლიცია კომპანიას ედავება, დანაკარგია და არა გაფლანგული. "ამჟამად, ენერგოსექტორში დანაკარგის გარეშე მუშაობა შეუძლებელია," - დასძენს დირექტორი. ხოროშვილი იმედოვნებს, რომ კომპანიაში ექსპერტებს მიიწვევენ და აღნიშნული ბრალდება არ დამტკიცდება.*

აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ჯამბულ აბულაძემ განაცხადა, რომ კომპანიაში ჩატარებული შემოწმების შედეგები პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე იქნა განხილული. "მიგვაჩნია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში კომპანიაში არასწორი მენეჯმენტი ხორციელდება. შეიძლება, ობიექტური მიზეზები არსებობს, მაგრამ მოძველებული ტექნიკისა და ამორტიზებული ქსელის გამო, დანაკარგები დიდია. კომპანიის ხელმძღვანელობას, რეკომენდაციის სახით, მართვის პრინციპების შეცვლა ვურჩიეთ, რათა დანაკარები შემცირდეს. დანაკარგების გამო კომპანიის ზარალი თანდათან იზრდება, ამის პარალელურად, გაუმართლებლად მიგვაჩნია კომპანიის ხელმძღვანელთა მაღალი ხელფასები," - განაცხადა აბულაძემ.

მისი თქმით, კონტროლის პალატამ კომპანიის ფილიალების ხელმძღვანელთა თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დასვა. "ამ ეტაპზე გაუმართლებლად მიგვაჩნია კომპანიის ამჟამინდელი გენერალური დირექტორის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა, რადგან იგი მხოლოდ ოთხი თვეა, ამ თანამდებობაზე მუშაობს. შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, მან ჩვენი მოთხოვნა უკვე დააკმაყოფილა და თანამდებობებიდან გაათავისუფლა ფილიალების უფროსები და საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი," - აღნიშნა აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილემ.

მიუხედავად ამისა, კონტროლის პალატაში აცხადებენ, რომ კომპანიის შემოწმება ამით არ დასრულდება და მონიტორინგი გაგრძელდება. "კომპანიის ხელმძღვანელს მდგომარეობის გამოსასწორებლად ექვსი თვის ვადა მივეცით. საქართველოს კონტროლის პალატა, თავის მხრივ, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" შემოწმებას აპირებს, რის შემდეგაც ქვეყნის ენერგოსისტემაში შექმნილი მდგომარეობის ერთიანი ანალიზი გაკეთდება. კარგად ვიცით, რომ დანაკარგების საკითხი ქვეყნის ენერგოსექტორის საერთო პრობლემაა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ საკითხს ღრმა შესწავლა სჭირდება. უნდა გაირკვეს, ობიექტურ მიზეზს ამოფარება და დანაკარგების ხელოვნური გაზრდა ხომ არ ხდება," - განაცხადა აბულაძემ.

მისი თქმით, მოძველებული გადამცემი ხაზების პირობებში დანაკარგები იზრდება, მაგრამ გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული ნორმით უნდა იხელმძღვანელონ და მათმა დანაკარგმა 13 პროცენტს არ უნდა გადააჭარბოს. რადგან სემეკ-ს დანაკარგების ეს ზღვარი აქვს განსაზღვრული, კომპანიამ კეთილი უნდა ინებოს და დანაკარგები კომისიის მიერ დადგენილ პარამეტრს მიუახლოოს. შეიძლება, აჭარის ენერგოკომპანიაში, სხვა სახელმწიფო გამანაწილებელ კომპანიებთან შედარებით, ამოღების უკეთესი მაჩვენებელია, მაგრამ კონტროლის პალატა არასდროს იტყვის, რომ სემეკ-ის მიერ დადგენილი ზღვარი არ უნდა შესრულდეს და ამჟამინდელი მაჩვენებლები დამაკმაყოფილებელია," - აღნიშნა აბულაძემ.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*საბითუმო ბაზრიდან მიღებულ ელექტროენერგიის ღირებულებაში შესულია რუსეთიდან ხელშეკრულების საფუძველზე ("რაოჰესი") მიღებული 2 699 680 ლარის ღირებულების 62 279 264 კვტ.სთ ელექტროენერგია. ეს თანხა ანაზღაურებულია მოსკოვის კომპანია "ვილსედის ჰოლდინგის" მიერ, რომლის სასარგებლოდ ენერგოკომპანიის საბალანსო მონაცემებში 2004 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა 2 700 000 ლარის კრედიტორული დავალიანება (მათ შორისმ 320 ლარი ბანკის მომსახურების ღირებულებას შეადგენს). აღნიშნული ელექტროენერგია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობაზე აჭარის მთავრობის განცხადების საფუძველზე და ზეპირსიტყვიერი დავალებით, დამფუძნებლებთან შეთანხმების გარეშე, გაცემულია უფასოდ, რისი ფინანსური შესაძლებლობაც ენერგოკომპანიას არ გააჩნდა. აღნიშნულის გამო, კომპანიამ 2 700 000 ლარის ზარალი განიცადა.*

აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორი რუსლან ხოროშვილი კონტროლის პალატის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ აღნიშნული ოპერაციის შედეგად კომპანიას ზარალი არ მიუღია, დაერიცხა კრედიტორული დავალიანება, რომელიც 2 700 000 ლარი კი არა, 2 793 899 ლარია. გენერალური დირექტორის აზრით, ზარალს წარმოადგენს არა ელექტროენერგიაში გადახდილი თანხები, არამედ მოსახლეობაზე ფაქტობრივად გაცემული ელექტროენერგია, რომლის საფასურის ამოღებაც ვერ მოხერხდა.

კონტროლის პალატის აქტში მოხსენიებული "რაოჰესი" "ინტერ რაო ეეს"-ია. აჭარაში ხელისუფლების შეცვლამდე, რუსეთის ენერგოსისტემიდან ავტონომიურ რესპუბლიკას ელექტროენერგია უფასოდ მიეწოდებოდა. როგორც მაშინ ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე აცხადებდა, მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა აჭარას ელექტროენერგია აჩუქა.

"ამ საკითხის იურიდიულად დარეგულირებას ახლა ვცდილობთ. უკვე მივმართეთ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება და ნება დაგვრთო, თხოვნით მივმართოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, რათა საქართველოს პარლამენტთან შუამდგომლობა გაგვიწიოს და კომპანიას მოეხსნას აღნიშნულ ჩუქებასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი და მასზე დარიცხული ჯარიმა-საურავები," - განაცხადა ხოროშვილმა.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*ენერგოკომპანიის ხელმძღვანელების (გ.თავაძე, რ.თურმანიძე, რ.ხოროშვილი), ელექტროენერგიის აღრიცხვისა და მომხმარებელზე ზედამხედველობის სამსახურის (ნ.მამალაძე) არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად სარევიზიო პერიოდში მიღებული ელექტროენერგიიდან მომხმარებელზე გაუწერელია 7 241 275 ლარის 88 523 640 კვტ.სთ ელექტროენერგია. აღნიშნული მიუწერელი და მიუკვლეველი ელექტროენერგია წარმოადგენს დანაკლისს.*

რუსლან ხოროშვილი კონტროლიორთა არც ამ მოსაზრებას იზიარებს. მისი აზრით, აღნიშნული ფაქტი ის რეალობაა, რომელშიც დღეისათვის საქართველოს მთელი ელექტროგამანაწილებელი სისტემა მუშაობს. "ეს პრობლემა მხოლოდ აჭარის ენერგოკომპანიისათვის დამახასიათებელი არ არის. ამიტომ, არა მგონია, რომ ეს გამოწვეული იყოს ხელმძღვანელების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. მაგალითისათვის, შეგვიძლია გამოვიყენოთ "თელასი", რომლის აღრიცხვიანობის მოწესრიგებისათვის 65 მილიონი დოლარი დაიხარჯა. თბილისში მიღებული ელექტროენერგიის სრული გაწერა კი ვერ ხერხდება. ეს მაჩვენებელი 90 პროცენტს არ აღემატება," - განაცხადა ხოროშვილმა.

მისი თქმით, მიღებულსა და გაწერილ ელექტროენერგიას შორის სხვაობა ორი კომპონენტისაგან - ტექნიკური დანაკარგებისა და დატაცებული ელექტროენერგიისგან შედგება. "ფინანსური კუთხით ტექნიკური დანაკარგების გაანგარიშებას სემეკ-ის მიერ დადგენილი ნორმით ვერ გავაკეთებთ. სემეკ-ის მიერ დადგენილი ნორმის გამოყენება აუცილებელია საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობის დროს. ტექნიკური დანაკარგები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს ფიქსირებული. დღეს კომპანიაში არსებული აღრიცხვის სისტემა ტექნიკური დანაკარგების რეალური დონის განსაზღვრის საშუალებას არ იძლევა, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ შეუძლებელია დანაკარგების დიფერენცირება ტექნიკურ დანაკარგად და მოპარულ ელექტროენრგიად. დანაკარგების გასაკონტროლებლად აუცილებელია ელექტროენერგიის მიმოდინების აღრიცხვის ისეთი სისტემის ქონა, როგორიც, მაგალითად "სკადას" სისტემაა. ამის ფუფუნება აჭარის ენერგოკომპანიას, სამწუხაროდ, არ გააჩნია. დანაკარგი არ შეიძლება ჩაითვალოს დანაკლისად, რადგან დანაკლისი ადამიანების მიზანმიმართულ ქმედებას გულისხმობს, დანაკარგი კი საწარმოო პროცესის განუყოფელი ნაწილია," - აღნიშნა ხოროშვილმა.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*საწარმოში ფუნქციონირებს ვალების მომსახურების სამსახური (გ.დოლიძე), რომელიც აფიქსირებს აბონენტთა მიერ მოხმარებული ელექტროენერიის დავალიანებას. მიუხედავად ამისა, სარევიზიო პერიოდში მიღებულ ელექტროენერგიასთან შედარებით მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი მცირეა და 47,8%-ს ანუ 12 012 717 ლარს შეადგენს. მათ შორის, ქ. ბათუმის ფილიალში 54,8%- 6 924 292 ლარი, ქობულეთის ფილიალში 26% - 1 285 553 ლარი, ხელვაჩაურის ფილიალში 43,2% - 2 112 490 ლარი, ქედას ფილიალში 40,8 % - 265 157 ლარი, შუახევის ფილიალში 46,6% - 249 796 ლარი, ხულოს ფილიალში 47,5% - 340 818 ლარი, ხოლო ცალკე მომხმარებლის - რკინიგზის მიერ მოხმარებული 881 388 ლარის ელექტროენერგიის ღირებულებიდან ამოღებულია 834 612 ლარი, ანუ 46 726 ლარით ნაკლები.*

რუსლან ხოროშვილი: ვერ დავეთანხმები, რომ 47.8% არის ამოღების დაბალი მაჩვენებელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მიერ საშუალო ამოღების კოეფიციენტის 10%-თან გატოლება ენერგეტიკის სამინისტრომ შეაფასა როგორც წარმატება, ჩვენი კომპანიის მიერ მიღწეული ამოღების დონე რეკორდულად უნდა ჩაითვალოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" უცხოური მენეჯმენტი მართავს და მათი სახელფასო ფონდის დაფინანსება საქართველოსთვის გამოყოფილი დახმარების ფარგლებში ხორციელდება. ანუ, მათ აქვთ საშუალება, მოიზიდონ მაღალანაზღაურებადი პროფესიონალები.

რაც შეეხება მუშაობას დებიტორებთან, ეს დაწყებულია. განისაზღვრა ძველი დავალიანების აბონენტებიდან ამოღების სქემა. კერძოდ, მოსახლეობა იხდის ძველ დავალიანებას თვეში 3 ლარის ოდენობით, ხოლო ორგანიზაციები დაგროვილი ვალის 10%-ს (10%-ზე ბრძანება არ გაკეთებულა. დავალიანების მქონე ორგანიზაციებს დაეგზავნათ გადახდის გრაფიკები). ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრათ უბნის უფროსებს, ხოლო კონტროლი - ფილიალების დირექტორებს. აღნიშნული ბრძანებების მიხედვით, ოთხი თვის განმავლობაში ამოღებული იქნა 230 000 ლარის ოდენობის ძველი დავალიანება მოსახლეობიდან და 370 000 ლარი ორგანიზაციებიდან. ეს ეფექტი ნაწილობრივ გააბათილა სხვა აბონენტებიდან მიმდინარე გადასახადის გადახდაში არსებულმა შეფერხებამ.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*ფილიალებში დებიტორული დავალიანება ირიცხება ისეთ ობიექტებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებენ და მათი უმეტესი ნაწილი ლიკვიდირებულია... არსებული დებიტორული დავალიანების პირობებში საწარმოს 2004 წლის 1 იანვრისათვის (გარდამავალი ნაშთის გარეშე) ელექტროენერგიის მიღება-რეალიზაციიდან წარმოშობილი კრედიტორული დავალიანება 69 563 100 ლარს შეადგენს. მათ შორის, საბითუმო ბაზარზე - 45 799 200 ლარს, "ენგურჰესზე" - 7 854 900 ლარს, შპს "ნეოგენერაციაზე" - 12 210 300 ლარს... ამრიგად, წლების განმავლობაში საწარმოს ხელმძღვანელების მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის სუსტი მენეჯმენტის შედეგია ის, რომ ელექტროენერგიის მიღება-რეალიზაციიდან წარმოშობილი დავალიანების 100%-ით დაფარვის შემთხვევაშიც კი, საწარმოს გადასახდელი დარჩება დაუფარავი ვალდებულება 43 451 700 ლარი, რაც ცალსახად მიანიშნებს საწარმოს გაკოტრების ხელშეწყობაზე.*

როგორც რუსლან ხოროშვილი აცხადებს, კომპანიის მთავარ ბუღალტერსა და მთავარ იურისტს უკვე დაავალა, ერთობლივად შეისწავლონ კონტროლის პალატის მიერ წარმოდგენილი დებიტორების ნუსხა და გასატარებელი ღონისძიებების გეგმა შეიმუშაონ. " დადგენილი უნდა იქნას ის საწარმოები, რომელთაც დარჩენილი აქვთ მატერიალური ფასეულობები არსებული დავალიანების დასაფარად და ასეთების მიმართ აღიძრას სასამართლო პროცესი იძულებითი აღსრულების მისაღწევად. ისეთ დებიტორებზე, რომლებიც მთლიანად ლიკვიდირებულია და თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის, შეიქმნას საეჭვო ვალების რეზერვი და წარედგინოს საწარმოთა მართვის სააგენტოს ჩამოსაწერად," - განაცხადა ხოროშვილმა.

რაც შეეხება ელექტროენერგიის მიღება-რეალიზაციიდან წარმოშობილ კრედიტორულ დავალიანებას. აჭარის ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის აზრით, აჭარის ენერგოკომპანია შესყიდული ელექტროენერგიის საფასურის გადახდას საკუთარი შემოსავლებით (ინვესტიციების განხორციელების, ამოღების ზრდის, ტარიფის მომატებისა და სხვა ღონისძიებების გარეშე) მომავალშიც ვერ მოახერხებს, რაც აღნიშნული დავალიანების უწყვეტ ზრდას გამოიწვევს.

"საქართველოში ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობა ელექტროგამანაწილებელი კომპანიებისათვის ჩვეულებრივი კრედიტორული დავალიანება არ არის. ის, რომ აჭარის ენერგოკომპანია დღეს არსებობს და ფუნქციონირებს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის დამსახურებაა. ბაზარი კომპანიებს იმაზე მეტ ელექტროენერგიას აწვდის, ვიდრე ამის გადახდის საშუალება არსებობს. კრედიტორულმა დავალიანებამ ბაზრის წინაშე, ფაქტობრივად, სახე იცვალა და გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისათვის უპროცენტო კრედიტის ფორმა მიიღო. ენერგოკომპანიები ბაზრის ხარჯზე ახდენენ არა მხოლოდ შესყიდული ელექტროენერგიის დაფინანსებას, არამედ აფინანსებენ ხელფასებს, ძირითად საშუალებებს და სხვა. ანალოგიური ეფექტი იქნებოდა, ენერგოკომპანიას გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტი რომ აეღო და ხარჯები არა კრედიტორული დავალიანების ზრდით, არამედ კრედიტით დაეფინანსებინა," - განაცხადა ხოროშვილმა.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*დადგენილია 15 159 ლარის არაეფექტიანად და უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები. მათ შორის, ბათუმის ფილიალში - 12 163 ლარის (შპს "ზასკო"-სა და შპს "სათნოების სახლზე" უსასყიდლოდ, ქველმოქმედების სახით მიწოდებული ელექტროენერგიის ღირებულება - 2 737 ლარი, გაცემული ჯილდო-დახმარება - 5 280 ლარი, განუბაჟებელ 4 სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი ჯარიმა - 4 146 ლარი.) დახმარების სახით ქობულეთის ფილიალში გაცემულია 950 ლარი, ხულოს ფილიალში - 1 550 ლარი და შუახევის ფილიალში - 496 ლარი. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის N229 ბრძანებულებით დამტკიცებული, ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესისა და ნორმების შესახებ მოთხოვნების დარღვევით, ენერგოკომპანიაში 28 ანგარიშვალდებულ პირზე 48 შემთხვევაში სამივლინებო ხარჯები, ყოველგვარი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, ჩამოწერილია 8 900 ლარი. მათ შორის, გენერალურ დირექტორ გ. თავაძეზე - 5 შემთხვევაში 3 323 ლარი, გენერალური დირექტორის პირველ მოადგილე რ. თურმანიძეზე - 7 შემთხვევაში 2 153 ლარი, გენერალური დირექტორის მოადგილე ო.გოგიჩაიშვილზე - 8 შემთხვევაში 826 ლარი, გენერალურ დირექტორ რ.ხოროშვილზე - 2 შემთხვევაში 225 ლარი. ხოლო დღიური ნორმის უსაფუძვლო გაზრდით გახარჯულია სულ 3 866 ლარი... ქვეყნის შიგნით მივლინების დღიური ნორმის გაზრდაზე გამოცემულია ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის (რ.ხოროშვილი) 2004 წლის 4 და 29 ოქტომბრის N 164 და N 180 ბრძანებები. ვინაიდან, ენერგოკომპანია ზარალიანია და წმინდა მოგება არ გააჩნია, აღნიშნული ბრძანებების გამოცემა მიზანშეუწონელია.*

კონტროლის პალატის აქტის ეს ნაწილი კომპანიის ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ გაითვალისწინა. დაკავებული თანამდებობი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვეს ბათუმის, ქობულეთის, ხულოს, შუახევის ფილიალის უფროსებმა. რ. ხოროშვილს მარტის თვის ხელფასიდან დაუკავდა 225 ლარი. გ. თავაძეს, რ. თურმანიძეს, ო. გოგიჩაიშვილს დაეგზავნათ წერილები აღნიშნულ მივლინებებთან დაკავშირებით საბუთების წარმოდგენის შესახებ. გაუქმდა გენერალური დირექტორის N180 ბრძანება და აღდგა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 აპრილის N220 ბრძანებულებით განსაზღვრული სამივლინებო ნორმები.

**კონტროლის პალატის აქტიდან ამონარიდი:**

*2003 წლის აგვისტოს თვეში კერძო პირისგან განუბაჟებლად კერძო პირისგან განუბაჟებლად შეძენილ 14 980 ლარის ღირებულების "კრაისლერის" მარკის ავტომანქანის განბაჟებისთვის საბაჟო გადასახდელის სახით 2004 წლის იანვრის თვეში გადახდილია 1 704 ლარი. ხელმძღვანელების მიერ აღნიშნული ხარჯების გაწევა იმ პირობებში, როცა ენერგოკომპანიაში ირიცხება გაუცემელი ხელფასები, სახელმწიფო ბიუჯეტისა და სოციალური დაზღვევის კუთვნილი დიდი ოდენობით დავალიანებები და ენერგოკომპანია იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში, ეკონომიკურად მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია (გენერალური დირექტორი გ.თავაძე, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი რ.თურმანიძე).*

კონტროლის პალატის დასკვაზე რეაგირების მიზნით, საკუთარი განცხადების საფუძველზე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სატრანსპორტო სამსახურის უფროსი (თ. ბაღოშვილი). ამასთან, როგორც რუსლან ხოროშვილი აცხადებს. იგი აპირებს, არსებული ავტოპარკის გადახედვას და მის მინიმუმამდე შემცირებას.

კონტროლის პალატამ, შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, "აჭარის ენერგოკომპანიის" ამჟამინდელ ადმინისტრაციას რეკომენდაციებიც დაუტოვა. რეკომენდაციების საფუძველზე, თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ გენერალური დირექტორის მოადგილეები, ელექტროენერგიის აღრიცხვის, ვალების მომსახურების, საფინანსო სამსახურების უფროსები, მთავარი ბუღალტერი, ფილიალების ხელმძღვანელები და ტრანსპორტისა და მექანიზაციის სამსახურის ხელმძღვანელები.

ფინანსური სამსახურის უფროსს დაევალა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის წლიური ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება, თუმცა იმის გამო, რომ ფინანსური სამსახური ჯერ დაუკომპლექტებელია, დავალების შესრულება ჯერ არ დაწყებულა.

**კონტროლის პალატის რეკომენდაციებიდან:**

*- დააწესეთ მკაცრი კონტროლი ელექტროენერგიის მიღების, ფილიალებზე გაცემის, აბონენტებზე გაწერისა და საფასურის ამოღების საქმიანობაზე,*

*- დასახეთ რადიკალური ღონისძიებები "აჭარის ენერგოკომპანიაში" არსებული უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით,*

*- დროულად დაფარეთ სახელმწიფო ბიუჯეტისა და სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის დავალიანებები,*

*- არ დაუშვათ დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემდგომი ზრდა და დასახეთ ღონისძიებები არსებული დავალიანების დასაფარად.*

"აჭარის ენერგოკომპანიის" გენერალური დირექტორი რუსლან ხოროშვილი ამ რეკომენდაციების შესრულებას, კომპანიის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, შეუძლებლად მიიჩნევს. "ენერგოკომპანიაში არსებული უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის აღმოფხვრა დამატებითი ინვესტიციების გარეშე ვერ მოხერხდება. ბიუჯეტის დავალიანებების გასტუმრება და დავალიანებების დაფარვა აჭარის ენერგოკომპანიაში დღეს არსებული სახსრებით შეუძლებელია. ამჟამად ვამუშავებთ გამრიცხველიანების პროექტს, რომელსაც სუბსიდიის მიღების იმედით, ენერგეტიკის სამინისტროს წარვუდგენთ. ქვესადგურების გამრიცხველიანება უნდა დასრულდეს. 5 მილიონი ლარია საჭირო ხელვაჩაურის გამრიცხველიანებისათვის. მართალია, ბათუმში მომხმარებლის 80 პროცენტს მრიცხველები გარეთ აქვს გამოტანილი, მაგრამ დალუქული არ არის და კონტროლი შეუძლებელია. იგეგმება ამ პრობლემის ეტაპობრივი მოგვარებაც - კომპანიის სახსრებით, თვეში 1000 მრიცხველის მოწესრიგება. აღიცხვიანობის მოწესრიგება მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის მოგვარებაც დამატებითი ინვესტიციების გარეშე, კომპანიის სახსრებით წარმოუდგენელია," - განაცხადა ხოროშვილმა.

ხელოვნება + კვება



B3

კლიჩკომ ოთხ რაუნდში დაარღვია პირობა



B5

კავკასიის ალტერნატიული ცოცხალი მუსიკა



B6

# მომავალ ორშაბათამდე!



ნოდარ ლადარია

Anuntio vos gaudium magnum — დიდ სიხარულს გაუწყებთ:

არავინ იცის, რამდენი საუკუნეა მას შემდეგ, რაც გერმანიაში კათოლიკე ბავშვები ძილის წინ ლოცვის სახით ერთ პატარა ლექსს ამბობენ:

**ღმერთო, მისმინე — შემქმენი წმინდა,**

**რადგან შენს ხილვას ვეღირსო მინდა.**

არავინ იცის, რამდენი ათწლეულია მას შემდეგ, რაც გერმანელი კათოლიკეები ნაღვლიანი ხუმრობის სახით ყვებიან ანეგდოტს, რომ ამ ლოცვას ოდესღაც პატარა **იოზეფ რაცინგერიც** წარმოთქვამდა ხოლმე, ოღონდ მცირე რედაქციული ცვლილებებით:

**ღმერთო, მისმინე — შეიქმენ წმინდა,**

**რადგან ჩემს ხილვას ეღირსო მინდა.**

რამდენიმე დღის წინათ კი, 2005 წლის 19 აპრილს, როცა წმინდა პეტრეს ტაძრის სამოციქულო ლოჯიის კარი გაიღო, მოედანზე შეკრებილ მომლოდინე ხალხს სიხარულის ძახილი აღმოხდა. შეძახილი გაცილებით უფრო სუსტი გამოდგა, თითქმის არ ისმოდა, როცა პროტოდიაკონმა ახლად არჩეული პონტიფიკის სახელი გამოაცხადა: კარდინალი იოზეფ რაცინგერი, აწ პაპი **ბენედიქტე XVI**. მრევლი მალე დაიშალა და "რაი-უნოს" კორესპონდენტმა ძლივს მოასწრო რამდენიმე ინტერვიუს აღება. თუ ეგზალტირებული თინეიჯერების ჭყივილს არ ჩავთვლით, ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა თითქმის მკვახედ უპასუხა: **"სულაც არა ვარ კმაყოფილი კარდინალების არჩევანით — ეს ნიშნავს, რომ ისეთ ეკლესიაში მომიწევს ცხოვრება, რომელიც სულ უფრო მეტად და მეტად დაშორდება რეალობას"**.

არ უთქვამს, რომ რადიკალური რეფორმების მომხრეა, არ უთქვამს, რომ ეკუმენური დიალოგის გაძლიერებას უჭერს მხარს — ამ რიგითი ქრისტიანის სურვილი უბრალო იყო, როგორც უფლის სახარება: ქრისტეს ეკლესია ქვეყნის მარილია, ამიტომ ქვეყნიერებას რჩეულთა სექტის მსგავსად კი არ უნდა გამოეყოს, არამედ უფრო ახლობელი გახდეს მისთვის, რადგან თუ მარილმა ძალა დაკარგა, გადასაგდებია.

რამდენიმე წუთით ადრე კი ლოჯიიდან ძლიერი ტევტონური აქცენტით გაუხეშებული იტალიური ისმოდა: **"დიდი პაპის, იოანე პავლე მეორის შემდეგ კარდინალებმა ამირჩიეს მე, უფლის ვენახის უბრალო და მდაბალი მუშაკი. მანუგეშებს ის, რომ უფალს შეუძლია ნაკლოვანი საშუალებებითაც ქმნას თავისი საქმე და განსაკუთრებით ვანდობ ჩემს თავს თქვენს ლოცვებს. მკვდრეთით აღმდგარი უფლის სიხარულითა და მისი მუდმივი შემწეობის იმედით ვიაროთ წინ. უფალი შეგვეწევა და მარიამი, მისი ყოვლადწმინდა დედა, ჩვენს მხარეს იქნება. გმადლობთ"**.

ამის შემდეგ კი ეთერში რეპორტაჟის ერთ-ერთი წამყვანის ხმა გაისმა: **"ახლა კი უნდა დაგტოვოთ, კოლეგებო: ცხრასაათიანი სპეციალური გამოშვება უნდა მოვამზადო იმის შესახებ, თუ ვინაა უფლის ვენახის ეს უბრალო და მდაბალი მუშაკი და როგორ აპირებს მის გათოხნას"**.

ნეტარ არიან, რომელთა არა დაედვას ტაბუ რელიგიურ თემებსა ზედა, რამეთუ მათ იხმიონ ნაყოფი დემოკრატიისა!

ნუ დავინახავთ ამაში იტალიელების უკმაყოფილებას იმის გამო, რომ გერმანელი აირჩიეს. ამგვარი რამ კათოლიკურ ეკლესიას მთელი ისტორიის განმავლობაში შვიდგზის განუცდია ეთნიკური შეურიგებლობის თვალსაზრისით გაცილებით უფრო მძიმე ეპოქებშიც. ნუ ვეძიებთ ყველაზე ბანალურ ახსნას. თუნდაც იმიტომ, რომ დღევანდელის წინამორბედი პაპიც უცხოელი იყო და სწორედ განსვენებულისა და ახლად არჩეულის შედარება გახდა იმედგაცრუების ერთ-ერთი ყველაზე უშუალო მოტივი...

როდესაც 26 წლის წინათ, პონტიფიკატის პირველ ღამეს, სამოციქულო ლოჯიის კარებში **კაროლ ვოიტილა** გამოჩნდა, მან ასე მიმართა მრევლს: **"თქვენს ეპისკოპოსად ამირჩიეს და ახლა თქვენს ენაზე უნდა გესაუბროთ. თუ შემეშლება, იმედია, შემისწორებთ"**. პოლონელმა შემდგომ წლებში განუზომლად დახვეწა იტალიურის ცოდნა, მაგრამ მის გამოთქმას აქცენტი პირველ საღამოსაც არ ეტყობოდა. და მაინც, რას ნიშნავდა ეს სიტყვები? — უპირველეს ყოვლისა, ეს ადამიანის ხმა იყო, ადამიანებისკენ მიმართული. მოწმობა იმისა, რომ ეს პიროვნება ყველას საკუთარი ხმით დაელაპარაკება და ყველას თავისი ნების მონაწილედ გახდის. არ უთქვამს, პაპად ამირჩიესო, არამედ "თქვენს ეპისკოპოსადო". ამის შემდეგ კი აღარ დასჭირდა იმის მტკიცება, რომ უბრალო და მდაბალია, არავის აიძულა სიტყვაზე ნდობა, არც ღვთისა და მისი ყოვლადწმინდა დედის ხსენება დაუწყია ზედმეტად. პავლე მოციქულის მემკვიდრეობის ერთი ნაწყვეტი რომ მოვიხმაროთ, ამ სიტყვებში მკვდარი ასო ცოცხალ სულად იქცა.

ბენედიქტე XVI-ის სიტყვა კი მის მიერ ხელმოწერილი მრავალი დოკუმენტივით მშრალი და ოფიციალური იყო. აქ იოანე პავლე დიდის მიერ გაცოცხლებული სული კვლავ ასოს დაუბრუნდა.

განა მარტო მე ვიგრძენი! კონკლავის დასრულების შემდგომ დღეს გაზეთ "ლა რეპუბლიკას" საიტზე შეიძლებოდა შემდეგი შეფასების წაკითხვა: **"ეს პაპი ხალხის წინაშე წარდგა როგორც პაპი და არა როგორც პიროვნება: პაპი ვარ და კმარა, მიყურეთ როგორც პაპს. მან აშკარად აჩვენა ყველას, რომ სპეცეფექტებს არ დაეყრდნობა და არავისი განსაკუთრებული დასტური და მხარდაჭერა არ დასჭირდება"**. გამართლების შესანიშნავი ცდაა. რუსულ ინტერნეტ-საიტებზე კი წამდაუწუმ მეორდება სიტყვა "კონსერვატორი" — მცდარი ტერმინია... უკვე ორმოცი წელია, რაც ვატიკანის მეორე მსოფლიო კრება დასრულდა: მის მიერ დასახული მიმართულების თანახმად, დღევანდელ დასავლეთ საქრისტიანოში კონსერვატორი სწორედ ისაა, ვისაც აღმოსავლეთი ალბათ ლიბერალად მოიხსენიებდა. დღეს საეკლესიო ტრადიციის დაცვა, ანუ კონსერვატიზმი რეალობასთან სიახლოვე და მასში ჩართულობაა — ხოლო ვინც ამას ეწინააღმდეგება, კონსერვატორი კი არა, **რეტრორეფორმატორია**.

არ ვიცი, რამდენად მართებული და მოხდენილი გამომივიდა ეს ნეოლოგიზმი, მაგრამ ვიგულისხმე სარკისებური რეფორმა, ცვლილება, რომელიც ისტორიის ბორბალს უკუღმა ატრიალებს და მასთან ერთად ეწინააღმდეგება ქრისტეს სიტყვებს: "აჰა, ყოველსავე ახალს ვყოფ". **რეტრო** არაა ღვთის სივრცე, იქ სულ სხვა ვინმე ბინადრობს, ის, ვისაც ამგვარი ადგილი თვით მაცხოვარმა მიუჩინა: vade retro, Satana. იმისთვის, რომ ღვთის შეწევნით წინ იარო, ერთი აუცილებელი პირობაა საჭირო: რეალობის შეგრძნება არ უნდა დაკარგო, სინამდვილესთან კავშირი არ უნდა გაგიწყდეს.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



სწორედ აქ ისახება უცნაური მსგავსება ვატიკანის დღევანდელ არჩევანსა და საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას შორის... ამ მხრივ სამ პუნქტს გამოვყოფდი.

*პუნქტი პირველი:* **ამბობენ, რომ კონკლავის არჩევანი ევროპის გაძლიერებულმა დექრისტიანიზაციამ გამოიწვია და კარდინალებს იმედი აქვთ, რომ სიმკაცრითა და შეურიგებლობით ცნობილი "დიდი ინკვიზიტორი" რაცინგერი კვლავ ეკლესიისკენ მოაბრუნებს გზააბნეულ სამწყსოს.**

ნუთუ ასე ძნელია მიხვედრა, რომ სიმკაცრითა და რკინის ხელით უფრო მეტს დაკარგავ, ვიდრე მოიპოვებ? ნუთუ ისე ძნელია მიხვედრა, რომ ოპოზიციის არქონა მხოლოდ გასუსტებს? ბრმათა და ყრუთა სარდლობით ხომ ვერც დაიკვეხნი და ვერც გაიმარჯვებ.

22 აპრილის ნომერში სამმა ავტორმა ერთმანეთთან შეუთანხმებლად ერთი და იგივე თემა — საზოგადოების ღირსების შელახვის საკითხი წამოსწია: საქართველოს ხელისუფლება სულ უფრო თავხედდება. **დიმიტრი ავალიანი** (*ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის?*), **დათო მაღრაძე** (*საზოგადოების ღირსება და ღირებულებები*) და **ნინია კაკაბაძე** (*ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია*) ერთხმად აღნიშნავენ ამ სავალალო ტენდენციას.

დიმიტრი ავალიანი წერს: **"ექსპერტებისა და ბიზნესმენების მხრიდან ოპონირებას "ხისტი" ნოღაიდელი მარტივად პასუხობს: "არ მაინტერესებს". არც საპარლამენტო უმრავლესობას არ აინტერესებს, რას ფიქრობენ ოპონენტები ამ საკითხზე"**. საქმე კერძო არბიტრაჟის ყოფნა-არყოფნის საკითხს ეხება. არაა ადვილი პრობლემა. სულაც არ მსურს იმის თქმა, რომ არბიტრაჟი მაინცდამაინც უნდა შენარჩუნდეს. მე მხოლოდ არგუმენტების უსუსურობაზე ვამახვილებ ყურადღებას: "არ მაინტერესებს" — ამ სიტყვებით რომელიმე იტალიური ეზოს მყრალ კუნჭულში ჩაცუცქული მოშავო ელემენტები შეიძლება საუბრობდნენ, პირველი მინისტრი კი ვალდებულია განმარტოს საკუთარი აზრები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას, რომელიც, შეიძლება მართალიცაა, რაღაცის აღიარება უჭირს — მაგალითად, იმის, რომ თავის მოხელეებს არ ენდობა.

მართალია, კერძო არბიტრაჟი კარგა ხანია კორუფციის წყაროდ იქცა (გავიხსენოთ ყბადაღებული "ტეხასმოტრი", "სახანძრო უსაფრთხოება", "სანიტარული ინსპექცია" და ა. შ.), მაგრამ ამპუტაცია ყოველთვის ვერაა ეფექტური საშუალება, მით უმეტეს, თუ ამ დროს ხალხის თვალში განუზომლად მცირდები, ხოლო **გიგა ბოკერიას** გონივრულ ახსნას (არბიტრაჟმა გადაწყვიტოს ნებისმიერი დავა, საგადასახადოს გარდა) ნოღაიდელის როყიო განცხადებები ფარავს. მაგრამ გონიერ ახსნასაც და როყიო ლაპარაკსაც ერთი რამ აკლია: სიმამაცე იმის აღიარებისა, სახელდობრ რა მიზეზით დაადგა ყელზე მთავრობას კერძო არბიტრაჟის არსებობა. მით უმეტეს, რომ თავის დროზე არბიტრაჟი ვერ ამოქმედდებოდა, რომ არა ბ-ნი ნოღაიდელის (ფინანსთა მინისტრის) ხელმოწერა. ან რას ნიშნავს არგუმენტი: "ბიუჯეტი დაზარალდება"? — თუ სიმართლეა, უნდა დაზარალდეს კიდეც. მაინცდამაინც **თენგიზ ასანიძე** და მისი დაგვიანებული კომპენსაცია უნდა გავიხსენოთ? თუ ისე უნდა ვიფიქროთ, რომ არბიტრაჟის გაუქმებასთან ერთად გაქრება **ზურაბ ჟვანიას** ბოლო კვალი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში?

არა, ბატონებო, რვაას ათასს ოჯახს ამარაგებს თუ ნაკლებს, "ზაპრავშჩიკი" მაინც "ზაპრავშჩიკად" რჩება. გლეხისთვის ოცი ლიტრი დიზელის საწვავი ყველაფერიაო, — არა, მე არა მაქვს თვეში ხუთი ათასი ლარი ხელფასი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ მათხოვრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მხოლოდ ის იღებს სიამოვნებას, ვისაც სურს, რომ მათხოვრები მუდამ არსებობდნენ ქვეყანაში.

ძალიან გამიძნელდება რაიმე ციტატის არჩევა დათო მაღრაძის სტატიიდან, რადგან ერთ სუნთქვაზეა დაწერილი და სამ რამეს შეიცავს: რისხვას, ტკივილსა და სტილს. ისინი, ვისაც ავტორი მიმართავს, სამივეს მოკლებულნი არიან. თუმცა არა, ვიპოვე ადგილი: **"ერთიც მინდა ჩვენს ხელისუფლებას შევახსენო: ჩემმა მეგობრებმა და მეც მათ შორის, ნოემბრის რევოლუციაში ჩვენი გვარი და სახელი და ჩვენი წუთისოფელი დავდეთ, განსხვავებით მათგან, ვინც გვარიც, სახელიც და წუთისოფელიც ნოემბრის რევოლუციაში იშოვა"**. ეს მართლაც საინტერესო მომენტია, რომელსაც მოგვიანებით დავუბრუნდებით.

მანამდე კი ნინია კაკაბაძის სვეტიც ვნახოთ: **"პრეზიდენტი ყოველთვის უნდა იყოს ხალხის მორჩილი და არა იმ მლიქვნელებისა და კარიერისტებისა, რომლებიც უხვად ჰყავს გარშემო. სხვა შემთხვევაში რეგრესი გარდაუვალი იქნება. ამის ნიშნები პრეზიდენტის უკანასკნელ გამოსვლაში იგრძნობოდა. მას უკვე აღელვებული და აგრესიული ტონით უწევდა საკუთარი "სიმართლის" დამტკიცება, რომლის უკან საშიში ტენდენცია იმალებოდა: ვინც ჩვენთან არაა, ის ჩვენი მტერია"**.

ესეც ასე — რეგრესი. საშიში ტენდენცია კი სწორედ რეტრორეფორმაა: როდესაც რეფორმის ერთადერთი მეთოდი გაუქმების, რეპრესირების, ხისტი და მოუქნელი მიდგომის ბატონობაა, განახლება მხოლოდ ფასადებისა შეიძლება, შიგთავსი კი სულ უფრო ფუჭდება და ცხოვრებისთვის გამოუსადეგარი ხდება. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ირგვლივ სულ უფრო გამრავლდება სოციალური ატავიზმები და საზოგადოებრივი ცხოვრების ბიოლოგიურთან გაიგივება. ასე დემოკრატიას კი არა, გვაროვნულ წყობილებას ავაშენებთ: მაგალითად კი თუნდაც 21 აპრილის "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებული ერთი სტატიის სათაური კმარა: "ემზარ ჯგერენაია დიმიტრი ყიფიანის შთამომავალმა შეცვალა".

*პუნქტი მეორე:* **წმინდა საყდარზე ასვლისას ბენედიქტე XVI-მ უცვლელი დატოვა ვატიკანის ძველი მთავრობა და ყველა მოხელესა და უწყების ხელმძღვანელს ადგილი შეუნარჩუნა**.

ერთი მხრივ, ეს გასაგებია: თუმც ამაზე არ საუბრობენ, კარდინალი რაცინგერი ბოლო ორი თუ სამი წლის განმავლობაში დე-ფაქტო პონტიფიკის ფუნქციებს ასრულებდა, ამიტომ პაპად არჩევა მისთვის მხოლოდ არსებული ვითარების ლეგალიზაციას ნიშნავდა. მაგრამ აქ არის მეორე მომენტი. ამისთვის კი გავიხსენოთ, როგორ ითხოვდა, მათ შორის ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც, სახალხო დამცველი, **სოზარ სუბარი** საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წევრის პირად პასუხისმგებლობას. გასაგებია, რომ ჩეჩელაშვილმა, ქარელმა და სხვებმა პასუხი უნდა აგონ, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ ეს არ მოხდება. რატომ? როცა სახელმწიფო თვითშენარჩუნებაზე მუშაობს, როცა ამას პრეზიდენტის ქვედა ტუჩის ცახცახიც მოწმობს, ჩინოვნიკის ხელშეუხებლობა პირდაპირპროპორციულია მის მიერ დაკავებული თანამდებობისა და ნაშოვნი ფულისა. ყოველი "გადაგდებული" პოტენციური ოპოზიციონერია, ხოლო ის გარემოება, რომ ქარელი ან ჩეჩელაშვილი ოპოზიციაში დიდი ვერაფერი შვილები იქნებიან (არა მგონია, რომელიმე მათგანმა ნათელაშვილის ოდენიც კი შეძლოს), ეს ვერ იქნება არგუმენტი ხელისუფლებისთვის, რომელსაც შიში შეეპარა.

ახალი პაპის "საკადრო გადაწყვეტილება" ყოველგვარ გამოკვლევაზე უფრო აშკარად მოწმობს, რომ რელიგია თანამედროვე დასავლეთში თვითშენარჩუნებაზე მუშაობს. ასევეა საქართველოს ხელისუფლებაც. ვერც საპატრულო პოლიციის უანგარობა, ვერც დაგებული გზების ხარისხი და ვერც შეღებილი ფასადების ხასხასა თუ დამჯდარი ფერები ვერ აღმოფხვრის იმ შეგნებას, რომელსაც პერიოდული საკადრო "კარუსელი", ანუ, მეცნიერულად რომ ვთქვათ, "კადრების შენახვის კანონი" მიქმნის. განა გამოგვეპარა მხედველობიდან, როგორ დაიკავა **მარინა მოლოდინის** ეკოლოგიური ნიშა **ნაზი არონიამ** (განსხვავება ისაა, რომ პირველი დუშეთს თუ გამოჰკრავდა კბილს, მეორეს კი უფრო ფართო მასშტაბი აქვს)? როგორ უმიზნებს **ლევან მამალაძის** გვირგვინს **დათო კირკიტაძე** (აქაც არსებობს განსხვავება: ერთ-ერთ წიგნის ბაზრობაზე მამალაძემ 2500 ლარის წიგნები შეიძინა)? აი, სწორედ ამას გულისხმობდა დათო მაღრაძე: ვინც ერთხელ და ჩალის ფასად შეიძინა სახელი, გვარი და წუთისოფელი ყველაფერს დათმობს, წელებზე ფეხს დაიდგამს, ოღონდაც ეს ეფემერული მონაპოვარი მარადიულად აქციოს.

*პუნქტი მესამე:* პაპის არჩევის დღეს გერმანიის ტელევიზიამ (RTL) ტოკ-შოუ გამართა. ვატიკანის რომელიღაც სასახლის ტერასაზე შეიკრიბნენ ისტორიკოსები, პუბლიცისტები და თეოლოგები. მათ შორის იყო იოზეფ რაცინგერის ერთი ყოფილი კოლეგა. შეკითხვაზე — რას ფიქრობთ კონკლავის არჩევანზე? — მან უპასუხა: **"შეიძლება იყო შეურიგებელი, როცა ხარ მეორე ან მესამე პირი. პირველი პირის პასუხისმგებლობა ხშირად გულისხმობს რადიკალურ შინაგან ცვლილებებს"**. საინტერესო თვალსაზრისია პონტიფიკატის პირველივე დღისთვის, არა? მაგრამ ამაზე უკვე ბევრი ლაპარაკობს მთელ მსოფლიოში.

რადიკალური შინაგანი ცვლილება ჩვენშიც შეინიშნება. არ ვიცი, ალბათ **სააკაშვილს** პრეზიდენტობამდეც მოსწონდა კიჩი, მაგრამ განა ჩვენ თვალწინ არ ჩაქრა და გაუფერულდა **მაია ნადირაძე**? როგორი შინაგანი ბრძოლა ეტყობა ხოლმე სახეზე **გიგა ბოკერიას** მას შემდეგ, რაც **კობა ბექაურის** მხარდამხარ აღმოჩნდება ხოლმე რომელიღაც მორიგ კინკლაობაში?

მაგრამ აქ მსგავსებაზე მეტი განსხვავება შეინიშნება. თანაც პრინციპული. ყველას იმედი აქვს, რომ ყოფილი იოზეფ რაცინგერის "სიხისტეს" ახლანდელი ბენედიქტე XVI-ის გონიერება და დიდსულოვნება შეცვლის. ამის გარანტად კი პასუხისმგებლობა სახელდება. საქართველოში ყველაფერი პირიქითაა: ადამიანები თვალსა და ხელს შუა ფუჭდებიან და ამის გარანტი საყოველთაო უპასუხისმგებლობაა. თუმცა არის ერთი გამონაკლისი...

ხომ წაიკითხეთ 20 აპრილის ნომერში, რას ამბობდა თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ოქრუაშვილი**? — "სისულელეა იმის თქმა, რომ ჯარში პრობლემები არა გვაქვს". დაინახეთ "ინტერპრესის" ფოტოზე მისი მომღიმარი (!) სახე? ნუთუ არ განცვიფრდით, როცა მეორე გვერდზე ოქრუაშვილის მეგობრული ფოტო დაინახეთ ჟურნალისტებთან? რამ გამოიწვია ეგზომ რადიკალური "შინაგანი ცვლილება"? დიდხანს ვიფიქრე და ვერავითარ დასკვნამდე ვერ მივედი, სანამ "მარშრუტკის" მძღოლისგან არ გავიგონე მარტივი და გენიალური ახსნა: "ჭოჭებს მიიღებდა ნატოდან ან საიდანმე!"

დიახ, კარგს ალბათ ისევ იქიდან უნდა ველოდეთ, საიდანაც უკეთესი მომავლის იმედები და მათი ყველაზე ხელშესახები ნიშანი, ფული შემოდის. სხვა იმედი არა გვაქვს, იმის გარდა, რომ კეთილისმყოფელი ბატონები მართლაც არ გაახვევენ და შინ არ წაიღებენ, რაც გვაჩუქეს. ჰო, მართლა ჩუქებასა და შინ წაღებაზე გამახსენდა: ორი დღეა უკვე ზაჰესში სადღელამისოდ გვაქვს ელექტროენერგია. მაგრამ თუ 11 მაისს ისევ ექვსსაათიან გრაფიკზე დაგვსვეს, ნამდვილად მეცოდინება ამის მიზეზი და ისიც, ვინ შეახვია და წაიღო...

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# წიგნის დღე



გასული კვირა ასეთი იყო: ერთნი ბუშისთვის შეღებილ ფასადებს იწუნებდნენ, მეორენი "ტკეცილი გზებით" იყვნენ აღფრთოვანებულნი. მესამე მხარე საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნისთვის იღწვოდა. მაგრამ ყველაზე დიდი ინტერესი, მაინც ერთი პატარა ზომის წიგნს ხვდა. ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შედგენილი მოუკრეფავნი - ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშები, ის წიგნი აღმოჩნდა, რასაც დაუფიქრებლად შეიძენდა მკითხველი. ფაქტობრივად, ბესტსელერად ქცეული ეს კრებული, ქართველი კაცის ზღვარს გადასული ფანტაზიის ფაქტია, სადაც ავტორი მზად არის,... შიგ გულში გათხაროს მზეს, მზად არის"... მთელი ქვეყანა და შექმნას ახალი სამყარო". ეს ერთი და სხვა მრავალი, საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბაგეზე ღიმილმომდგარი მკითხველი იმ წამსვე მყიდველად ქცეულიყო.

რამდენიმე დღის წინ, ლიტერატურულ სივრცეში კიდევ ერთი წიგნი გაჩნდა: "არასაფრენი დღეები" - რეზო თაბუკაშვილის მოთხრობების კრებული.

სტილი დაცულია, - თავშეკავებული თხრობის მანერა; ორდინარული ისტორიები; ნაცნობი სადარბაზოების ასევე ნაცნობი ორპირები; დინამიკა - ეროტიულობის ელფერით; სხვის ომში მოხვედრილები; ნატყვიარი სხეულები. მოკლედ, "ფათერაკების მომყვანი და მათზე გამარჯვებების მომპოვებელი" პროზა.

კრებულში თავმოყრილი ხუთი მოთხრობიდან, ჩემი და არამარტო ჩემი განწყობის ყველაზე ადეკვატური "არასაფრენი დღეებია". არა იმიტომ რომ ჩვენ ყველას ასე არ გაგვიმართლა და ნისლს ვეღარ ვაღწევთ თავს (ხომ შევთანხმდით, რომ ცხოვრებას სისხლს არ გამოვწოვდით). უბრალოდ, ამ მოთხრობის გმირები მიხო და ტუსა, ერთ-ერთ სცენაში, ძალიან გვანან 23 აპრილს, წიგნის დღეს, მაღაზია "პარნასის" წინ შეკრებილ ავტორებს. ციტატა: "თითქოს "პაროლობანას" თამაშობდნენ და მას და მიხოს ერთი სული ჰქონდათ, რომ მეორე ქუჩის ბავშვები გამოჩენილიყვნენ და ისინი კვლავ გაქცეულიყვნენ და კვლავ დასხლტომოდნენ ხელიდან მდევარს".

რას ვგულისხმობ და წიგნის დღემ, დახვეწილი პომპეზურობით რომ აღნიშნავს ხოლმე ევროპა და ტრადიციას წიგნის ჩუქება წარმოადგენს, აგერ უკვე მესამე წელია, ჩვენთანაც მოიკიდა ფეხი. წელს წიგნის მაღაზიები და საჯარო ბიბლიოთეკა სხვადასხვა ღონისძიებებით იწონებდა თავს. 15 საუკეთესო მოთხრობაში გამოცხადებული კონკურსიც გაიმართა და გამარჯვებული - პირველი ადგილის მფლობელი გამოვლინდა: დათო ქართველიშვილი.

ამ დღისთვის მაღაზია "პარნასს" ყველაზე ორიგინალური იდეა ჰქონდა: გარეთ, ანუ ჭავჭავაძის პროსპექტზე გამოტანილ დახლზე წარმოდგენილ წიგნებს, თავად მწერლები ყიდდნენ. მათ გულის შორიახლოს, ლამინირებაში გატარებული, პატარა თეთრი ფურცლები ებნიათ, რომელზეც მათივე სახელები იო მითითებული.

რატი ამაღლობელი ხუმრობდა, თუმცა, სამწუხაროდ, რეალობა გახლდათ - გამყიდველი უფრო მეტია, ვიდრე მყიდველიო.

ტროტუარზე დამონტაჟებული დიდი დინამიკები, რომელიც ყველანაირ მუსიკას სთავაზობდა გამვლელს (სავარაუდოდ, ყველას მიზიდვის მიზნით); დათო მაღრაძის შეძახილი - "აბა, Salve იაფად!", - რეზო თაბუკაშვილისა და ბესო ხვედელიძის მიერ ერთგულად შესრულებული მისია - ბოლო წუთამდე დახლთან დგომა, და ვერც ახლახანს გამოსული განახლებული გაზეთი "პარნასი" ვერ იზიდავდა მყიდველს. ისინი ჩაივლიდნენ, მოგვიახლოვდებოდნენ (მეც გამყიდვლის ფუნქცია მერგო) და გვშორდებოდნენ.

ალბათ გაინტერესებთ, რა შუაშია აქ "არასაფრენი დღეების" მიხო და ტუსა?! შეიძლება არც არიან შუაში, მაგრამ მე უცნაური ასოციაცია მეწვია: ავტორებსაც ხომ აქვთ "პაროლები"?! ჰოდა, მკითხველი თუ არ ჩააცივდა, თუ არ მოუწონა, თუ არ დაუწუნა, ან, გნებავთ, თუ არ დაწვა წიგნი, თამაში ჩაიშლება! დიალოგი არ შედგება. ორივე მხარე დამარცხებული იქნება.

მკითხველი არ მივიდა, თუნდაც იმისთვის, რომ ეთქვა: ჩვენ ვიცით თქვენი პაროლი და დიდი ვერაფერიო!

საწყენი რა უნდა იყოს?! ვყვებით იმას, რაც არის. ეს თავისთავადი პროცესია. იქნებ მწერლები არ დგამენ სათანადო ნაბიჯებს?! ამიტომ ახლა, ავტორები ინტრიგის აუცილებლობაზე დაიწყებენ ფიქრს, გამომცემლებმა კი დროა ასეთ დღეებს ფასდაკლება და სიურპრიზები დაამთხვიონ, რომ შემდეგი 23 აპრილი მაინც იყოს ახალი წლის მსგავსი, შოკოლადებს რომ ვიჩუქნებით გულუხვად, ხელიდან ხელში რომ იცვლება ტკბილეული და ეს რიტუალი, საბოლოოდ, ღიმილს იწვევს.

"არასაფრენი დღეები" კიდევ ერთი მიზეზის გამო გახლავთ დღევანდელი სვეტის წამყვანი თემა, - ეს ერთადერთი წიგნი იყო, რომელიც წიგნის დღეს სხვა ავტორების გვერდით მდგარმა გავყიდე. (მთლიანობაში რამდენიმე წიგნი გაყიდა).

მჯერა მყიდველი უკვე გაცდა ორნიშნა ციფრიან გვერდებს, დაამახსოვრდა და არასოდეს დაავიწყდება:

"უხდება ამ ქალაქს ნისლი. ყველა უცხო ქალაქს უხდება. მყუდროდ ხარ ბურუსში გახვეული, მის მიღმა კი ისეთი სამყარო და ისეთი ამბებია, რომლებსაც მარტო შენ ხედავ და გრძნობ. ბურუსში დაკარგულები ძახილით, ხომალდის საყვირებით ეძებენ ერთმანეთს და თუ პოულობენ, იშვიათად კარგავენ", - ციტატის დასარული.

...ნისლია ისევ, აეროპორტები დაკეტილი... ვრჩები ქალაქში, რომელსაც ლეგენდის თანახმად შემორჩა უცნაური სახელი. ამბობენ, სადღაც აქვე ხოხობი ჩავარდაო თბილ წყალში.

ჩაეძიებოდა კაცი!

# ექვსი მიმართულება

## რომელიც სასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს

ვერა ნეფარიძე

*"მე ვფიქრობ, ყველანი ამჩნევთ, რომ ჩვენ ახლა ყველანი ვიმყოფებით კულტურული აღორძინების პერიოდის დასაწყისში", - საქართველოს პრეზიდენტს ეს სიტყვები შაბათს, ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ შეკრებაზე პირველად არ უთქვამს. არც ეს შეხვედრა ყოფილა ერთადერთი, სადაც სახელმწიფოს პირველმა პირმა (სიტყვიერად მაინც) გამოხატა სრული ნება, რომ კულტურისა და სპორტის განვითარება არის ხელისუფლების საქმიანობაში პრიორიტეტი. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის წარდგენისას, პრეზიდენტი სააკაშვილი თითქმის ნახევარსაათიანი გამოსვლით მიესალმა შეკრებილებს. მართალია, პრეზიდენტის მოხსენებას არ ჩაუვლია ქვეყნის პოლიტიკური მიღწევების აღნიშვნის გარეშე, მაგრამ მთლიანობაში, სამსაათიანი შეხვედრის განმავლობაში კულტურის მოღვაწეებს (გაცვეთილია ეს სიტყვათშეთანხმება, მაგრამ ზუსტი) უნდა ეგრძნოთ, რომ "ხელისუფლება მათ მოედანზეა". თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ საზოგადოებისა და ხელისუფლების უნისონის იდეა არც ახალია და არც განსაკუთრებული. მთავარი ის გზებია, რომელმაც ექვსი სტრატეგიული მიმართულებით ქართული კულტურისა და სპორტის განვითარებამდე უნდა მიგვიყვანოს.*



სამინისტროში ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა მოამზადეს

მაშ ასე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ შაბათს ოფიციალურად დაასახელა კულტურის პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები, ხუთწლიანი (2004-2009 წლების) სამუშაოს ძირითადი ამოცანები და იმ სანუკვარი შედეგების წარმოსახვითაც გვასიამოვნა, რაც ამ ყველაფერს ლოგიკურად უნდა მოჰყვეს (თუკი სამინისტროს ძირითად სამოქმედო გეგმას ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირემ არ შეუშალა ხელი - როგორც ეს აღნიშნულია თვითონ გეგმაში). ის, რომ არც ერთი და არც მეორე არ ემუქრება კულტურასა და სპორტს (განსაკუთრებით კი კულტურას), ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა თქვა. შაბათს მიხეილ სააკაშვილი ბევრს საუბრობდა ქვეყანაში არსებულ კულტურულ პოტენციალზე; რაც შეეხება დაფინანსებას, ამის გარანტიაც მისცა ხელოვანებს; კერძოდ კი, ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ზოგადად კულტურა და კონკრეტული კულტურულ-შემოქმედებითი ორგანიზაციები, ყოველწლიურად მატებით დაფინანსდება.

"ჩემთვის დიდი პატივია თქვენ წინაშე წარდგომა; აქ ხართ ის ხალხი, ვინც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სიამაყეს, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. მე ვფიქრობ, ყველანი ამჩნევთ, რომ ჩვენ ახლა ყველანი ვიმყოფებით კულტურული აღორძინების პერიოდის დასაწყისში; ეს არის პირველ რიგში ქვეყანაში არსებული ზოგადი განწყობა. სამ წელიწადში საქართველოში შეიქმნა საოცრებები კულტურის, მეცნიერების, განათლების სფეროებში. 1992 წლის შემდეგ საქართველოში წარმოიშვა სტაგნაცია იმის გამო, რომ საზოგადოებას მოთხოვნილება სულისკვეთებაზე, ახალ იდეებზე, შემოქმედებაზე, მთლიანად გაუქრა; იყო ცინიზმი, ნიჰილიზმი, იყო გაუცხოება საზოგადოებისა მთლიანად ყველაფრისგან და მათ შორის, სამწუხაროდ, კულტურისგანაც. ახლა საქართველო ცხოვრობს სრულიად უნიკალურ პერიოდში. საქართველოს კულტურული ფუნქცია, რომელიც არსებობდა საუკუნეების განმავლობაში, გადაიქცა საქართველოს პოლიტიკურ ისტორიულ მისიად", - ასე დაიწყო პრეზიდენტმა თავისი მისასალმებელი სიტყვა, რის შემდეგაც შეკრებილებს კიდევ ერთხელ შეახსენა გაორმაგებული და 5-6-ჯერ გაზრდილი ხელფასები თუ დაფინანსება ოპერისა და ბალეტის თეატრში, რუსთაველის თეატრში... საქართველოში კულტურული აღორძინების მაჩვენებლად კი, ამ ყველაფერთან ერთად, "ფაინეშენელ თაიმსის" პუბლიკაცია დაიმოწმა; ახსენა წელს კულტურის ძეგლების რესტავრაციისთვის გამოყოფილი მილიონი ლარი, თუმცა, იქვე დაამატა, რომ სასურველი შედეგის მისაღწევად ასი მილიონია საჭირო; იამაყა ეროვნული მუზეუმის რეფორმით და დათო ლორთქიფანიძე იმ ფანატიკოსადაც მოიხსენია, ვის ხარჯზეც ახალი ქვეყნები შენდება; კიდევ ერთხელ უწოდა გმირი ნინო ანანიაშვილს; "ჩვენ არ უნდა მოვითხოვოთ, პაატა ბურჭულაძე ან ლიანა ისაკაძე სამუდამოდ გადმოსახლდნენ საქართველოში; მაგრამ ლექსო თორაძემ ახლა შეიძინა ბინა თბილისში და აპირებს უმეტესი დრო გაატაროს საქართველოში. ალექსანდრე კორსანტია ურთულეს პირობებში, არავინ რომ არ პატიჟებდა, მაინც ჩამოდიოდა, აქ უკრავდა. აი, ეს არის სხვანაირი ხალხი", - პრეზიდენტმა "სხვანაირი ხალხის" ჩამონათვალს დარბაზში მსხდომთა რამდენიმე გვარიც შეჰმატა და გამოსვლის დასასრულისკენ ყველა მათგანს ურჩია: "ერთი რამ უნდა გვახსოვდეს - ერთბაშად სასწაულები არ მოხდება, შემობრუნება მოხდა, მაგრამ ერთბაშად ეს შემობრუნება ვერ მიგვიყვანს მიზანთან. თქვენ ხელახლა უნდა გახდეთ, საუკეთესო აზრით, საზოგადოების ელიტა. საზოგადოების ელიტა, იცით, 90-იანი წლების დასაწყისში გახდნენ ბანდიტები და ყაჩაღები, მერე ძველი ნომენკლატურის შემორჩენილი წარმომადგენლები, მერე ვინც ერთხელ მაინც დაისაკუთრა ადგილი მიკროფონთან, გახდნენ ყველა რანგის პოლიტიკოსები. ახლა საზოგადოება უბრუნდება ნამდვილ ფასეულობებს, ნამდვილ ზნეობრივ ღირებულებებს, ნამდვილ ნიჭიერებას აფასებს. ამ შემთხვევაში ელიტა უნდა გახდეთ ისევ თქვენ და ახალი ხალხი, რომელიც შემოემატება ამ წრეს საქართველოში. ჩათვალეთ, რომ დღეს მე განსაკუთრებულს არაფერს შეგპირებივართ, გარდა ერთისა: ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კულტურა საქართველოში იყოს იმ სიმაღლეზე, რაც ეკადრება მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო, ერთ-ერთ ყველაზე თვითმყოფად, ერთ-ერთ ყველაზე განსაცვიფრებელ და, რაც მთავარია, აღიარებულ კულტურას".

რაც შეეხება სამინისტროს ექვს მიმართულებად დაყოფილ სამოქმედო გეგმას, კიდევ კარგი, პრეზიდენტმა შეხვედრაზე მისვლა საათნახევრით დააგვიანა (და ჯერ ეს გეგმა მოისმინა საზოგადოებამ), თორემ ეს გეგმა ალბათ დარბაზში მსხდომი ბევრი ადამიანისთვის უცნობი დარჩებოდა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ძირითადი ნაწილი მაინც პრეზიდენტის დაპირებების მოსასმენად უფრო მივიდა, ვიდრე კონკრეტული სტრატეგიული გეგმის გასაცნობად.

მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა თავიდან სტუმრებს გააცნო, თუ რის მიღწევა სურს მის უწყებას; იმისთვის, რომ მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ჩადგეს ქვეყნის თანამედროვე ინტერესების სამსახურში, საჭიროა კულტურის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია. "ჩვენ აქამდე არ ვსაუბრობდით გამოყენებაზე. არა უბრალოდ რესტავრაცია ან კონსერვაცია, არამედ მისი გამოყენება ქვეყნის ტურისტული, სამეცნიერო, საგანმანათლებლო მიზნებისთვის. კულტურული მემკვიდრეობა ამგვარად არის დაკავშირებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსთან", - თქვა გიორგი გაბაშვილმა.

სამოქმედო გეგმის მისიის (რომელიც ამგვარად არის ჩამოყალიბებული: საქართველოს მოქალაქეთა კულტურულ ცხოვრებაში შეუზღუდავი მონაწილეობის კონსტიტუციური უფლებისა და კულტურის განვითარების სახელმწიფო კონსტიტუციური ვალდებულების რეალიზება, ასევე, მსოფლიოს ერთა და კულტურათა მრავალფეროვან ოჯახში საქართველოს სახისა და თვითმყოფადი ქართული კულტურის წარმოჩენა და განვითარება) შესასრულებლად შერჩეულია ზემოთ არაერთხელ ხსენებული ექვსი მიმართულება. ესენია: საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია და გამოყენება; საერთოეროვნული მნიშვნელობის კულტურული ცენტრების (ორგანიზაციების) მხარდაჭერა; საქართველოს რეგიონებში კულტურული ცხოვრების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად კულტურისა და სპორტის ინფრასტრუქტურის განვითარება; სახელოვნებო და სპორტული განათლების სისტემის მდგრადობა და უწყვეტობა; საქართველოს ეკონომიკაში კულტურისა და სპორტის კონტრიბუციის მატება, დაბოლოს, კულტურისა და სპორტის სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება. თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე სტრატეგიული ამოცანები აქვს დასახული; მათ შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი (როგორიცაა "ეროვნული ლატარია", "კინოქალაქი") ამჟამად საწყის ეტაპზეა. ხუთწლიანი გეგმის პრეზენტაცია საკმაოდ ხანგრძლივი და დამღლელიც აღმოჩნდა. იმედია, ასეთივე არ იქნება ეს გეგმა განხორციელებისას.

# "კაი მოთხრობა" სიყვარულზე

## დავით ქართველიშვილის ნაწარმოები საუკეთესოდ დაასახელეს

ია ვეკუა

ვისაც ცხოვრებაში "დედა ენის" გარდა სხვა წიგნებიც გადაუშლია და პირველად წაკითხვის სიტკბოს ბოლომდე ჩასწვდომია, 23 აპრილი საკუთარ დაბადების დღეზე უკეთესად უნდა ახსოვდეს. თუ დაავიწყდა, პრობლემბმა არც ესაა - წიგნის საერთაშორისო დღე მთელ მსოფლიოში იმდენად მასშტაბურად აღინიშნება, რომ აუცილებლად იგრძნობთ სხვადასხვა ქვეყანაში ათასობით წიგნის გადაფურცვლისგან ატეხილ შრიალს. თანაც, ისეთს, რომელსაც რეი ბრედბერისეული 451 გრადუსის განელებაც შეუძლია.

შრიალებდნენ საქართველოშიც - შედარებით მოკრძალებულად, მაგრამ შეძლებისდაგვარად ხარისხიანად. 23 აპრილს თბილისში ორი ლიტერატურული პრემია გაიცა, რომლებიც "ლიტერატურულმა პალიტრამ" და "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" დააწესეს. ამ უკანასკნელმა კვლავ გააგრძელა წელიწადში ერთხელ 15 საუკეთესო მოთხრობის გამოცემის ტრადიცია და ამ ნომინაციაში გამარჯვებულებიც დააჯილდოვა.

"15 საუკეთესო მოთხრობა" წელს მესამედ გამოიცა. როგორც წესი, მასში ის მოთხრობები შედის, რომლებიც წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში (ლიტერატურულ გაზეთებში, ჟურნალებსა და კრებულებში) იბეჭდება. არსებობს კონკრეტული პირობებიც - მოთხრობა აუცილებლად მხატვრული ნაწარმოები უნდა იყოს და ისეთი მოცულობის, რომ რომანზე არ ჰქონდეს პრეტენზია. ბაკურ სულაკაურის თქმით, ამ მოთხრობებს თავად გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია არჩევს. შემდეგ გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს კრიტიკოსებსა და ლიტერატურული გამოცემების რედაქტორებთან.



საუკეთესო მოთხრობის ავტორი - დავით ქართველიშვილი

**ბაკურ სულაკაური:** "ლიტერატურული ჟურნალებისა თუ გაზეთების რედაქტორებს, ასევე გამომცემლებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ წლის განმავლობაში მათთან დაბეჭდილი და საუკეთესოდ მიჩნეულ ნაწარმოებთა ჩამონათვალი. 15 მოთხრობის ამორჩევა არ არის ძნელი, რადგან, როგორც წესი, ამ პროცესის ყველა მონაწილის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. საბოლოო გადაწყვეტილებასაც ერთობლივად ვიღებთ".

გაცილებით რთული და საპასუხისმგებლო აღმოჩნდა ნომინაციაში გამარჯვებულის შერჩევა. ეს მისია დაევალა კომპეტენტურ ჟიურის, რომლის შემადგენლობა, მათივე თხოვნით, დაჯილდოების შემდეგაც საიდუმლოდ დარჩა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ყველა მათგანი აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებში და ამ საკითხში ჭკუაც მოეკითხება.

საუკეთესო მოთხრობის ნომინაცია "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" წელს პირველად დააწესა. გამარჯვებული და, შესაბამისად, საპრიზო 500 ლარის მფლობელი დავით ქართველიშვილი გახდა. მისი მოთხრობა "შვილზე მეტი და სიყვარულის ახსნა" 2004 წელს ჟურნალ "ალტერნატივაში" გამოქვეყნდა. ქართველიშვილისთვის ეს მეორე გამარჯვებაა. 2000 წელს მან "წინანდლის პრემია" მიიღო. მისი ნაწარმოებები "15 საუკეთესო მოთხრობაში" სამჯერვე მოხვდა და ბოლო ცდაზე გაუმართლა კიდეც. მოთხრობის ზოგადი ფაბულა: "შვილზე მეტი და სიყვარულის ახსნა" მოგვითხრობს ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელსაც აფხაზეთის ომში წასვლა სურს, მაგრამ ოჯახის წევრები ცდილობენ, გადააფიქრებინონ.

დავით ქართველიშვილი საკუთარ ნაწარმოებზე საუბარს ერიდება და მხოლოდ იმას ამხელს, რომ "კაი მოთხრობა" დაწერა. შემდეგ მაინც ამატებს, რომ იგი ცხოვრებასა და რწმენაზეა და, საბოლოოდ, ასეთი ბუნდოვანი განმარტების ამარა გვტოვებს.

მეორე და მესამე ადგილები, შესაბამისად, ზურაბ ლეჟავასა და მიკა კიკაჩეიშვილის მოთხრობებს ერგო.

თანამედროვე ქართული ლიტერატურის მოყვარულებს, ალბათ, ისიც ემახოვრებათ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში, 23 აპრილს მთაწმინდაზე (პანთეონის "ბინადრებთან" ახლოს) პრემია "საბას" დაჯილდოების ცერემონიალი ტარდებოდა. წელს ეს "მცირეწლოვანი" ტრადიცია დაირღვა და 26-29 მაისს დაგეგმილ წიგნის ფესტივალის პარალელურად გაიმართება. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო გამომცემლობების ნომინაცია "საბაზე" წელსაც არ იქნება, ბაკურ სულაკაური ფესტივალისთვის სერიოზულად ემზადება და ისეთი მასშტაბის სიურპრიზებსაც ამზადებს, რომლის გამხელისგან, როგორც წესი, თავს იკავებენ.

# ხელოვნება + კვება

New York New York - მღერის ფრენკ სინატრა და ნიუ იორკი რომ მსოფლიოს დედაქალაქია, კიდევ ერთხელ გვახსენებს. ქალაქური ხიბლი ხიბლად დარჩეს და ჭამა ღირსშესანიშნაობიდან ღირსშესანიშნაობამდე სირბილებს შორის ხომ მაინც ყველას უნდა? ამ კითხვაზე პასუხი ნიუ იორკის 22 ათასამდე რესტორანს აქვს. გალერეიდან მუზეუმში, იქიდან ბროდვეიზე, იქიდან კი მეტროპოლიტან ოპერაში სტუმრობებს შორის დანაყრება ბევრგან შეიძლება, თანაც, ყველანაირ ფასად და ყველანაირი გემოვნების შესაბამისად: პარიზული ფუნთუშეულით და კიბორჩხალების ფართო ასორტიმენტით, ანდა ყველაზე მოდური კოქტეილებით მანჰეტენის რომელიმე კოქტეილ-ბარში, ასევე: იაპონური სუშითა და ტაილანდური ბრინჯეულით, იტალიურ თუ უკვე ინტერნაციონალურ პიცაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თუმცა, გემოვნებათა და არჩევანთა ამ საოცარ სიჭრელეში აღმოსავლეთ ევროპის ანდა მესამე სამყაროს წარმომადგენლებს ერთი გასტრონომიული დეტალი ეჩვენებათ ყველაზე შესაშურად: ის, რომ ნიუ იორკის ყველა კარგ და სტუმრებით გადატვირთულ მუზეუმსაც კი აუცილებლად კარგი რესტორანიც ახლავს თან. ანუ ხანდახან მუზეუმს ისეთივე ძვირფასი დასასვენებელ-დასანაყრებელი ადგილი აქვს გამოძებნილი, როგორი ძვირფასი ექსპონატებიც მათ საცავში ინახება.

ამიტომაც სულაც არ ჟღერს ხელოვნურად "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველთა შემდეგი დაკვირვება: "საკმარისია, ცოტა ხანგრძლივად მოგიხდეს ჰოლანდიელთა მხატვრობის თვალიერება, რომ მალე მიხვდები, ერთი სული გაქვს, როდის ჩაკბეჩ წითელ ვაშლს, ანდა როდის მოჭრი ერთ გვარიან ნაჭერ ყველს და პირს ჩაიტკბარუნებ. ხელოვნებით გადაღლილი თვალები და დარბაზიდან დარბაზში სიარულით მოქანცული ფეხები რომ დაასვენოთ, ითხოვეთ მუზეუმის რუკა და საგანგებოდ მონიშნული კაფეტერია მონახეთ. აქ ტკბილი ვაშლებისა და გემრიელად გამოყვანილი ყველის არა მხოლოდ დათვალიერება შეგეძლებათ, არამედ გასინჯვაც. გთავაზობთ ნიუ იორკის საუკეთესო რესტორნებს მუზეუმებში".

იკითხავთ, ღირს თუ არა იქ ვირტუალურად, გაზეთის ფურცლიდან გასეირნება, მაგრამ სანამ მსგავსი საყოფაცხოვრებო კულტურა, სახელოვნებო კულტურასთან ერთად, ჩვენს ქალაქშიც დაიხვეწება, მანამდე ისევ ნიუიორკული რესტორნების მენიუს გადახედვით გავერთოთ.

**ხელოვნების მეტროპოლიტან მუზეუმი.** ეს შესანიშნავი ადგილია. პერმანენტული ექსპოზიციებისა და უნიკალური კოლექციების გარდა, აქ ე.წ. სპეციალური გამოფენებიც ეწყობა. მაგალითად, როგორც ახლა: 30 მაისამდე დაიან არბუსის ფოტორეტროსპექტივა გასტანს, 10 ივლისამდე - მაქს ერნსტის რეტროსპექტივა, 1 მაისამდე კი - შერეული გამოფენა სახელწოდებით "ფილიპო ლიპიდან პიერო დელა ფრანჩესკამდე: როგორ ყალიბდებოდა რენესანსის დროინდელი მხატვარი".

ამ ყველაფერს დაათვალიერებ, შემდეგ კი შესანიშნავი პანორამული ხედის მქონე სასადილო დარბაზში ახვალ. კაფე სხვენშია მოთავსებული და კლიენტებს მაისიდან შემოდგომის ბოლომდე მასპინძლობს. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა იშლება ქვევით ხელისგულივით - მანჰეტენის ჰორიზონტი, რომელიც ნიუ იორკის დაძაბული ცხოვრების რიტმს ბოლო წვეთამდე შეგაგრძნობინებს. იქვეა გადახურული აივანი, სადაც მუშაობს ბარი და გემრიელი კოქტეილის თანხლებით გაძლევს ნიუ იორკის მშვენიერი ხედებით ტკბობის საშუალებას. მუზეუმში ფუნქციონირებს სხვა კაფეც Petrie Court Cafe: ჩაუვლი როდენის რომელიმე ქანდაკებას, მიუჯდები მაგიდას, რომელიც ცენტრალურ პარკს გაჰყურებს და გემრიელად ისაუზმებ: გოგრის სუპით, პასტით და მოცარელას ყველით. ხოლო თუ ტკბილეულის გულშემატკივარი ნებაზე ხართ, მაშინ ოფიციანტი მოგართმევთ შოკოლადის ტორტის ნაჭერს ფისტაშის ნაყინით - თანაც, ხედი ხომ უცვლელი დარჩება.







**დაჰეშის ხელოვნების მუზეუმი.** ეს ადგილი ნიუ იორკის მუზეუმებს შორის მართლაც უნიკალურია, რადგან ის მხოლოდ ერთ კონკრეტულ დროსა და ადგილს ეძღვნება: აკადემიური განათლების მქონე ევროპელ მხატვრებს მე-19-20 საუკუნეებიდან; მათი ნამუშევრების შეგროვებას, გამოფენას და დაცვას. მოკლედ, დაჰეშის მუზეუმს შტატებში ბადალი საერთოდ არ ჰყავს. ბევრს კი იქაურობა მისი გამორჩეული რესტორნის გამოც არანაკლებ უყვარს. კაფე "ოპალინი" მეორე სართულზე - ეს ძალიან მყუდრო, სამზარეულოს ტიპის ადგილია, მოხერხებული მაგიდებით ფანჯარასთან და, რაც მთავარია, ბევრი და დიდი ფანჯრით, რომლებიც მედისონ ავენიუზე გადის. და რადგან სართული მხოლოდ მეორეა, ამიტომ ნიუ იორკს იქვე, ძალიან ახლოს, სულაც რაღაც ერთი მინის მიღმა შეიგრძნობ - მზიანსა თუ წვიმიან ამინდში, ხალხმრავლობასა თუ საგზაო საცობებში, გამვლელებსა და საგზაო ნიშნებში. ყველაფერი იქვეა, ძალიან ხელშესახები და ძალიან ახლობელი. ამიტომაც გამოფენის დათვალიერებისა და დოკუმენტური ფილმის ნახვის შემდეგ "ოპალინში" რომ არ შეიაროს კაცმა, არაფრით შეიძლება. მით უფრო, რომ მენიუც შესანიშნავია: სოკოსა და თხის ყველის ღვეზელი, ტუნა თევზის სენდვიჩი, ათასგვარი სალათი და ე.წ. შუადღის ჩაი - ინგლისური წესით. მოკლედ, ყველაფერი იმისთვის, რომ ნიუიორკულ-ევროპული მიქსის იდეალი იგრძნოს სტუმარმა.

**თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი.** იგივე MoMA. გაშიფრვაც აღარ უნდა იმას, რაც ამ უზარმაზარ და სუპერთანამედროვე შენობაში ხდება. აქ თანამედროვეობის ზეიმია - ექსპონატებითა და გავლით მყოფი გამოფენებით, ინტერიერითა და ექსტერიერით დაწყებული და კაფეთი დამთავრებული. ძნელი მისახვედრი არც კაფეს სახელია - "მოდერნი" ასე ჰქვია მშვენიერ სივრცეს, რომელზეც არანაკლებ მშვენიერი ბარია მიბმული. თუმცა, იმდენად პოპულარული ადგილია, რომ ადგილის პოვნა მუდამ ჭირს. "მოდერნში" ხომ მხოლოდ მუზეუმის სტუმრები არ დადიან. ამიტომ მუზეუმს სხვა გასტრონომიული ალტერნატივაც აქვს - "ტერასი 5 კაფე". აქ განსაკუთრებით გადატვირთული დღე შაბათია. ამ დროს რიგში დგომა შეიძლება ნახევარი საათითაც გაჯანჯლდეს. მაგრამ ლოდინი ღირს. როგორც კი თეთრი კუბის ფორმის დარბაზში აღმოჩნდები და მთლიანად შემინული კედლიდან მუზეუმის სკულპტურებით სავსე ბაღს გახედავ, ყველაფერი დაგავიწყდება, შიმშილიც კი. არადა, მენიუც ძალიან დახვეწილი და ელიტურია - მსუბუქი კერძებით, მრავალი სახეობის ყველით, შებოლილი ლოქო კიტრით, ხიზილალით, ტკბილეულით, მათ შორის, ხელით მომზადებული შოკოლადით, თხილიანი შოკოლადის ტორტით, ღვინითა და კოქტეილებით.

**რუბინის ხელოვნების მუზეუმი.** ნიუ იორკის ყველაზე ახალგაზრდა მუზეუმი, რომელიც 2004 წლის ოქტომბერში გაიხსნა. ის პირველი ხელოვნების ინსტიტუტია მთელ დასავლურ სამყაროში, რომელიც ჰიმალაებისა და მიმდებარე რეგიონების ხელოვნებას ეძღვნება. შესაბამისად, ამ უნიკალურ გარემოში რესტორნის ინტერიერიცა და მენიუც სრულიად უნიკალურია. კედლებს შორეული აღმოსავლეთის პეიზაჟები ამშვენებს, ღია ფერის ხის იატაკზე კი ხის მაგიდებია განთავსებული, მუსიკაც, ცხადია, ჰიმალაიდან მოდის. გარემო იმდენად რიტუალურია, რომ ლამის ტიბეტელი ბერების შელოცვებიც ჩაესმით სტუმრებს. მენიუ? მენიუც საოცარი - აზიურ სანელებლებში ამოვლებულ მთელ-მთელ ნუშებს ინდური კერის ისეთი ტკბილი გემო დაჰკრავს, კლიენტებს იმასაც აფიქრებინებს, რომ შეიძლება არც გველის ხორცი იყოს დესერტად ურიგო. ქათმის სუპი - ოღონდ ისიც აზიური სანელებლებით სავსე, ისევ კერიში ამოვლებული კრევეტები, ცინცხალი ბოსტნეული და აზიური ტკბილეული.

ბიძინა მაყაშვილის სვეტი

# როკ-ენ-როლის ეპოქის ზღაპრები



## ტელევიზორი

როგორც მახსოვს, თავიდან გადაცემები საღამოს 6 საათზე იწყებოდა, მაგრამ ტელევიზორს ერთი საათით ადრე რთავდნენ ხოლმე - გასასწორებელი ბადის ფონზე მუსიკას გადასცემდნენ; ძირითადად, ჯორჯე მარიანოვიჩის, რადმილა კარაკლაიჩის, რობერტინო ლორეტის, იოვანას და სხვა "ვარსკვლავების" სიმღერებს გვასმენინებდნენ.

მერე იწყებოდა გადაცემები: "ცეროდენას ეკრანი", საინფორმაციო პროგრამა, სპორტული რეპორტაჟები, "ოქროპირი", ქართულ-საბჭოთა ესტრადა, "ცისფერი ეკრანი" (სულ მიკვირდა, რატომ ერქვა მაშინ ნაცრისფერს ცისფერი), დოკუმენტური და რა თქმა უნდა, მხატვრული ფილმი. თუმცა, ეს უკანასკნელი გვიან იწყებოდა და მე უკვე მეძინა ხოლმე. მაგრამ ამ ფილმებს მეორე დღეს იმეორებდნენ, დღის 12 საათზე - სწორედ ამ დროს მიმთავრდებოდა გაკვეთილები. ასე რომ, ამ პერიოდში ფილმების უმეტესობა 15-წუთიანი დეფიციტით მქონდა ნანახი.

მაგრამ ეს არ იყო დანაკლისი, რადგან მაშინ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ინტენსიურად დადიოდა კინოში. სხვაგან წასასვლელი, ფაქტობრივად, არც იყო, ამიტომ მაშინ შედარებით მეტს კითხულობდნენ წიგნებსაც და გაზეთებსაც. 4-5 გაზეთი ყველა ოჯახს ჰქონდა გამოწერილი.

ქართული ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებიდან ყველაზე მიმზიდველი და მძაფრსიუჟეტიანი ამინდის პროგნოზი იყო. საერთაშორისო სპორტს მხოლოდ მაშინ აჩვენებდნენ, როცა ტურნირში საბჭოელები მონაწილეობდნენ. ჩვენ რომ მუსიკა გვაინტერესებდა, იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყველაზე საინტერესო "გადაცემა" მაინც ფილმის ჩვენება იყო. ახლა რომ ტელერეკლამა და პორნოგრაფია ნერვებს გვიშლის, მაშინ იმაზე ვოცნებობდით, ერთი Marlboro-ს რეკლამა და იქაური პლაჟი მაინც გვანახა-თქო. და საერთოდ, როცა პირველად უნდა დამელია კოკა კოლა, ისევე ვღელავდი, როგორც მოგვიანებით, "პლანის" გასინჯვის წინ.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ტელევიზორი მაინც საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა; გასაკუთრებით, ტელეტექნიკის განვითარების შემდეგ. საერთოდ, არსებობის პირველ ეტაპზე ტელევიზორმა დიდი როლი შეასრულა ოჯახის ერთიანობის განმტკიცებაში - საღამოობით ხომ ყველა ერთად უჯდა მოკიაფე ყუთს (მე შენ გეტყვი, დენი გამოირთვებოდა).

თავიდან ტელევიზორებმა ზომაში დაიწყეს მატება, მერე შემცირების ტენდენცია გაჩნდა. გაჩნდნენ ტელემანიაკებიც. ერთმა ნაცნობმა ისე გარეკა, რომ 2,5 ოთახიან ბინაში ხუთი ტელევიზორი უდგას. ყველაზე პატარა სიგარეტის კოლოფის ზომისაა, ყველაზე დიდი კი კარებში არ შეეტია და ლოჯიის ფანჯრიდან შეიტანეს ოთახში. მისი ყურება ოთახის ზომების სიმცირის გამო, ძნელია, მაგრამ ქუჩიდან მთელი ეკრანის აღქმა შეიძლება.

ტელევიზორი მარტო ზომებში არ იცვლებოდა: ჯერ რუსეთის არხები დაგვემატა, მერე ჩვენებმაც გახსნეს კერძოები, მერე სატელიტებმაც მოგვაყარეს თავზე მთელი მსოფლიო. იმდენი ქნეს, რომ რეკლამისა და პორნოგრაფიის დანახვაზე ნორმალურ კაცს კუჭი ეშლებოდა. მერე კიდევ ამ "მძაფრსიუჟეტიანმა" ამერიკულმა ფილმებმა ხომ ტვინი შეჭამეს თავიანთი მორბენალი სტრიქონებით: "ჩემი ტელევიზორში გამშვების დედა, მამა და ა.შ კანონით ისჯება". ანდა რუს-ებრაელი ლინგვისტების გაბზარული ბანების пошел в задницу дурак, ან так твою мать რად ღირდა. მაგრამ სერიალებთან შედარებით, ეს ფილმები კლასიკა იყო. ისე ხომ მაგარი დახვეწილები ვიყავით და ამ სერიალებში მონაწილე ოფიციანტებივით გამოწყობილმა მამაკაცებმა, მომაკვდინებელ-ქერად შეღებილმა შოკოლადისფერმა ქალებმა და პლასტიკური ყვავილებით გაფორმებულმა ამერიკანიზებულმა ინტერიერებმა მთლად ლათინოსებად გვაქცია.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ტელევიზიაზე, მაგრამ მხოლოდ სამ მომენტს გავიხსენებ. გაუგონარი ინტერესი საინფორმაციო პროგრამების მიმართ სსრკ-ს რღვევის პერიოდში; "სიმიორკის" გაუთავებელი ჩვენება შობა-აღდგომებზე და ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა სოპოტის ფესტივალზე კონკურსგარეშე გამოსულმა ინგლისურმა ჯგუფმა "კრისტიმ" სიმღერით Yellow River (სიმღერა დღესაც ისმის ხოლმე ქართულ FM რადიოებზე). ეფექტი სრული იყო - 35 წლის წინათ კობზონების, ლეშჩენკოების, მაგომაევების და მსგავსების ფონზე 3 თმამოშვებული, ჯინსებსა და ზოლიან "მაიკებში" გამოწყობილი ბიჭის თავისუფლება სცენაზე. მაშინ ვიდეოტექნიკა არ არსებობდა, მაგრამ ჩემმა ბიოლოგიურმა ვიდეომ ისეთი ხარისხით აღბეჭდა ეს მომენტი მეხსიერებაში, რომ თანამედროვე ტექნიკასაც გაუჭირდებოდა.

ისე მაინც კარგი ქნეს, ვიდეო რომ გამოიგონეს - წინააღმდეგ შემთხვევაში ტვინი ძალიან დამიჭუჭყიანდებოდა.




# ბზობა "ბაია გალერეაში"

თეონა ჭაფარიძე

ერეკლეს მოედნიდან ცნობილ შარდენამდე ტერიტორია ერთი მთლიანი ორგანიზმია - ღია კაფეებს, ფეხით მოსიარულეებს, ძველებურ ხალიჩებს, მხატვრებს, სიონში მლოცველებსა და მათხოვრებს გუშინ შარდენის ქუჩის ბოლოს, "ბაია გალერეაში" სპეციალურად კერამიკის სანახავად მისული დამთვალიერებელიც დაემატა:

**ოთარ შარაბიძის კერამიკა** სტამბულში იქმნება. შესაძლოა, სწორედ განსხვავებულ, სპეციფიკურ აღმოსავლურ გარემოში შექმნის გამოა მისი ფორმები და ფერები ასეთი უცნაური - არც მკვეთრად აღმოსავლური და არც დასავლური. შესაძლოა, სწორედ ამიტომ დიდი ინტერესით აკვირდებონენ კერამიკოსის აქაური კოლეგები ნამუშევრებს, ტექნიკას... "ვერც კი ვიცნობდი, რომ შენია, სულ ახალი და განსხვავებულია", - უთხრეს სწორედ მაშინ, როცა ბატონი ოთარისგან ინტერვიუს ვიღებდი.




"სტილს ვცვლი, ექსპერიმენტებს ვატარებ, ამიტომაც ველარ ცნობენ ჩემს კერამიკას. ადრე, მაგალითად, გარკვეულ ფაქტურას ფოთლების ანაბეჭდით ვიღებდი, ახლა ზედაპირი სულ სხვანაირად გამოიყურება", - მიხსნის ის.

ერთი შეხედვით ეს უცნაური ფორმის ჩაიდნები და ვაზები მომწვანო-ზღვისფრად გამოიყურება, ზოგი მათგანი მოჭიქულია, ზოგან კი თავად პირველადი მასალა მოჩანს. როგორც აღმოჩნდა, ეს ფაიფურია: "სტამბულში საუკეთესო ფრანგული ლიმოჟის ფაიფური შემოდის. სწორედ მასზე ვმუშაობ. ეს ფერადი ფაიფურია. ტერაკოტას, ფაიანსსა და შამუთს შორის ჩემი ნამუშევრებისთვის სწორედ ის ავირჩიე. ფერადი ფაიფური მუშაობის დროს უფრო დამყოლია. გამოსაწვავად 1200 გრადუსი სჭირდება. ესკიზებს იშვიათად ვაკეთებ. ფორმებზე მთელი ღამე ვფიქრობ და დილით პირდაპირ ვიწყებ მუშაობას", - მიხსნის კერამიკოსი.

ბატონ ოთარს სტამბულში მენეჯერი ჰყავს. წარმოშობით ქართველია, გვარად ნაკაიძე. მისი თურქული გვარი კი გიუნეშია, რაც ქართულად მზეს ნიშნავს. სწორედ გიუნეში კურირებს ოთარ შარაბიძის უამრავ პერსონალურ გამოფენას ევროპაში, ნამუშევრების გაგზავნას კერამიკის საერთაშორისო ბიენალეებზე და კატალოგების გამოცემას. დღეს მისი ნამუშევრები იაპონიაშიცაა გამოფენილი. მაისის ბოლოს კი კერამიკოსი იტალიაშია მიწვეული.

გუშინ კი "ბაია გალერეას" ეს ახალი ექსპოზიცია უნებლიეთ წინასააღდგომო პერფორმანსად იქცა: გამოფენილ ნამუშევრებს შორის ფაიფურის უცნაურად მოხატული კვერცხები ჩანდა, ფრანგული ლიმოჟის აღმოსავლურ ორნამენტებიან ლარნაკებს კი ბზის ტოტები ემატებოდა. გამოფენაზე მოსული დამთვალიერებელიც ბზის ტოტებით ხელში ერთმანეთს ბზობის დღესასწაულს ულოცავდა.

მოკლედ

### "ლივერპულს" ჰამანი არ ეყოლება

"ლივერპულის" გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი "ჩელსის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ორივე ნახევარფინალურ მატჩს გამოტოვებს.

გერმანიის ნაკრების 31 წლის ფეხბურთელმა ვერაფრით მოირჩინა გასულ თვეში "ევერტონთან" შეხვედრისას მიღებული ტრავმა. მას მუხლის მყესები აქვს დაზიანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჰამანი მწყობრში ჩადგება სამი მაისის შემდეგ, როცა "ენფილდ როუდზე" "ლივერპული" "ჩელსის" უმასპინძლებს და შეეცდება, ჩემპიონთა ლიგის ფინალის საგზური მოიპოვოს.

თუმცა, ეს კიდევ არაფერი. გუშინ "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადიდან არა მარტო ჰამანი, არამედ ავსტრალიელი განაპირა ნახევარმცველის ჰარი კიუელის გვარიც ამოშალა. ოთხთვიანი შესვენების შემდეგ კიუელმა მხოლოდ ამას წინათ დაიწყო ვარჯიში. ფეხბურთელი მიკროტრავმებმა შეაწუხა.

"ჰამანი და კიუელი "ჩელსის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ, - განაცხადა ბენიტესმა, - კიუელი უკვე ვარჯიშობს, მაგრამ დროულად აღდგენას ვერ მოასწრებს. ის ძირითად ჯგუფს ერთ კვირაზე ადრე ვერ შეუერთდება".

"ლივერპული" ლონდონის "სტემფორდ ბრიჯს" ოთხშაბათს ესტუმრება. ჰამანის არყოფნაში მერსისაიდელთა ესპანელ ნახევარმცველს ხაბი ალონზოს მოუწევს, ფრთხილად ითამაშოს, რადგან დისკვალიფიკაციამდე მას მხოლოდ ერთი გაფრთხილება აშორებს.

### ბარტეზი დასაჯეს



საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა საფრანგეთის ნაკრებისა და მარსელის "ოლიმპიკის" მეკარეს ფაბიენ ბარტეზს. ასეთი ულმობელი სასჯელი ბარტეზმა იმის გამო მიიღო, რომ წლის დასაწყისში გამართულ ამხანაგურ მატჩში მან არბიტრს შეაფურთხა.

საქმე ამას წინათ განიხილეს და დისციპლინარულმა კომიტეტმა ფეხბურთელის დასჯის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, ბარტეზი მხოლოდ სამ თვეს ვერ ითამაშებს, რადგან სანიმუშო ქცევის გამო დისკვალიფიკაციის ვადა განახევრდა.

12 თებერვალს მაროკოში მარსელის "ოლიმპიკი" სპარინგ-მატჩს მართავდა ადგილობრივ "კასაბლანკასთან". მატჩი ორივე გუნდის ფეხბურთელთა აუტანელი საქციელის გამო მე-80 წუთზე შეწყდა. მატჩის ინსპექტორის აბდელ ელ-ახირის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბარტეზმა შეხვედრის მსაჯი შეურაცხყო და შემდეგ მას შეაფურთხა.

ბარტეზის დისკვალიფიკაცია დღეიდან შედის ძალაში და 25 ივლისამდე გაგრძელდება. ასე რომ, მან საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩი შაბათს "ნანტის" წინააღმდეგ ჩაატარა. დღეის მდგომარეობით მარსელის "ოლიმპიკი" სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. 33 წლის ბარტეზი კი არც ერთ საერთაშორისო მატჩს არ გამოტოვებს. საფრანგეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს სექტემბრიდან განაგრძობს.

24 მარტს ერთ-ერთ ინტერვიუში ბარტეზმა განაცხადა, რომ თავისი საქციელის გამო არ ნანობს, მაგრამ ამას წინათ ამ განცხადებას განუდგა.

### თასი სტამბულში ჩაიტანეს

გუშინ ჩემპიონთა ლიგის შანშანდელმა ტრიუმფატორმა "პორტუმ" ლიგის თასი სტამბულის საქალაქო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გადასცა და ევროპული ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ჯილდო თურქებმა შინ გააქანეს. ისინი 25 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალს უმასპინძლებენ.

ცერემონია, რომელიც პირველად 1997 წელს მიუნხენში გაიმართა, Lufti Kirdar Convention and Exhibition Centre-ში ადგილობრივი დროით 13 საათზე დაიწყო. პორტუგალიური კლუბის წარმომადგენლებმა ევროპის ჩემპიონთა თასი უეფას პირველ ვიცე-პრეზიდენტს სენეშ ერზიკს გადასცეს, რომელმაც, თავის მხრივ, საპატიო ჯილდო სტამბულის ლორდ-მერს კადირ ტოპბაშს ჩააბარა.

"მე მოუთმენლად ველი ჩემპიონთა ლიგის ფინალს, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იქნება. ამას გარდა, პარასკევს გაიმართება ჩემპიონთა თასის გადმოცემის ოფიციალური ცერემონიალი, - განაცხადა ერზიკმა, - ძნელია გადმოგცეთ ის გრძნობა, რასაც ახლა განვიცდი და ის ძლიერი მღელვარება, რომელსაც ახლა ვგრძნობ! მოკლედ, მე ცერემონიისთვის მზად ვარ და მსურს, სტამბულის ლორდ-მერს თასი, რაც შეიძლება, მალე გადავცე. მე ვამაყობ იმ პატივის გამო, რომელიც მერგო".

თასს ფინალამდე (რომელიც სტამბულის "ათათურქის" სტადიონზე გაიმართება) სახალხოდ გამოიტანენ. ცერემონიას პირველად პირდაპირ ეთერში თურქულ არხზე STAR TV გადასცემს. ამას გარდა, ამ მოვლენას დაესწრება და თვალს მიადევნებს 1200 სტუმარი და გულშემატკივარი.

ტრადიციულად, უეფა ცერემონიაზე საპატიო სტუმრებს იწვევს. სტუმართა შორის აღმოჩნდნენ თურქეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ზეპ პიონტეკი და სტამბულის "გალათასარაის" ვარსკვლავი ბიულენთ კორკმაზი, რომელმაც უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებში 101 მატჩი ჩაატარა და პირველი თურქი ფეხბრუთელია, ვინც ეგრეთ წოდებულ "ასიანთა კლუბში" შევიდა. ცერემონიის მსვლელობაში კორკმაზმა თავისი მიღწევის აღსანიშნავად სპეციალური პრიზი მიიღო.

ცერემონიის დაწყებამდე ერთი საათით ადრე დამთავრდა ტურნირი სახელწოდებით Starball Match, რომელიც Lufti Kirdar-თან ახლოს გაიმართა. ცერემონიალის დაწყებამდე ფეხბურთის თამაშის ტრადიციას 2002 წელს გლაზგოში ჩაეყარა საფუძველი. ტრადიციის თანახმად, Starball Match მთელი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდება. 5-კაციანი გუნდები თამაშობენ მინდორზე, რომელიც მინიატიურულ ჩემპიონთა ლიგის არენას წარმოადგენს.

ფეხბურთი

## კარლო ანჩელოტი:
# "პარმასთან" მატჩი თავიდან ბოლომდე შესანიშნავი იყო"



შაბათს კახა კალაძის "მილანმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა და სათავეში უდგას იტალიის ჩემპიონატს. სპეციალისტთა აღიარებით, ეს გამარჯვება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის წინ ჰოლანდიის "ეინდჰოვენის" წინააღმდეგ. მით უფრო, რომ ჰოლანდიელებმა ვადამდე გაინაღდეს პირველობა და "მილანს" ჰოლანდიის ჩემპიონის რანგში შეხვდებიან.

"როსონიერიმ" ამჯერად "პარმა" დაამარცხა დამაჯერებელი ანგარიშით - 3:0. ამ გამარჯვებას "მილანის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და ფეხბურთელები გამოეხმაურნენ. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა "პარმასთან" მატჩს ასეთი კომენტარი გაუკეთა: "ეს მატჩი თავიდან ბოლომდე შესანიშნავი იყო. ჩვენ სწრაფად და აგრესიულად ვმოქმედებდით, რამაც საბოლოო ჯამში შედეგი გამოიღო. მატჩისთვის სწორად განვეწყვეთ და მოტივაციაც დიდი გვქონდა. ძლიერად ვთამაშობდით როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. ამ შეხვედრას ისე მივუდექით, როგორც ფინალს. სწორედ ამიტომ გამოგვივიდა შთამბეჭდავი თამაში. ახლა უკვე სამშაბათის მატჩზე უნდა ვიფიქროთ "პსვ ეინდჰოვენის" წინააღმდეგ. ახლახან ჰოლანდიელებმა საკუთარი პირველობა მოიგეს. ეს დიდი უპირატესობაა, რადგან ახლა მთელ ძალისხმევას ჩემპიონთა ლიგის ტურნირისკენ მიმართავენ. თუმცა, საკუთარი კოზირები ჩვენც გვაქვს".

მატჩის შესახებ თავისი კომენტარი გააკეთა უკრაინელმა ანდრეი შევჩენკომაც: "საოცარი მატჩი იყო. არ მგონია, მომდევნო მატჩიც ასეთ დონეზე ჩავატაროთ. თამაშის სადავეები სწრაფად ჩავიგდეთ ხელში და ამან ძალიან გვიშველა. ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით და მაყურებელმა სანახაობრივად კარგი ფეხბურთი ნახა. ასეთ მატჩებში მონაწილეობა ყოველთვის სასიამოვნოა. თუმცა, ცოტა გულდაწყვეტილი ვარ, რომ შემცვალეს. მინდოდა, ბოლომდე მინდორზე დავრჩენილიყავი. ამის მიუხედავად, უაღრესად მოხარული ვარ, რომ ინძაგი მწყობრში ჩადგა. მან დაიმსახურა ეს ამდენი წვალების შემდეგ. პიპოს გამოჯანმრთელებას სეზონის ამ ბოლო მონაკვეთში დიდი მნიშვნელობა აქვს. "მილანის" ძალა მის გუნდურ თამაშშია".

თავის მხრივ, კომენტარი გააკეთა ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა ფილიპო ინძაგიმ: "ძალიან მიხარია, რადგან დაბრუნებისთვის უკეთეს მატჩს ვერც ინატრებ. მე თანდათან ვდგები ფორმაში და ტკივილსაც აღარ ვგრძნობ. სეზონის ამ გადამწყვეტ სტადიაში ძალიან მინდა, "მილანის" წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მწყობრში ჩავდექი. როცა მინდორზე გამოსასვლელად ვემზადებოდი, გულშემატკივართა მხარდაჭერას ვგრძნობდი. ეს შესანიშნავი იყო. "კიევოსა" და "პარმასთან" შეხვედრებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ექვსი ქულა ავიღეთ. ახლა აუცილებელია, იმავე სულისკვეთებით განვაგრძოთ და უკან არ დავიხიოთ. "პსვ ეინდჰოვენთან" თამაში იოლი არ იქნება, მაგრამ ჰოლანდიელებთან გაჯიბრება საინტერესოც უნდა იყოს".

მატჩში პირველი გოლის ავტორმა კაკამ აღიარა: "ძალიან მიხარია. მატჩი, უბრალოდ, ფანტასტიკური გამოვიდა. თამაშის წინ ჩემი დაბადების დღე იყო და ამ დაუვიწყარ გოლს მასთან ვაკავშირებ. ეს რაღაც განსაკუთრებულია! ჩვენ კარგად ვითამაშეთ. სეზონის ბოლო ახლოვდება და ყველა ფეხბურთელი ცდილობს, მაქსიმალურად დაიხარჯოს. ჩვენ ვიცით, რომ გუნდს ბევრის მიღწევა შეუძლია. სწორედ ის არის ჩვენი გუნდის უპირატესობა, როცა სამ დღეში ერთხელ გიწევს თამაში".

## ვანდერლეი ლუშემბურგო:
# "ჩემმა ფეხბურთელებმა გამარჯვებაში სული ჩადეს"



*მადრიდის "რეალის" მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ "ვილიარეალის" დამარცხების შემდეგ ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია მოაწყო და თამაშის პერიპეტიებზე ისაუბრა.*

**- შედეგი სამართლიანია?**

- დიახ. ჩვენ კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებაც დავიმსახურეთ.

**- შიშობდით, რომ შეიძლება ვერ გაგემარჯვებინათ?**

- მე თამაშს ვაკონტროლებდი. ის ისე წარიმართა, რომ მისი კონტროლი ადვილი იყო. გუნდები ცდილობდნენ, მეტოქისთვის საკუთარი თამაში მოეხვიათ თავს და ამ დროს დაინიშნა გამოგონილი პენალტი ჩვენს კარში. პენალტის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ცვლილება ფეხბურთისთვის საინტერესო აღმოჩნდა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჩემმა ფეხბურთელებმა თავი არ დაზოგეს და კარგად წარმოჩინდნენ როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ ასპექტში. ამიტომ ეს გამარჯვება ჩემი კი არა, არამედ მოთამაშეებისაა. სწორედ მათ ითამაშეს გულით და სულით. მე კმაყოფილი ვარ, რადგან ისინი გამარჯვებას იმსახურებენ.

**- არბიტრი მოგეწონათ?**

- არ არის საჭირო მასზე ბევრი ლაპარაკი. ასეთია ფეხბურთი და არ არის საჭირო მსაჯებზე ზეწოლა. ბევრად მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ მოვიგეთ.

**- გუტი როგორ მოგეწონათ?**

- ისეთი ლამაზი გამარჯვების შემდეგ, როგორიც ეს იყო, მარტოოდენ ერთ ადამიანზე საუბარი არ შეიძლება. გუტი, ფიგუ... ამ თამაშისთვის ისინიც უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურები იყვნენ და გუნდს გამარჯვებაში დაეხმარნენ. იგივე შეიძლება ითქვას ელგერაზეც. ეს მადრიდის "რეალის" გამარჯვებაა. თერთმეტივე ფეხბურთელი, ვინც თამაში დაიწყო და ისინიც, ვინც შეცვლაზე შევიდნენ, მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდნენ.

**- "ვილიარეალმა" ისე ითამაშა, როგორც ელოდით?**

- მათ კარგად გაწვრთნილი გუნდი ჰყავთ, რომელმაც იცის, მინდორზე რა უნდა გააკეთოს. მათ ჰყავთ ისეთი დიდი ფეხბურთელი, როგორიც რიკელმეა. მათ შესანიშნავი გუნდი ჰყავთ და ამას ვულოცავ კიდეც.

**- ამ გამარჯვებამ შეიძლება "ბარსელონა" შეაშინოს?**

- ახლა ის ჩვენს ფეხბურთელებს ძალიან სჭირდებათ. ჩვენ ყველას დავანახეთ, რომ გვყავს გუნდი, რომელსაც შეუძლია პრიმერადივიზიონში გამარჯვებისთვის იბრძოლოს. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეკრული გუნდი ვართ.

**- თქვენ გაგაოცათ მსაჯის მიერ დამატებულმა ხუთმა წუთმა?**

- მინდორზე ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ხუთი წუთი დაემატებინათ.

**- ასეთი ბრძოლის ჟინის ფონზე პრიმერას მოგება შესაძლებელია?**

- ჩვენ მეორე ადგილი დავიბევეთ და ეს კარგია. ეს ძალიან ძნელი იყო. მას შემდეგ, რაც აქ ვიმყოფები, გუნდით კმაყოფილი ვარ. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ მთელი გუნდი იმაზე მუშაობდა, რომ ამ ურთულესი მდგომარეობიდან თავი დაეღწია.

**- მომავალი შეხვედრისთვის სერიოზული დანაკლისი გექნებათ?**

- ვნახოთ. ჯერ ამ გამარჯვებით უნდა დავტკბეთ.

ინფოთეკა

### კენიონი: "ფული კი არა, ადამიანები თამაშობენ"

ლონდონის "ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა განაცხადა, რომ მისი კლუბი სამართლიანად გახდება ინგლისის ჩემპიონი. კენიონმა უარყო ბრალდება, რომ "ჩელსი" მხოლოდ ფულის გამო იმარჯვებს. "ამის თქმა მოურინიოსა და ფეხბურთელებთან დაკავშირებით უსამართლობაა, - განაცხადა კონიონმა, - ფული წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი არ არის. ჩვენ ეს ჩვენი თამაშით დავამტკიცეთ. დიახ, ჩვენ კარგი ფეხბურთელები შევიძინეთ, მაგრამ მათგან გუნდის ჩამოყალიბება ხომ იყო საჭირო".

### მოურინიო: "კარგია, რომ გულშემატკივრები ვერ მიტანენ"

"ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას მოსწონს, იყოს ყველაზე საძულველი მწვრთნელი პრემიერლიგაში. "მე ვუყვარვარ "ჩელსის" გულშემატკივრებს და არ ვუყვარვარ დანარჩენებს, - განაცხადა მოურინიომ, - ეს კარგია, რადგან ნიშნავს, რომ წარმატებით ვთამაშობთ. ახლა მე "ბენფიკას" გულშემატკივარსაც ვუყვარვარ, რადგან "პორტუდან" ჩემი წასვლით მათ ჩემპიონობის შანსი მიეცათ".

### მანჩესტერელები შეიძლება პრემიალურების გარეშე დარჩნენ



"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ინგლისურ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მისი გუნდი ლონდონის "არსენალს" ვერ გადაასწრებს და ჩემპიონატში მეორე ადგილს ვერ დაიკავებს, ფეხბრუთელები პრემიების გარეშე დარჩებიან.

თუ გუნდი "არსენალს" ვერ აჯობებს, ის დაახლოებით 5 მილიონ გირვანქა სტერლინგს დაკარგავს. "ფეხბურთელებმა იციან, თუ მეორე ადგილზე ვერ გავალთ, ისინი პრემიებს ვერ მიიღებენ", - განაცხადა ფერგიუსონმა.

### ვენგერი: "ვეტერანებს ხანგრძლივ კონტრაქტებს არ გავუფორმებთ"

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ მას პირესთან ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება იმის გამო არ სურს, რომ ფრანგი ნახევარმცველი უკვე ასაკოვანია.

"ის უკვე 30 წელს გადასცილდა, - თქვა ვენგერმა, - სწორედ ამის გამო არ გავუფორმეთ ხანგრძლივი კონტრაქტი დენის ბერგკამპსაც. ამ ასაკში ძნელი სათქმელია, კიდევ რამდენ ხანს შეძლებს ფეხბურთელი მაღალ დონეზე თამაშს".

### ჯექსონი შეიძლება "ლეიკერსში" დაბრუნდეს

მას შემდეგ, რაც "ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" NBA-ის პლეი-ოფში ვერ გააღწია, გუნდის გენერალურმა მენეჯერმა მიტჩ კუპჩეკმა ახალი მთავარი მწვრთნელის ძიება დაიწყო. ამას წინათ ის გუნდის ყოფილ მწვრთნელს ფილ ჯექსონს შეხვდა და მას კლუბში დაბრუნება შესთავაზა. "ლეიკერსის" ახალი მწვრთნელის ვინაობა 28 ივნისს გაირკვევა.

### ილგაუსკასი ნიუ-იორკისკენ იყურება

"კლივლენდის" ლიტველი ცენტრი ჟიდრუნას ილგაუსკასი, რომელსაც კლუბთან კონტრაქტის ვადა ეწურება, მომავალ სეზონში შეიძლება ნიუ-იორკში აღმოჩნდეს. კალათბურთელის თქმით, შანსი, რომ ილგაუსკასი "კლივლენდში" დარჩება, 50-50-ზეა.

### საფრანგეთი და ესპანეთი ნახევარფინალს გაითამაშებენ

ჩოგბურთში ფედერაციის თასის ნახევარფინალში საფრანგეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. ფრანგებმა სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხეს ავსტრია - 4:1. ესპანელებმა კი გადამწყვეტ წყვილთა შეხვედრაში დაამარცხეს არგენტინელები და საბოლოოდ - 3:2 მოიგეს. გადამწყვეტი ქულა მატჩის მასპინძლებს ანაბელ მედინა-ჰარიგესისა და ნურია ლაგოსტერა ვივესის წყვილმა მოუტანა. მათ დაამარცხეს ჟიზელ დულკოსა და მარია-ემილია სალერნის ტანდემი ანგარიშით - 6:4, 6:4.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 25 აპრილი

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. "მალაგა" - "ბარსელონა"
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ვერდერი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "იუვენტუსი"
17:55 შოტლანდიის ჩემპიონატი. "გლაზგო რეინჯერსი" - "სელტიკი"
19:50 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:35 უკრაინის ჩემპიონატი. "მეტალურგი" (დონეცკი) - "დინამო"

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 18:30 პრესცენტრი
10:20, 18:45 "ქრონიკა"
10:25, 13:35 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "RHEIN FIRE" - "BERLIN THUNDER"
13:35 საჭადრაკო მიმოხილვა
14:05 ჰოკეი. ევროტური. ფინალი. რუსეთი - შვედეთი
16:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. იტალია - რუსეთი. გადამწყვეტი მატჩი
17:30 "სარკის წინ"
18:00 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მესამე ნაწილი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:00 პროფესიული კრივი. ვლადიმირ კლიჩკო - ელისეო კასტილიო
21:00 "ექო". საინფორმაციო ანალიტიკური არხი
23:00 სახანძრო-სამაშველო სპორტი. რუსეთის ჩემპიონატი
23:00 სპორტული გლობუსი. "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
00:00 ახალი ამბები
00:15 "რკინის ფაქტორი". "ოლიმპია 2004". მესამე ნაწილი

**EUROSPORT**
10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი ბულგარეთში. ვაჟები
13:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი - ევროგოლები
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
22:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი - ევროგოლები
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:45 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
03:15 ახალი ამბები

ფორმულა 1

# ალონსომ შუმახერთან გამოცდა ჩააბარა



ალონსომ სეზონის მესამე, ხოლო კარიერის მეოთხე "დიდი პრიზი" მოიგო

ბიბა ბურასაშვილი

*საკვირაო კვალიფიკაციაზე მიხაელ შუმახერის მიერ ნაჩვენებმა შედეგმა "ფერარის" გულშემატკივრებს, ალბათ, გარკვეული შიში გაუჩინა. მთავარი რბოლის სასტარტო ხაზზე მე-14 პოზიციაზე დგომას, ადრეულ წლებში, შესაძლოა, შეშფოთება არც გამოეწვია, მაგრამ ახლა, როდესაც "ფერარის" უპირატესობა უკვე აღარაა ისეთი თვალშისაცემი, სკუდერიელთა ტიფოზებს შორის ნერვიულობის საბაბი რეალური გახდა. ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი სამი ეტაპის ჯამში მხოლოდ ორი ქულის მოგროვებას შეძლებდა. გუშინ "სან მარინოს დიდი პრიზი" გათამაშდა და, როგორც იქნა, იგი მიხაელისთვის წარმატებით დასრულდა. მართალია, რბოლა არ მოუგია, მაგრამ ის, რაც გააკეთა, არანაკლებ საარაკოა. "იმოლას" ტრასაზე ძველი შუმახერი გამოჩნდა. რბოლა კი ამჯერადაც "რენოს" ესპანელმა მრბოლმა ფერნანდო ალონსომ მოიგო.*

დაახლოებით ათი წელიწადია, რაც 38 წლის ინდუსი, ვინმე ბალბირ სინგხი მიხაელ შუმახერთან მუშაობს. მიხაელი მას საკუთარ ფიზიოთერაპევტსა და ახლო მეგობარს უწოდებს, მაგრამ მალაიზიასა და ბაჰრეინში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ინდუსი მეგობრის ოჯახური პრობლემების გამო მარტო დარჩა. არ ვიცით, რა მოხდებოდა, თუ ბალბირ სინგხი "იმოლაზეც" არ გამოჩნდებოდა, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინდუს გურუს შუმახერზე დიდი გავლენა ჰქონია. "იმოლაზე" ბალბირის გამოჩენა შუმახერის გულშემატკივრებმა კარგ ნიშნად აღიქვეს, მიხაელს კი გუნებაგანწყობა გამოუკეთდა. ამბობენ, ინდუსი მეგობრის გარეშე დარჩენილი შუმი საჰირში ("ბაჰრეინის დიდი პრიზი") ერთობ უჟმური და ჩაკეტილი იყოო.

"ახლა მიხაელი სულ იღიმება, - გერმანელ მეგობარზე "სან მარინოს დიდი პრიზის" წინ ამბობდა ბალბირი. - ის 1000 პროცენტით მოტივირებულია. ჩვენ ვლაპარაკობთ, ვმუშაობთ, მე კი ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ის კვლავაც მწვერვალზე აღმოჩნდეს".

ბალბირ სინგხის მცდელობამ შედეგი გამოიღო. მე-14 პოზიციიდან აღებული სტარტის მიუხედავად, მიხაელმა მეტოქეებს შორის გზა ოსტატურად გაიკვალა და რბოლა მეორე შედეგით დაასრულა. მანამდე კი ისეთი სანახაობის მოწმენი შევიქენით...

საუბარია ორი თაობის წარმომადგენლებს - მიხაელ შუმახერსა და ფერნანდო ალონსოს შორის შემდგარ დუელზე.

...პოულში გამარჯვებულმა მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა კარგად აიღო სტარტი და თანდათან შორდებოდა იმავე საკვალიფიკაციოზე მეორე ადგილზე გასულ ალონსოს, მაგრამ მეცხრე წრეზე რაიკონენის ბოლიდმა სვლა შეანელა. რბოლის დაწყებამდე ფინელი წინასწარმეტყველებდა: გული მიგრძნობს, ტექნიკური პრობლემები შემექმნებაო. რაიკონენი არ შემცდარა. მაკლარენელმა რბოლა შეწყვიტა.

მანამდე სამი წრით ადრე ალონსოს თანაგუნდელის იტალიელი ჯანკარლო ფიზიკელას ბოლიდი ტრასიდან გადავარდა და დამცავ ჯებირს შეასკდა. ფიზიკელას მორიგი წარუმატებლობა ორმაგად დასანანია, რადგან ეს თანამემამულეთა თვალწინ მოხდა.

"სან მარინოს დიდი პრიზი" 20-დან 15-მა მრბოლმა დაასრულა. "იმოლაზე" რბოლას გზადაგზა ტექნიკური პრობლემების გამო გამოეთიშნენ პატრიკ ფრიზახერი, კრისტიან ალბერსი (ორივე "მინარდი") და რუბენს ბარიკელო.

და მაინც, "სან მარინოს დიდი პრიზის" მთავარი ხიბლი რბოლის ეპილოგი გამოდგა, როდესაც მიხაელმა მეორე პოზიციამდე გადაინაცვლა და ალონსო წნეხის ქვეშ მოაქცია. ესპანელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან, შუმახერის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, შეძლო გერმანელის შემოტევის გაუვნებელყოფა.

"ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო დუელი მქონდა, - ემოციური ჩანდა ალონსო. - ვიცოდი, რომ მიხაელი სწრაფად მოქმედებდა. ჩემი ერთადერთი შანსი იყო, მიხაელი მოსახვევებში შემეფერხებინა, მერე სიჩქარისთვის მომემატებინა და ასე მომეპოვებინა უპირატესობა, რადგან სწორ მონაკვეთებზე ჩემი ბოლიდი უფრო სწრაფია".

უკმაყოფილო არც მიხაელი ჩანდა. ერთადერთი, რაც მის უკმაყოფილებას იწვევდა, მეორე სესიაზე ნაჩვენები ცუდი შედეგია: "ერთი მხრივ, კმაყოფილი ვარ. მართლაც, სუპერრბოლა გამოვიდა. მეორე მხრივ, იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც დილით (მეორე კვალიფიკაცია) მოხდა. ასე რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი ბევრად უკეთ წარიმართებოდა ჩვენთვის".

მესამე ადგილზე გასული ჯენსონ ბატონისთვის და, საერთოდ, ბარელებისთვის "სან მარინოს დიდ პრიზი" იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მათმა მრბოლმა წლეულს პირველად შეძლო ჩასათვლელი საფეხურის დაკავება. შარშან მრბოლთა პირად პირველობაში ბატონმა მეორე ადგილით დაასრულა მსოფლიო ჩემპიონატი.

მიუხედავად იმისა, რომ "მაკლარენ-მერსედესი" ხუან პაბლო მონტოიას გარეშე ასპარეზობს ("ბაჰრეინის დიდი პრიზამდე" ჩოგბურთი ითამაშა და მხარი დაიშავა. - რედ.), ალექს ვურცმა კოლუმბიელის მაგივრობას ბრწყინვალედ გაართვა თავი და ხუთწლიან კარიერაში პირველად შეძლო მეოთხე ადგილის დაკავება.

მსოფლიო ჩემპიონატების ოთხი ეტაპის ჯამში პირად პირველობაში ალონსომ ლიდერობა გაიმყარა. ახლა მას 36 ქულა აქვს. პოზიცია განიმტკიცა "რენოს" საჯინიბომაც - 46 ქულა. დანარჩენს ქვემოთ მოყვანილ ნუსხაში გაეცნობით.

**"სან მარინოს დიდი პრიზი". 62 წრე**

**პირადი პირველობა**

1. ფერნანდო ალონსო ("რენო")
2. მიხაელ შუმახერი ("ფერარი")
3. ჯენსონ ბატონი (BAR)
4. ალექს ვურცი ("მაკლარენ-მერსედესი")
5. ტაკუმა სატო (BAR)
6. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერი")
7. იარნო ტრული ("ტოიოტა")
8. რალფ შუმახერი ("ტოიოტა")

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფერნანდო ალონსო ("რენო") | 36 |
| 2. იარნო ტრული ("ტოიოტა") | 18 |
| 3. ჯანკარლო ფიზიკელა ("რენო") | 10 |
| 4. მიხაელ შუმახერი ("ფერარი") | 10 |
| 5. რალფ შუმახერი ("ტოიოტა") | 10 |
| 6. დევიდ კულტჰარდი ("რედ ბული") | 9 |
| 7. რუბენს ბარიკელო ("ფერარი") | 8 |
| 8. ხუან პაბლო მონტოია ("მაკლარენი") | 8 |
| 9. კიმი რაიკონენი ("მაკლარენი") | 7 |
| 10. მარკ ვებერი ("BMW-უილიამსი") | 7 |
| 11. ნიკ ჰაიდფელდი ("BMW-უილიამსი") | 6 |
| 12. ჯენსონ ბატონი (BAR) | 6 |
| 13. ალექს ვურცი ("მაკლარენი") | 5 |
| 14. ტაკუმა სატო (BAR) | 4 |
| 15. პედრო დე ლა როსა ("მაკლარენი") | 4 |
| 16. ჟაკ ვილნევი ("ზაუბერი") | 3 |
| 17. კრისტიან კლიენი ("რედ ბული") | 3 |
| 18. ფელიპე მასა ("ზაუბერი") | 2 |

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. "რენო" | 46 |
| 2. "ტოიოტა" | 28 |
| 3. "მაკლარენ-მერსედესი" | 24 |
| 4. "ფერარი" | 18 |
| 5. "BMW-უილიამსი" | 13 |
| 6. "რედ ბული" | 12 |
| 7. "ზაუბერი" | 5 |

კრივი

# კლიჩკომ ოთხ რაუნდში დაარღვია პირობა

ბიბა ბურასაშვილი

*როდესაც ძმებმა კლიჩკოებმა კრივის სამყაროში შეაბიჯეს, გულშემატკივრებმა უმალ მათ შორის პარალელების გავლება დაიწყეს. მოგვიანებით კი დაასკვნეს, რომ უმცროსს, ვლადიმირს, ჩემპიონობის მეტი შანსი ჰქონდა. დღეს სულ სხვა სურათია. ვლადიმირმა სერიოზული მოკრივის რეპუტაცია დაკარგა. 2003 წელს სამხრეთაფრიკელ კორი სანდერსთან და 2004 წელს ამერიკელ ლეიმონ ბრიუსტერთან წაგებული მატჩების შემდეგ მისი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ყოველ შემთხვევაში, შაბათ საღამომდე ასე იყო. დორტმუნდში ვლადიმირ კლიჩკომ კუბელი ელისეო კასტილიო მეოთხე რაუნდის დამთავრებამდე 20 წამით ადრე დაამარცხა.*



ვლადიმირ კლიჩკო დაკარგული რეპუტაციის აღდგენას შეუდგა

რომ ვთქვათ, კლიჩკოსა და კასტილიოს ორთაბრძოლას რაიმე ფასი ჰქონდაო, მართალი არ ვიქნებით. უკრაინელსა და კუბელს შორის ჩხუბი მოკლებული იყო ყოველგვარ სტატუსს. არადა, თავდაპირველი ჩანაფიქრით, კლიჩკოსა და კასტილიოს შორის გამარჯვებული კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ჩემპიონს კრის ბერდს უნდა შესცილებოდა უმთავრეს ტიტულს, მაგრამ შაბათის ორთაბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ფედერაციის მამებმა უკრაინელისა და კუბელის დაპირისპირებას საპრეტენდენტო სტატუსი ჩამოართვეს და 12-რაუნდიანი მატჩი 10 რაუნდამდე დაიყვანეს. აქედან გამომდინარე, საპრეტენდენტო დაპირისპირება რიგით სარეიტინგო ბრძოლამდე ჩამოქვეითდა. მიუხედავად ამისა, ვლადიმირისა და ელისეოს შეხლას ათი ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალყურს. თუმცა, სანახაობა მეტად ხანმოკლე გამოდგა.

ვიდრე კლიჩკო და კასტილიო ერთმანეთს ეკვეთებოდნენ, უკრაინელს, როგორც შემდგომ გაირკა, განზრახული ჰქონია, რომ ბრძოლას ექვს რაუნდში დაასრულებდა, თუმცა, დანაპირები ვერ შეასრულა - მეოთხე რაუნდის დამთავრებამდე ოცი წამით ადრე მეტოქის დაცვა ძლიერი მარჯვენათი გაარღვია - კუბელი რინგზე დაეცა. მსაჯი ვან დე ვილი ათამდე დათვლას შეუდგა, მაგრამ ექვსზე შეჩერდა. კუბელი წამოდგომას შეეცადა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და, ის იყო, ისევ უნდა დაცემულიყო, რომ მასჯის მკლავებში აღმოჩნდა. იმისთვის, რომ კასტილიოს ჯანმრთელობა მეტად არ შერყეულიყო, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით რეფერი იძულებული გახდა, ორთაბრძოლა შეეწყვიტა. კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილმა ჩემპიონმა ელისეო კასტილიო ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა უმცროსი ძმის ჩხუბს არ დასწრებია ვიტალი. ამ ცოტა ხნის წინათ მას ლოს ანჯელესში სახეზე ოპერაცია გაუკეთეს და ექიმებმა თვითმფრინავით მგზავრობა აუკრძალეს.

კასტილიოზე გამარჯვების შემდეგ ვლადიმირმა განაცხადა, რომ მიზნად აქვს დასახული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნება: "ორთაბრძოლით კმაყოფილი ვარ. ჩემი უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ დარტყმა არ გამეტარებინა და, რაც შეიძლება, დამაჯერებლად მომეგო. ერთიც და მეორეც შევასრულე. კასტილიოზე გამარჯვება, პირველ ყოვლისა, წინ გადადგმული ნაბიჯია. ყოველ შემთხვევაში, ერთი ადგილის ტკეპნას ასე სჯობს".

უკრაინელმა მეტოქეთა ნოკაუტით დამარცხება 40-მდე დაამრგვალა, მთლიანობაში კი რიგით 44-ე გამარჯვება მოიპოვა. რაც შეეხება წაგებულ ორთაბრძოლებს, ასეთი სამია.

კასტილიოსთვის კლიჩკოსთან მარცხი 19-ორთაბრძოლიან კარიერაში პირველი წარუმატებლობა გამოდგა. დანარჩენი 18 ორთაბრძოლა მოგებული აქვს, აქედან 14 - ნოკაუტით.



ნინო ტიკარაძე

## სიურპრიზიც ასეთი უნდა

მარცხენა ფეხზე ადგა 19 აპრილს "საუთჰემპტონის" 28 წლის ნახევარმცველი ანდერს სვენსონი. იმ დღეს თამაში ჰქონდა. კარგი იქნებოდა, "ბოლტონის" დამარცხება შესძლებოდა მის გუნდს, თუმცა, არც ფრე იყო ურიგო (ჩვენი ფეხბურთელების გადამკიდე, ფრეც მონატრებული გვაქვს ქართველებს. აბა, მოგებაზე ხომ საუბარიც ზედმეტია. მომიტევეთ გულწრფელობისთვის!). შეხვედრას დანიელი მოდელი ენინ ბინგი ესწრებოდა. დასწრების მიზანი რომელიმე გუნდის გულშემატკივრობა არ გახლდათ. მას, შეიძლება ითქვას, ბოროტი განზრახვა ამოძრავებდა - მატჩის შემდეგ სიურპრიზს უმზადებდა თავის შეყვარებულს ანდერს სვენსონს. შენგან მივდივარო, უნდა ეთქვა და უთხრა კიდეც.

სვენსონი და ბინგი რამდენიმე წლის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. ინგლისში მათ ბედნიერ წყვილად თვლიდნენ. უახლოეს ხანში შვედი ფეხბურთელი და დანიელი მოდელი დაქორწინებასაც ვარაუდობდნენ, მაგრამ ბინგი წავიდა. თანაც, ვისთან? ცნობილ ამერიკელ კომიკოს ჯიმ კერისთან.

სხვათა შორის, ეს ახალგაზრდა ქალბატონი საკმაოდ დიდი პრობლემა გახდა ინგლისის გზებზე მოძრაობისთვის, რადგან მისი ფოტოსურათები მრავალ ბოლბორდზეა გაკრული, მძღოლებს ყურადღება ეფანტებათ, ამიტომაც ხშირად ხდება ავარიები. ამის გამო ბინგმა გადაწყვიტა, მსგავსი ტიპის გადაღებებში მონაწილეობა აღარ მიიღოს.

ახლა კი ისევ სვენსონს დავუბრუნდეთ.

სამწუხაროა, რომ მატჩის შემდეგ წყვილის საუბრის დეტალები გაუხმაურებელი დარჩა. არადა, რა საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, როგორ მიიღო შეყვარებულის სიურპრიზი შვედმა ფეხბურთელმა. თუმცა, რამე ცუდი რომ მომხდარიყო, ასეთ "ლუკმას" ჟურნალისტები უყურადღებოდ დატოვებდნენ? როგორც ჩანს, ამ ამბავმა უხმაუროდ და ცივილიზებულად ჩაიარა.

## ბექჰემს სამზარეულოში ფუსფუსიც ჰყვარებია

გასულ კვირას ბექჰემების ოჯახში ზეიმი იყო - დიასახლისს, ვიქტორია ბექჰემს 31 წელი შეუსრულდა. მეუღლემ საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო ოჯახურ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება - იმ დღეს მადრიდის "რეალს" გასვლითი მატჩი ჰქონდა "ლევანტესთან". რონალდოს ორი გოლის წყალობით "სამეფო გუნდმა" მეტოქე 2:0 დაამარცხა, რის შემდეგაც ინგლისელმა ლეგიონერმა სუფთა სინდისით მიულოცა დაბადების დღე თავის საყვარელ მეორე ნახევარს, საჩუქრად კი პარიზში ორდღიანი მოგზაურობა მოუმზადა.

მეუღლეები საფრანგეთის დედაქალაქში ორშაბათს ჩაფრინდნენ, ძვირფას სასტუმროში დაბინავდნენ, შემდეგ კი ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებას შეუდგნენ. იმავე საღამოს წყვილი ელისეს მინდვრებზე რესტორანში შეამჩნიეს.

სხვათა შორის, ბექჰემები ძალიან იშვიათად დადიან რესტორანში - საზოგადოების გადამეტებულ ყურადღებას თავს არიდებენ. ამიტომაც სახლში საუზმობენ, სადილობენ თუ ვახშმობენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, დევიდი არა მხოლოდ კარგი ფეხბურთელი, არამედ კარგი კულინარიც ყოფილა.

იქნება, აბა რა?! ვიქტორიამ ესპანური ომლეტის მომზადების გარდა, არაფერი იცის, თანაც, ყოველთვის არც ეს გამოსდის გემრიელი.

"ხანდახან ისეთ გემრიელ ომლეტს ამზადებს, რომ აღფრთოვანებას ვერ ვმალავ", - აცხადებს ინგლისის ნაკრების კაპიტანი, რომელიც წინააღმდეგი არ არის, რომ სამზარეულოში იტრიალოს.

ბოლოს და ბოლოს, ვინმემ ხომ უნდა გამოკვებოს ოჯახი?

## "ასტონ ვილას" ნახევარმცველის ისტორიები

"ასტონ ვილას" ჰყავს ერთი მეტად სკანდალური ნახევარმცველი, სახელად ლი ჰენდრი. ეს ფეხბურთელი სკანდალური იმიტომ გახლავთ, რომ ხშირად ეხვევა უსიამოვნო ამბებში. შედეგად, ხან თავი აქვს გატეხილი, ხან ცხვირი... მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე.

ერთხელაც, უფრო სწორად, ამ რამდენიმე ხნის წინათ, ჰენდრიმ ბირმინგემის ერთ-ერთ ბარში თანაგუნდელ გარეტ ბერისთან ერთად კათხა ლუდის დალევა გადაწყვიტა. მოგეხსენებათ, მათ, როგორც პროფესიონალმა სპორტსმენებმა, მსგავსს დაწესებულებაში სტუმრობისგან თავი უნდა შეიკავონ, მაგრამ, განა ასე ადვილია წესებს დაემორჩილო, მით უმეტეს, მაშინ, როცა წყურვილისგან ყელი გიშრება?!

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბარში ფეხბურთელებმა შეამჩინეს "ბირმინგემ სიტის" გულშემატკივართა ჯგუფი - შეიძლება ითქვას, "ასტონ ვილას" ნამდვილი მტრები. ფანებმა უმალ იცნეს ჰენდრი და ბერი და მათი გამოწვევა სცადეს. სცადეს და გამოუვიდათ კიდეც. იმის ნაცვლად, რომ ფეხბურთელებს ან დისლოკაციის ადგილი შეეცვალათ, ან, უბრალოდ, ყურადღება არ მიექციათ პროვოკაციისთვის, ფეხზე წამოცვივდნენ და ორნი მთელ ჯგუფს ეძგერნენ. საბოლოოდ ვინ დაზარალდებოდა, უჩემოდაც მშვენივრად მიხვდებით.

შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი თვის წინათ ჰენდრი ტრიბუნებს ქვევით შენობაში "ბირმინგემის" მცველს მარიო მელქიოტს გადაეყარა და ჩხუბი აუტეხა. შემდეგ მშველელებიც გამოჩნდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ორი გუნდის მთლიანი შემადგენლობა დაერია ერთმანეთს. საქმეში პოლიციაც ჩაერია.

ლი ჰენრის ისტორიების მოყოლა შორს წაგვიყვანს. ზოგ ამბავს სხვა დროისთვის შემოვინახავ.

## კოლიმორმა სტოუნის ალერსს ვერ გაუძლო

"ლივერპულის" ყოფილმა ფეხბურთელმა სტენ კოლიმორმა გადაწყვიტა, საკუთარი ძალები კინოში მოესინჯა. თქვენ წარმოიდგინეთ, მას წილად ხვდა ბედნიერება, ამერიკელ ვარსკვლავთან შერონ სტოუნთან ერთად გადაეღოთ. მეტიც, მასთან ინტიმური სცენა უნდა გაეთამაშა. საუბარია, "ძირითადი ინსტინქტის" მეორე ნაწილზე, რომელშიც ფეხბურთელი ეპიზოდურ როლს ასრულებს.

ფილმის დასაწყისში ინგლისის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი და ამერიკელი ვარსკვლავი ძვირფას მანქანაში ერთმანეთს ესიყვარულებიან. შემდეგ კოლიმორი აქსელერატორს ფეხს მიაჭერს და გადაჭარბებული სიჩქარით წაიყვანს მანქანას. წყვილი ავარიაში მოხვდება, სიკვდილს მხოლოდ შერონ სტოუნის გმირი გადაურჩება.

ფილმში გადაღების გამო ინგლისური კლუბის "სანდერლენდის" თავდამსხმელმა ვარჯიში რამდენჯერმე გააცდინა და რეჟიმიდანაც ამოვარდა.

ჰოდა, სხედან ახლა კლუბის ხელმძღვანელები და ფიქრობენ, რა დისციპლინარული სანქციები მიიღონ ურჩი ფეხბურთელის წინააღმდეგ. სანამ ისინი რაიმე კონკრეტულს მოიფიქრებენ, კოლიმორმა და სტოუნმა გადაწყვიტეს, ამით არ დაკმაყოფილდნენ და შემდეგშიც ერთად ითამაშონ ფილმში.

## სიყვარულის ცეცხლს სიშორე ვერ ჩააქრობს

თურმე ნუ იტყვით და, ესპანური კლუბის "ალბასეტეს" 20 წლის ჩილელი ნახევარმცველი მარკ დენის გონსალესი შეყვარებული ყოფილა. მისი ტრფობის ობიექტი არგენტინელი მოდელი ჟიზელ მოლინერო გახლავთ. როგორც აღმოჩნდა, წყვილი დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლოდ ინახავდა ამ ურთიერთობას. მათი ერთადერთი პრობლემა დრო და მანძილია (დამეთანხმებით, დიდი არაფერი პრობლემა არ უნდა იყოს ის, როცა შეყვარებულს იშვითად ნახულობ და ტელეფონით საუბარსაც ძლივს ახერხებ!). ფეხბურთელი ესპანეთში ცხოვრობს, მოდელი კი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს. გონსალესი შეყვარებულს ესპანეთში გადასვლას სთხოვს, თუმცა, ეს უკანასკნელი ჯერჯერობით თავს იკავებს.

გონსალესმა, საზოგადოების ეჭვები რომ გაეფანტა, მოლინეროს სთხოვა, საჯაროდ განეცხადებინა მათი შეყვარებულობის ამბავი. "ასე თავს უფრო მშვიდად ვიგრძნობ", - განაცხადა ფეხბურთელმა.

რატომ იგრძნობს თავს მშვიდად შეყვარებული ნახევარმცველი, მართალი გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია. თქვენ, რა, გაიგეთ?

# კავკასიის ალტერნატიული ცოცხალი მუსიკა

## ლადო ბურდულთან ერთად

www.lado.art.ge

## City Restaurant

www.cityrest.ge

*მოგესალმებით!!!*
*მზად ვართ ვემსახუროთ ერთგულად ჩვენს ხალხს და ქვეყანას იმ მძიმე დროსაც კი, როცა ქვეყანა მოიცვა სიბნელემ, შიშმა, სიღარიბემ და ყველამ თავისი სახლი აქცია ციხესიმაგრედ, მიუხედავად ჩემი ვიზუალური დატვირთვისა თუ მსოფლმხედველობისა, არამც თუ დავტოვე ჩემი ქვეყანა, არამედ გავხსენი ფართოდ ჩემი სახლების (თბილისში და წყნეთში) კარები და დავუთმე ის ჭეშმარიტ შემოქმედებას (მუსიკას და მოდას) გადასარჩენად და მის მცირეოდენ მომხმარებელს, რომლებიც ასე მოულოდნელად აღმოჩნდნენ თავისუფალნი უფრო დიდ რეპრესიებში უბრალო ხალხისაგან, ვიდრე იმ ავადსახსენებელ კომუნისტების დროს უშიშროებისაგან.*
*მანამადე საქართველოში არსებობდა ასეთი "ტუსოვკები" სხვადასხვა სახელწოდებით: ქორწილები, დაბადების დღეები, ქელეხები და ბანკეტები, მაგრამ უცველი შინაარსით და დატვითვით.*
*ეს "ფარტები" ტარდებოდა ძირითადათ სტატიკურ პოზაში მჯდომარე, და აქცენტირება მხოლოდ სმა-ჭამაზე კეთდებოდა. ჩვენი "ფარტები" წლების მანძილზე იყო დახურული, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, ისე, როგორც ყველაფერი ჭეშმარიტი ადრე თუ გვიან უნდა გადაეცეს საზოგადოებას და ხალხს, საზოგადოება მას შეიყვარებს და შემდგომში ტრადიციად აქცევს. რის შემდეგაც თუ საზოგადოებამ შეძლო მისი მონელება, თავისთავად აიწევს მისი ინტელექტუალური პოტენციის ნიშნული საზომ ერთეულზე ერთი ან ორი მცირედი ხაზით.*

პარასკევი, 22 აპრილი, 21:00. რესტორანი City
დახურული საღამო
საღამოში მონაწილეობენ:



ლიმილის ბიჭები!!!
(მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მე-4 გამოშვების ბოლო დღე საქართველოში)



სანდრო, გაიღიმე, ფოტოს გვიღებენ!!!



სადა ხარ ჩემო სულიკო???



ჯგუფი: "ლაბირინთი" 1998 (სამტრედია)
1. დასარტყამი - დათო ზამთარაძე
2. ბასი ვოკალი - ერეკლე ცხვარაძე
3. გიტარა ვოკალი - ზურა კალაძე




მე ხომ ჯაზი მიყვარს




ნუ გეშინია სანდროს და ლადოს ეხლა წაუვლენ მალე გოგოები და მერე უფრო გაგვიგებენ ჩვენ "მარტოხელა ბიჭებს"



მე მეგონა, თქვენ მაინც იცოდით ეს პატ მას



ჯგუფი: "საბჭოეთის ცა" 2002
1. კოტე კალანდაძე - ვოკალი გიტარა
2. სოლო გიტარა - ნიკა ბუზალაძე
3. დასარტყამი - ძიმა ოგანეზიანი
4. ბასი - ლექსო კოზირიძე



ისინი ლამაზები არიან და ახალგაზრდები
და მათ საოცრად სჯერათ ჩვენი ორი ქვეყნის (ამერიკა საქართველოს) მომავლის



გადაეცით მსოფლიოს - მამაჩემმა თქვა, რომ ერთადერთი რაც მათ აკლიათ, ეს სიყვარულია



შენც ხომ გურამივით ბრაზიანი არ ხარ, სიცოცხლე???
ოჰ რა სულელები არიან ეს კაცები მალხაზ



მხატვრები



ja ja das ist fantastish!!!



ნეტავი ამ ღამეს რა მოხდება???



რა მშვენიერი ჯგუფებია?1 ნეტავი თავიანთ კლიპებში არ მათამაშებენ რამეს???

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისი გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ ბარკეტით
გლანკი უშასოდ

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგროთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მკაფიოდ თქვენ ხართ გამოსახული, მთელი სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა

25 აპრილი

### რუსთავი - 2

**25.04 07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** სერიალი "უცნობი" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "ტრავმა" მე-3ნ. **00.00** მხ. ფილმი "დაცემული ანგელოზები" (18) (მ. რიჩარდსონი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. 06.55პოლ პოტის საიდუმლო. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** კაბალა. მხ. ფილმი. Მალი.2002. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა: თვალსაზრისი. **03.45** მანჰეტენი უდაბნოში. დოკ. ფილმი. **04.25** მაშველები. ტელესერიალი.

### 1-ლი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** სერიალი "დანაშაული" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - მარგარეტ ტეტჩერი **16.30** დოკ. ფილმი "ანდრე ლაბარტი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **23.00** მრწამსი - სამყაროს შექმნა **23.30** მხ. ფილმი "აპოკალიფსი" (12) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **12.05** "ავტოგრაფი". კახა ცხადაძე. **13.05** "ჯეოსტარი" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** მუსიკა მზეზე **21.00** ჯეოსტარი - ფილარმონია. **23.00** ბალეტი. მიხეილ ლავროვსკი. **23.45** მხ. ფილმი "არამზადა" (15) (როს კემპი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტ. სერიალი "ჟაკ კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "მონგოლური ცხენების დაბრუნება" **21.45** კონცერტი **22.35** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.30, 17.10, 04.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.15** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ვაკაჟი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად **01.40** მხ. ფილმი "დაუნჰაუზი" (ფ. ბონდარჩუკი) **03.45** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექტი მომავალი" **10.35** კომედია "შესისხლხორცებულნი" **12.40** დეტექტივი "რვა ქალი" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მუსიკა **15.15** თრილერი "მზის ცრემლები" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "ზღვა" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ჩვიდმეტისწლისანი" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Владимир Машков в фильме **"ПАПА". 11.10** Искатели. "Под пятой императора". **12.20** Фильм **"ЗВЕЗДНЫЕ ВОЙНЫ: ИМПЕРИЯ НАНОСИТ ОТВЕТНЫЙ УДАР". 14.30** Неизвестная планета. "Марш тысячи самураев". **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Предъявите валюту". **18.40** Сериал **"КЛОН". 19.50** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Марина Александрова в многос. фильме **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 22.40** Спецрасследование. "Таксистская мафия". **23.30** Ночное "Время". **23.50** Док. фильм "Бессмертная война. Гитлер - архитектор апокалипсиса". **00.30** Егор Бероев в программе "Путешествия "Русского экстрима". **01.00** Пайпер Перабо в комедии **"БАР "ГАДКИЙ КОЙОТ".** Двадцатилетняя Виолет Сэнфорд из провинциального городка Нью-Джерси страстно мечтает стать певицей и исполнять свои собственные песни. Даже природная застенчивая и необъяснимый страх перед освещенной сценой, не могут ее заставить отказаться от своей мечты. Заручившись согласием отца, девушка отправляется в Нью-Йорк. Там она устраивается на работу в одно из самых популярных ночных заведений города - бар "Гадкий койот". Ей везет: ведь хозяйка отбирает только красивых и уверенных в себе девушек с прекрасными манерами. Что ж! Тропинка к цели проложена, и теперь будущее Виолет в ее руках. **02.40** Что? Где? Когда? **03.50** Кристофер Рив в детективе **"ВНЕ ПОДОЗРЕНИЙ".** Полицейский детектив Дэмпси Кейн парализован и прикован к инвалидному креслу. И в последнее время его и без того нелегкая жизнь становится совсем невыносимой. Жена завела роман с его братом Ником, тоже полицейским. Несмотря на пикантность ситуации, парочка прекрасно себя чувствует. Какое-то время Дэмпси подумывает о самоубийстве, но потом на ум ему приходит более интересный план по выходу из надоевшей ситуации.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Сериал **"ОПЕРА. ХРОНИКИ УБОЙНОГО ОТДЕЛА: СЕКТОР ОБСТРЕЛА". 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ-2. ДЕТИ ПОДЗЕМЕЛЬЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 20.45** Наталья Антонова в сериале **"СТРОПТИВАЯ МИШЕНЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ЧЕЛОВЕК ВОЙНЫ". 01.10** Журнал Лиги чемпионов. **01.40** Кэри Мэчетт в фильме **"КУБ-2: ГИПЕРКУБ".** В замкнутом пространстве встречаются семеро незнакомых людей - мужчин и женщин разного возраста, причем никто из них не понимает, как попал сюда. Пространство "играет" с ними в страшные, злые игры, уничтожая и возрождая вновь. К реальности возвращается только одна из семерых. **03.15** Сериал **"ФИЛАДЕЛЬФИЯ". 04.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

## სკანვორდი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები: ოზი; ალუპკა; კლოაკა; ნანკინი; არგო; ქიმია; უტრეხტი; არა; კრაკატაუ; პაკისტანი; ავიზო; ბონი; ზალმი; ეიფორია; ჩაქუჩული; სამბო; წილავერტი; ლაკმე; კოგბოო; ემისარი; ემბარგო; ვექტორი; გნოლი; გრაცია; არფანი; ნატურმორტი; აპია; პარაფინი; პი; კულმინაცია; ფურორი; ფინიკი; ინფარქტი; მზია; მანჭო; მიფუნე; ფანტომასი; ადონისი.

1. თ. აბულაძის ფილმი; 2. ხელოვნური საერთაშორისო ენა; 3. ამობურცული სკულპტურული გამოსახულება; 4. ტბა მოზამბიკსა და ტანზანიაში; 5. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა; 6. მე-10 საუკუნის ქართული ტაძარი თურქეთში; 7. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 8. დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ქალი; 9. პლანეტა; 10. მოწინააღმდეგის მეფეზე თავდასხმა ჭადრაკში; 11. ქართველი დრამატურგი და მწერალი; 12. შემდეგ გადასახადი დანახარჯი; 13. მაღალი თანამდებობის პირი ძველ რომში; 14. "ინტერის" და იტალიის ნაკრების ფორვარდი; 15. სამხედრო მეთაური; 16. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 17. პერსონაჟი ოპერიდან "მინდია"; 18. ვინმეზე შექმნილი აზრი, რეპუტაცია; 19. რუმინეთის ფულადი ერთეული; 20. რაიცენტრი დასავლეთ საქართველოში; 21. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი, ნოველის ოსტატი; 22. საქართველოს კომპარტიისცკ-ს ყოფილი I მდივანი; 23. ნერვული უჯრედი; 24. პარიზის პოლიციის უფროსი; 25. ცხენბურთი; 26. ალუმინის შემცველი მადანი; 27. მე-17 საუკუნის ფრანგი კომედიოგრაფი და მსახიობი; 28. ყვავის ბარტყი; 29. მოსაცდელი დარბაზი თეატრში; 30. ლენინის მეუღლე; 31. ძველი რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე; 32. კოსმონავტის ჰერმეტიული კოსტიუმი; 33. იტალიელი ტენორი; 34. რიგითი არტილერისტი ძველ რუსულ არმიაში; 35. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი; 36. ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი.

# წიგნის მსოფლიო დღე და ბავშვები

ნათია ვადაჭკორია



წიგნის მსოფლიო დღე, რომელიც "იუნესკომ" დააწესა, მსოფლიოში სხვადასხვა დროს აღინიშნება. ბრიტანეთში მას 3 მარტს ზეიმობენ. ბრიტანეთის საბჭომ საქართველოში ეს დღე შექსპირის დაბადების დღეს დაამთხვია და 23 აპრილს ბრიტანელი და ქართველი ბავშვები წიგნისა და კითხვის დღესასწაულზე დაპატიჟა. ოცდაათამდე ცნობისმოყვარე ბავშვი ბრიტანელების მიერ მოწყობილ საბავშვო ლიტერატურის განხილვაში, შთაბეჭდილების გაზიარებასა და საინტერესო საიტების მოძებნაში ჩაერთო.

ინგლისურის მცოდნე ქართველმა ბავშვებმა ბრიტანელებს ჰკითხეს: "ჩვენ კარგად ვიცნობთ მარკ ტვენის ნაწარმოებებს, რამდენადაა თქვენთვის ცნობილი ქართველ მწერალთა შემოქმედება?" აღმოჩნდა, რომ ინგლისელები ქართული ლიტერატურის შესახებ საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულები.

ამ სახალისო ღონისძიებას, რომელიც ტკბილეულის ფონზე მიმდინარეობდა, ბრიტანეთის ელჩი საქართველოში დონალდ მაკლარენი, მისი მეუღლე მეიდა მაკლარენი და მათი 10 წლის შვილი მარინა ესწრებოდნენ. მარინამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან მოსწონს, რადგან აქ ბევრი მეგობარი ჰყავს. იგი რუსულად საუბრობს და ქართულის შესწავლაც დაიწყო.

ხუთი წლის ნინო ბახტაძე ასევე ეუფლება ინგლისურ ენას და ზეიმითაც კმაყოფილი დარჩა.

საინტერესო დისკუსიის გარდა, ბავშვებს საჩუქრად სუვენირები და წიგნები ელოდა.

ბრიტანეთის ელჩმა დონალდ მაკლარენმა აღნიშნა: "კარგია, რომ ეძლევათ იმის შესაძლებლობა, რომ ინგლისურენოვან ავტორებს ორიგინალის ენაზე გაეცნონ და ერთმანეთს აზრი გაუზიარონ. მსგავსი ღონისძიება ბრიტანეთში გაცილებით დიდი მასშტაბით ტარდება. ამ საქმეს მეტი ენთუზიაზმით უნდა მოვეკიდოთ, რადგან საბავშვო ლიტერატურას ყველა ბავშვი პატარაობიდანვე უნდა გაეცნოს. ეს უფრო სერიოზულ ლიტერატურაზე გადასვლის პირველი ეტაპია."

საქართველოს კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი:
95 30 81
96 71 78

# "ლა სკალას" ახალი ხელმძღვანელი



მილანის ოპერის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს. არჩევანი შეჩერდა პარიზის თეატრის "შალეს" 52 წლის დირიჟორზე სტეფან ლისნერზე.

უნგრელი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული ლისნერი ადრეულ ასაკში ჩამოყალიბდა პროფესიონალ მუსიკოსად. პირველი ნაწარმოები 16 წლის ასაკში დაწერა; რიკარდო მუტის შემცვლელი პარალელურად შეითავსებს "ლა სკალას" დირექტორობას. ლისნერი მუშაობას მაისის დასაწყისიდან შეუდგება.

როგორც ცნობილია, რიკარდო მუტის გათავისუფლებით, იმედოვნებენ, რომ წერტილი დაესმება ორწლიან როგორც ფინანსურ კრიზისს, ისე თეატრში უთანხმოებებს თეატრის ხელმძღვანელობას, თანამშრომლებსა და მილანის ხელისუფალთა შორის.

# პიესა მექანიკური პიანინოსათვის

ამერიკულმა კომპანიამ Zenph Studios-მა შეიმუშავა ახალი ტექნოლოგია, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება გარდაცვლილი შემსრულებლების "ცოცხალი" კონცერტების მოსმენა. მუსიკა მოცემული იქნება MIDI ფორმატში და მისი მოსმენა შესაძლებელი იქნება საგანგებოდ დამზადებული მექანიკური ფორტეპიანოს მეშვეობით.

MIDI (Musical Instrument Digital Interface) წლების განმავლობაში აქტიურად გამოიყენება. სხვა პოპულარული ფორმატებისგან განსხვავებით, ის მეტად ახლოს დგას სანოტო ჩანაწერებთან.

Zenph Studios-ში გადაწყვიტეს, "აღადგინონ" გლენ გულდისა და ალფრედ კორტოს კონცერტები, რომლებიც 1955 და 1928 წელს გაიმართა.




# მადონა ამხილეს



ბრიტანელი რეჟისორი და საპროდიუსერო კომპანია მადონას უჩივის. რეჟისორი ჰემიშ ჰამილტონი ამბობს, რომ ვარსკვლავმა იგი 2004 წლის მაისში, კონცერტისთვის დაიქირავა, მაგრამ თანხა დღემდე არ გადაუხდია. სასამართლოს მასალებით ირკვევა, რომ ჰამილტონისა და მადონას საქმე ელექტრონული ფოსტით გვარდებოდა.

მადონას წინააღმდეგია ლონდონური საპროდიუსერო კომპანია Done and Dusted-ც, რომელიც საკუთარი სამსახურისთვის 175 ათას დოლარს ითხოვს. ჯერჯერობით უცნობია, თავად პოპვარსკვლავის ან მისი მხარის კომენტარები.

# ყველაზე ძვირფასი ინსტრუმენტი



სამ ასეულ წელს გადაცილებული სტრადივარიუსის ვიოლინო ნიუ იორკში "კრისტის" აუქციონზე 2 მილიონ 32 ათას დოლარად გაიყიდა. როგორც სავაჭრო სახლიდან იტყობინებიან, ეს არის ყველაზე დიდი თანხა, რომელიც ოდესმე მუსიკალურ ინსტრუმენტში გადაუხდიათ.

ანტონიო სტრადივარიუსმა ვიოლინო 1699 წელს, 55 წლის ასაკში შექმნა. ინსტრუმენტი დიდებული იტალიელი ოსტატის შემოქმედების "ოქროს ხანის ნაყოფია. მოგვიანებით ინსტრუმენტს "ლედი ტენანტი" დაერქვა და ამჟამადაც ამ სახელს ატარებს. საქმე იმაშია, რომ 1900 წელს ვიოლინო შოტლანდიელმა მრეწველმა სერ ჩარლზ ტენანტმა მეუღლეს უსახსოვრა. უკანასკნელი ორი ასეული წლის განმავლობაში რელიკვიას ფლობდა კერძო კოლექციონერი, რომლის ვინაობაც არ სახელდება.

უცნობია ისიც, თუ ვინ გადაიხადა ყველაზე დიდი თანხა მუსიკალური ინსტრუმენტისთვის. სხვათა შორის, "ლედი ტენატის" შემდეგ, ყველაზე ძვირად გაიყიდა, ასევე, სტრადივარიუსის ვიოლინო; მასში 1990 წელს მილიონ რვაასი ათასი დოლარი გადაიხადეს.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




ძმები ჯუმბერი, ზურაბი, ემილი, და ცაცა, ძმისშვილები ალექსი, მირიანი, გიორგი, თამარი, ქეთინო, მარიამი, გიორგი, დისშვილები ზურაბი, დათო იუწყებიან

მაყვალა კოპალიანის
გარდაცვალებას

დაკრძალვა სამშაბათს, 26 აპრილს, 2 საათზე, ბოლნისში, ტაბიძის 52

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.